

K 253253  
3

საქართველოს  
საქართველოს

უიჯრია შვედსკიტი

რტულო


საქართველო



# უილიამ შექსპირი

## ოტელო

ხუმოქმედებიანი ტრაგედია



თარგმანი ივანე მაჩაბლისა

ლიტერა, 2004



ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკა

სპეზ-2000  
შეგროვებულია

K 253.253

რედაქტორი - ნუგზარ წიკლაური  
მხატვარი - რევაზ ებრალიძე  
კომპიუტერული უზრუნველყოფა - თამარ ებრალიძე  
რედაქტორ-კორექტორი - დალი გერმანიშვილი

აეწყო და დაკაბადონდა ლიტერას კომპიუტერულ ცენტრში.

დაისტამბა კომპიუტერულ ცენტრში „საარი“.  
3 ა რ ე ს ე ნ ს ტ  
ე რ ო ვ ნ უ ლ  
ბ ი ბ ლ ი თ - ე



## შინაარსი

<b>მოქმედება პირველი .....</b>	<b>5</b>
სურათი I .....	7
სურათი II .....	14
სურათი III .....	18
<b>მოქმედება მეორე .....</b>	<b>31</b>
სურათი I .....	32
სურათი II .....	42
სურათი III .....	43
<b>მოქმედება მესამე .....</b>	<b>55</b>
სურათი I .....	56
სურათი II .....	58
სურათი III .....	58
სურათი IV .....	76
<b>მოქმედება მეოთხე .....</b>	<b>83</b>
სურათი I .....	85
სურათი II .....	95
სურათი III .....	103
<b>მოქმედება მეხუთე .....</b>	<b>107</b>
სურათი I .....	108
სურათი II .....	113





მოქმედი პირნი:

მთავარი ვენეციისა.

ბრაბანციო, სენატორი.

კიდევ სხვა სენატორნი.

გრაციანო, ბრაბანციოს ძმა.

ლოდოვიკო, ბრაბანციოს ნათესავი.

ოტელო, კეთილშობილი მავრი, ვენეციის

სახელმწიფოს სამსახურში მყოფი.

კასიო, მავრის თანაშემწე.

იაგო, მავრის ასისტავი.

როდერიგო, ვენეციელი აზნაური.

მონტანო, წინანდელი გამგებელი კუნძულის კიპროსისა.

მასხარა, ოტელოს მსახური.

დებდემონა, ბრაბანციოს ასული და ცოლი ოტელოსი.

ემილია, იაგოს ცოლი.

ბიანკა, კასიოს საყვარელი.


მეზღვაური, შიკრიკი, გზირი, ოფიცრები, აზნაურნი,

მემუსიკენი და მხლებელნი.

პირველი მოქმედება ვენეციაში სწარმოებს, დანარჩენი  
კიპროსის კუნძულზედ ზღვის პირის ქალაქში.



# მოქმედება პირველი





## სურათი I

ქუჩა ვენეციაში

(შემოდინან როდერიგო და იაგო)



ვენეციელი  
გენერალი

როდერიგო: ნულარას მეტყვი... დიდათა მწყინს  
შენგან, იაგო, შენგან, რომელსაც ჩემი ქისა  
სრულად ხელთ გეპყრა, რომ ეს ამბავი იცოდი  
და...

იაგო: შენ შენსას ამბობ და არ გინდა, მეც  
გამიგონო. წყეულიმც ვიყო, თუ მაგის მსგავსი  
რამ ჩემ დღეში ფიქრად მომსვლოდეს.

როდერიგო: აკი ყოველთვის მარწმუნებდი, რომ  
მავრი მძაგსო!

იაგო: და თუ არ მძაგდეს, შემიძაგე მაშინ შენ  
თითონ, წარმოიდგინე, ვენეციის სამს დიდებულ პირს  
იმის წინაშე ვათხოვინე ჩემთვის ხარისხი  
მის თანაშემწის; - ჩემის თავის ფასი ვიცი მე,  
მეკუთვნის კიდევც ეს ღირსება, კვებნით არ ვამბობ.  
მაგრამ ისეა იგი მავრი გატაცებული  
თავის მძლავრობით, თავის ზვავის მედიდურობით,  
რომ მოჰყოლიყო რაღაც უშნო, მკვახე ლაპარაკს,  
უფრო შესაფერს ბრძოლის ველზედ; ბოლოს უზრდელად  
ცივი უარი განეცხადა ჩემ მომხრეთათვის.  
ეთქვა, მე ჩემი ხელქვეითი კიდევცა მყავსო; -  
მერე ვინ არის, აბა მიხვდი, მის არჩეული?  
მიქელ კასიო არის ვიღაც ფლორენციიდან,  
მორთვა-კაზმვაზედ დედაკაცებრ გადაგებული.  
თუმც ანგარიშში იგი კარგად გაწვრთნილი არის,  
მაგრამ ჯარს ბრძოლად წინ არასდროს არ წასძლოლია;  
ლაშქრის დაწყობა დას-დასებად საომარ ველზედ  
იმდენად იცის, ვით დიაცმა ქსელის მბეჭველმა.  
ნაკითხი არის, მაგრამ მისებრ წიგნების კითხვა  
ხირდა-წამოსხმულ კონსულთაც არ გაუჭირდებათ.  
ყბელობას მისდევს, არა სწყალობს გამოცდილებას, -  
და ეს ჰგონია საკმარისი ჯარისკაცისთვის.





თუმცა ეს ასეა, მაგრამ მაინც იგი არჩია  
და მე დამჩაგრა... მე, რომელიც მავრს თავის თვალთ  
გამოვუცდივარ მრავალს ომში როდოსს და კიპროსს  
და ბევრგან სხვაგან ქრისტიანთ და წარმართ ქვეყნებში!  
უნდა იმან მე დამამარცხოს, იმან მაჯობოს,  
ვინც მხოლოდ მარჯვედ ათამაშებს ჩხირებზედ რგოლებს  
და ანგარიშობს სესხსა და ვალს. მას უწოდებენ  
მის თანაშემწეს და მე... ღმერთო, ეს რად არ გიკვირს!..  
მავრის ასისტავს!

**როდერიგო:** მე ვარჩევდი, რომ დავენიშნეთ მასზედ ჯალათად.

**იაგო:** საშველი რომ არა არის-რა!

სამსახურს მუდამ ეგ ჭირი სდევს: წინ იგი დგება,  
ვისაც კი შესწევს გვაროვნობა, ძლიერთ წყალობა, -  
ერთი არ იჭერს ჯერისამებრ მეორის ადგილს.

აბა, განსაჯე თვითონ შენვე, მაქვს რამ საბუთი,  
რომ მავრისადმი სიყვარული გულს აღვიზარდო?

**როდერიგო:** არ ვინდომებდი, მე რომ მკითხო, მასთან სამსახურს.

**იაგო:** დაწყნარდი, ძმაო, ნუ კი ცხარობ. მე თუ ვმსახურებ,  
ვმსახურებ მისთვის, რადგან ბედმა ეგე მარგუნა.

ხომ ყველანი ვერ ვიბატონებთ და ვერც ხელქვეითთ  
ვაკისრებინებთ, უერთგულონ ყოველგვარ ბატონთ.

არიან ზოგნი, რანიც მხოლოდ დღიურ ლუკმისთვის  
მუხლმოდრეკილნი მორჩილობენ, ყურმოჭრილობენ,  
სახედრის მსგავსად მსახურებენ თავიანთ პატრონს,  
თუმცა განდევნა სიბერის ჟამს წილადა ხვდებათ, -  
კარგად გაჯობვა როდი აწყენთ ამ სულელ-მართალთ.

არიან სხვანიც, ერთგულობის სახის მიმღებნი,

რომელნიც ზრუნვენ გულდადებით მხოლოდ მათთვისვე  
და თუმცა პატრონს მოწიწებით დაბლა თავს უკვრენ,  
თავიანთ საქმეს იკეთებენ, თვით მდიდრდებიან,  
რომ განცხრომით და ნებივრობით იცხოვრონ ბოლოს.

აი, ამათზედ ახად ითქმის, ჭკვა ჰქონიათო

და მეც მათ რიცხვში ვურევივარ, გამოგიტყდები.

მე რომ ოტელო ვყოფილიყავ, მაშინ იაგო არ ვიქნებოდი, -  
ეს სწორეა ისე, როგორც შენ როდერიგო ხარ, და იცოდე,  
მას თუ ვმსახურებ, ამით ვმსახურებ ჩემსავ თავსა. ზეცას



ვიმოწმებ, მე ეს არ მომდის ერთგულებით, ან სიყვარულით,  
- მე თავს ვაჩვენებ ასე მხოლოდ, რომ შევისრულო  
რაც განზრახვა მაქვს. რა იქნება, აბა, იფიქრე,  
გულისპასუხი ყოველივე გამოვიძღვანო,  
გამოვაქვეყნო ჩემის ქცევით ამ სულის სიღრმე?  
ეს ხომ იმას ჰგავს, გული ჩემი ხელზე დავიდო  
და მივუშვირო დასაკორტნად ჭილყვაკ-ყორანთა.  
მე ის არა ვარ, რაცა ვჩანვარ.

როდერიგო: თუ იმ სქელტუჩამ ამ საქმეშიაც გაიმარჯვა, სჩანს,  
ბედი სწყალობს.

იაგო: გამოუწოდე ქალის მამას, ძილი დაუფრთხე,  
გამოუყენე უკან მღვერად და იმ წყეულ მავრს  
ხმა დაუყარე, ჩაუშხამე სიამოვნება.

ქალის ნაცნობნი, ნათესავნი ზედ მიუსიე  
და თუმცა იგი ტკბილ და ნეტარ ჰაერში სცხოვრობს,  
შენ ეს ჰაერი მოუწამლე კოლო-ბუზებით.  
იგი სიხარულს დიდს ეღირსა, მაგრამ ეცადე,  
რომ ამ სიხარულს სიმწარითა უცვალო ფერი.

როდერიგო: ეს ქალის მამის სახლი არის; აბა, ხმას მივცემ.

იაგო: კარგი, სცადე და საზარლის ხმით მორთე ყვირილი  
ისე, როგორც რომ ხმაურობენ, როცა დიდ ქალაქს  
დაუდევრობით ყრუ, ბნელ ღამეს ცეცხლი ედება.

როდერიგო: ეი, ბატონო, ბრაბანციო, ეი, ადექით!

იაგო: ქურდები! ჩქარა, ბრაბანციო, გამოიღვიძეთ!

თქვენს სახლს მიხედეთ, თქვენს ასულს და თქვენსა საუნჯეს!  
არიქა, მალე, ოჰ, ქურდები! ქურდები-მეთქი!

(*ბრაბანციო გამოჩნდება ზევით ფანჯარაში*)

ბრაბანციო: რა ამბავია? ვინ მეძახის? რაო, რა მოხდა?

რისთვის ასტეხეთ ეს საზარი ალიაქოთი?

როდერიგო: ბატონო ჩემო, სულ შინა გყავთ თქვენი სახლობა?

იაგო: ან თქვენი კარი მაგრად არის გადაკეტილი?

ბრაბანციო: რად გეკითხებათ თქვენ ეგენი?

იაგო: მად, ბრაბანციო, რომ ავაზაკებრ გაგქურდეს თქვენ. ჩქარა  
ჩაიცივით, ნულარ აყოვნებთ! თქვენი გული შუა გაგმირეს  
და თქვენი სულიც ორ ნაწილად გაგლეჯილია.  
იცით, რომ ახლა, სწორედ ახლა, აი ამ წუთში





ვენეციელი  
 ჯარისკაცი

შავი, ბებერი ყოჩი თქვენს თეთრ ბატკანს  
 გიკორტნით!

ადექით-მეთქი და სასწრაფოდ ნაბათის ცემით  
 ხვრინვა დაუფრთხეთ მოქალაქეთ, ტკბილად  
 მძინარეთ, თორემ სატანა, საცა არის, შვილიშ-  
 ვილს შეგძღვნით!

ბრაბანციო: რაებსა ჰბოდავთ, გონება ხომ არ  
 დაგკარგვიათ!

როდერიგო: ბატონო ჩემო, ბრაბანციო, ხმაზედ  
 ვერა მცნობთ?

ბრაბანციო: ვერ გცნობ, ვინა ხარ?

როდერიგო: როდერიგო მქვიან სახელად.

ბრაბანციო: ოჰ, შენ ყოფილხარ, ავაზაკო! მე  
 აკი გითხარ,

არ გაგებუნა, აღარ გევილო ამ სახლს გარშემო,  
 აკი პირდაპირ, გულახდილად გამოგიცხადე,  
 ვერ მოგცემ-მეთქი ჩემს ასულსა, მაგრამ შენ მაინც  
 ჯერ მადიანად გივახშმია, დამთვრალხარ ღვინით,  
 ჭკვა დაგიკარგავს, სითამამით აქ მოთრეულხარ  
 და მოსვენებას აღარ მაძლევ.

როდერიგო: ბატონო ჩემო...

ბრაბანციო: სარწმუნოდ იყავ, რომ ხარისხი და ძლიერება  
 იმდენად შემწევს, რომ ამ ამბავს ძვირად დაგისვამ.

როდერიგო: ბატონო ჩემო, მოითმინეთ.

ბრაბანციო: ვინ გაგქურდათო, რას მიჰქარავდი! ეს ქალაქი  
 ვენეციაა და ქალაქს გარეთ როდი ვდგავარ.

როდერიგო: მერწმუნეთ, რომ აქ კეთილ განზრახვით გიახელით  
 თქვენთან, ბატონო.

იაგო: გაგონილა! თქვენ ისეთი კაცი ყოფილხართ, რომ ღვთის  
 სამსახურზედაც კი უარს იტყვით, თუ ეს სამსახური  
 როგორმე სატანამ დაგავალათ. ჩვენ კეთილი გვწადიან, აქ  
 იმისთვის მოვსულვართ, თქვენ კი ბოროტმოქმედნი გგონი-  
 ვართ და თანხმდებით, რომ თქვენი ქალი ბარბარიის ულაც  
 ცხენს შეეკავშიროს. მაშ მალე თქვენი შვილიშვილების  
 ჭიხვინს გაიგონებთ და თოხარიკ-მაჭენებელ ცხენებს მძახლად  
 და მოყვრად მოიკიდებთ.





ბრაბანციო: შენ ვილა ოხერი გდიხარ?

იაგო: მე აქ იმის საცნობელად გახლავართ, რომ ამჟამად თქვენი ქალი და მავრი ერთსულს და ერთხორცს პირუტყვს წარმოადგენენ.

ბრაბანციო: ოჰ, არამზადა!

იაგო: თქვენ ხომ დიდი სენატორი ხართ.

ბრაბანციო: შენ მაინც გიცან, როდერიგო, პასუხს შენ გამცემ.

როდერიგო: არ გავექცევი მე მაგ პასუხს, მაგრამ ამას გთხოვთ, ჯერეთ გვიბრძანოთ, ეს ამბავი ხომ არ მომხდარა თქვენის თანხმობით, თქვენის ბრძნულის რჩევით, სურვილით, - და თითქო კიდევ მიმართლდება მე ამის ეჭვი. ცნობილი გაქვთ, რომ მშვენიერი ასული თქვენი ვილაც მენავეს ჩააბარეს ქირით დაჭერილს, უთანამხლებლოდ გააპარეს სრულიად მარტო და საზრდოდ მისცეს მურტალ მავრის უწმინდურ ვნებათ? თუ ეს იცოდით და თვითონვე დართეთ თქვენ ნება, ბრალი გვდევს დიდი, ესე ფრიად რომ გაწყეინეთ; და თუ არ იცით არაფერი, მაშინ კი ვგონებ, თქვენგან გაკიცხვა უსამართლოდ გვერგო ჩვენ წილად. ნუ გჯერათ, ვითომ ზრდილობაზედ ამელოს ხელი და მომენდომოს თქვენისთანა დიდებულ პირთან თავის აგდება. კიდევ იმას გეტყვით, რომ თუკი თქვენს უნებურად თქვენი ქალი ასე მოიქცა, დიდია მაშინ თქვენს წინ იმის დანაშაული, რომ თვის შვენება, ჭკვა, სიმდიდრე, მოვალეობა დაუკავშირა ვილაც ოხერს, კარ-და-კარ მავალს, რომელს ამქვეყნად არსად ბინა არ გააჩნია. - აბა, დარწმუნდით მაშ ახლავე: თუ ქალი თქვენი თავის ოთახში იყოს, ანუ თქვენს სახლში სადმე, რისხვით გალესეთ მაშინ ჩემზედ სამართლის ხმალი თქვენის ამგვარად უკადრისად მოტყუებისთვის.

ბრაბანციო: ჩქარა სანთელი მომეცით აქ და კვესს გაჰკარით...

შეატყობინეთ ჩემ კერძობას... თითქო სიზმარი

ჩემი მენიშნა... მოანათეთ... სანთელი-მეთქი!

მარტო ეს ფიქრი ლამის გულზედ ლოდად დამაწვეს.

(ფანჯრიდან მიიფარება)



**იაგო:** ახლა კი წავალ მე აქედან, ველარ დავდგები, თორემ ოტელოს წინააღმდეგ უნდა ვიმოწმო და ეს ჩემ ადგილს არ შეჰფერის, არ მოუხდება. მე ვიცი კარგად, ამ ამბისთვის თუმცა დასტუქსვენ, სამსახურიდან ვერ გაჰბედვენ იმის დათხოვნას: სწორედ ამჟამად კიპროსისკენ ომია თურმე და იქ ჰგზავნიან მავრსაც მძიმე მინდობილობით. ამ ქვეყნის გამგეთ კარგად ესმით, რომ იმათ საქმეს ოტელოსავით წინ ვერავინ ვერ გაუძღვება. აი, ეს მიშლის და მაბრკოლებს. მე თუმც იგი მძაგს, მძაგს ისე, როგორც ჯოჯობეთის ცეცხლი და ალი, მაინც ცხოვრება ძალას მატანს, გარეგან ნიშნით ჩავაგონო და დავარწმუნო, ვითომც მიყვარდეს. აი, რას გეტყვი: ამ მღევარს შენ წინ წამოუძედ და მოიყვანე ზღვის ნაპირას «შვილდ-ისარაზედ»; მეც იქ ვიქნები მავრთან ერთად. წავალ ახლა კი.

*(იაგო გადის. შემოდინან დაბლა ბრაბანციო და მისნი*

*მოსამსახურენი ხელში მაშხალებით)*

**ბრაბანციო:** ოჰ, უბადრუკო თავო ჩემო! სწორე ყოფილა! წასულა იგი და რა ელის ჩემ მოხუცებას! ტანჯვა-სიმწარე! - როდერიგო, სად ნახე იგი? სად ნახე-მეთქი ჩემი ქალი? - ვაი, საბრალო! - მაშ მავრთან ნახე? - მამად ყოფნას ვილა ინდომებს! - მერე რა იცი, რომ ის იყო? - გაგიგონიათ ასე საშინლად მოტყუება მშობელის მამის! - რა გითხრა მერე? - მოუმატეთ კიდევ მაშხალებს. ჩემ ნათესაებს ჩქარა ყველას შეატყობინეთ. - როგორ გგონია, მოასწრებდნენ დაქორწინებას?

**როდერიგო:** მე მგონია, რომ მოასწრებდნენ.

**ბრაბანციო:** ჰოი, ზეცაო!

როგორ გამექცა ის აქედან, ნეტა ვიცოდე. ვით უღალატა თავის სისხლ-ხორცს! ვის გქვიანთ მამა? ნულარ ენდობით თქვენთა ქალთა საქმეს და ქცევას,



ნუ ერწმუნებით! - მგონი, რაღაც გრძნებას იტყვიან,  
 ახალგაზრდა და უმანკო ქალს აცდენსო იგი;  
 არ წაგიკითხავს, როდერიგო, შენ ამ გრძნებაზედ?

როდერიგო: წაკითხული მაქვს, როგორ არა.


ბრაბანციო: უხმეთ ჩემ ძმასაც. -

შენთვის მომეცა, ისა სჯობდა. - აბა, გასწიეთ,  
 ზოგნი ერთ მხარეს გაეშურეთ, ზოგნი მეორეს, -  
 სად იქნებიან ახლა მავრი და ჩემი ქალი?

როდერიგო: მე იმედი მაქვს, რომ ვიპოვით, თუ წამომყვებით  
 და თან იახლებთ ბლომად მსახურთ, კარგად შეჭურვილთ.

ბრაბანციო: წადი და მოგდევთ. ყოველ სახლთან ხალხს  
 გამოვიხმობ, - მე ნებაცა მაქვს, რომ ვუბრძანო. - ღამის  
 დარაჯებს აქ მოუწოდეთ. საჭურველი შეისხით მალე. - აბა,  
 წაგვიძელ. შენს სიკეთეს არ დავივიწყებ.

(გადიან)







# სურათი II

იგივე ქალაქი. მეორე ქუჩა

(შემოდინ ოტელო, იაგო და მხლებელნი ხელში მაშხალებით)

**იაგო:** თუმცა ომის დროს მე მრავალი შემოძვდომია, მაინც სამძიმოდ მიმაჩნია სინიდისისთვის მოფიქრებულად კაცის მოკვლა. ამ შემთხვევაში გაბედულობა და სიმკაცრე ხშირად მღალატობს; მაგრამ მან ისე მაწყეინა ცხრაჯერ, თუ ათჯერ, რომ ცოტას გაწყდა, არ ჩავურჭე ფერდში მახვილი.

**ოტელო:** უფრო კარგი, რომ ეგ არ მოხდა.

**იაგო:** აბა, რა მექნა?

ენა წაიგდო და თქვენს ხარისხს, პატიოსნებას ისე ურიგოდ, ისე ცუდად იხსენიებდა, რომ თავი ძლივს-ღა შევიმაგრე, ძლივს მოვითმინე. ახლა მიბრძანეთ, თქვენ რა ჰქენით? ხომ დაქორწინდით? ნუ დაივიწყებთ, ბრაბანციოს დიდ პატივს სცემენ და იმისი ხმა მთავრის ხმასთან ერთი-ორად სჭრის; მას შეუძლიან, განგაშოროთ, განგაქორწინოთ, ანუ დაგსაჯოთ ისეთ მძიმე, ძნელის სასჯელით, რა სასჯელსაც კი მიუზომავს კანონთ სიმკაცრე.

**ოტელო:** დეე, იჯავროს! მე მგონია, რომ იმის ჩივილს ამ ქვეყნისადმი ჩემი ღვაწლი ხმას შეუმოკლებს; და თუ აქ კაცსა თავის ქება ჰმატებს ღირსებას, მაშინ საქვეყნოდ გავამხელ, რომ ჩემთა წინაპართ ქვეშ სახელმწიფო ტახტი სდგამათ და მეც ღირსი ვარ, ამაყად დავხვდე ჩემგან ნაპოვნ ბედნიერებას; და ეს იცოდე შენც, იაგო, რომ ჩემ ცხოვრებას, ცის ფრინველივით თავისუფალს, არ შევხუთავდი, ხელმწიფებაც რომ მოენიჭათ ოკეანებედ, თუ დეზდემონას ტრფობა მკერდქვეშ არ ჩამსახვოდა. - ეს ვინ არიან? რა სინათლე მოჩანს იქიდან?

**იაგო:** ეს მამა არის იმ ქალისა განრისხებული და მის მოყვასნი. რომ მოშორდეთ, კარგი იქნება.





ქართული  
ლიტერატურის  
ხელნაწილების  
სამეცნიერო ცენტრი

ოტელი: მაგას არ ვიზამ, აქა მნახონ. ჩემმა ღირსებამ, ხარისხმა ჩემმა, სინიდისმა შეუბღალა მაგას რა სახეცა მძევს, იმ სახითვე გამომაჩინონ. - სწორედ ისინი კი არიან?

იაგო: სხვანი ყოფილან.

*(შემოდინ კასიო და რამდენიმე ოფიცერი ხელში მაშხალებით)*

ოტელი: მთავრის ამაღლის ოფიცრები! კასიოც მათთან. - ოჰ, მეგობრებო, ღმერთმა მოგცეთ მშვიდობის ღამე. რა ამბავს იტყვით?

კასიო: მთავარმა თქვენ მოკითხვა გიძღვნათ და გთხოვათ, ახლავ გამოცხადდეთ იმის წინაშე.

ოტელი: რისთვის მიბარებს, ხომ არ იცი?

კასიო: მე როგორც ვფიქრობ, კიპროსით მძიმე რამ ამბავი უნდა მოსვლოდეთ. მარტო ამაღამ თორმეტამდე შიკრიკი ზღვიდან ერთ-ერთმანეთზედ მოყოლებით მთავარს იახლა; სენატორებიც ძილდამფრთხალნი იქ შეიკრიბნენ; ამავე საქმისთვის საჩქაროზედ თქვენც დაგიბარეს, მაგრამ რაკი შინ ვერ ენახეთ, სენატმა ბრძანა, რომ სამივე მხარეს თქვენს საძებრად კაცნი აფრინონ.

ოტელი: კარგი, რომ შეგხვდით. პატარა ხანს აქ მომიცადეთ, სათქმელი რამ მაქვს მე ამ სახლში. მალე გამოვალ და წამოგყვებით. *(გაღის)*

კასიო: ასისტავო, აქ რას აკეთებს?

იაგო: ამაღამ მაგან ხელთ მოიგდო მდიდარი გემი და თუ კანონმა ეს საუნჯე არ ჩამოართვა, გაკეთდა მაშინ საუკუნოდ მაგისი საქმე.

კასიო: შენი სიტყვები მე არ მესმის.

იაგო: ცოლი შეირთო, ახლა ხომ მიხვდით?

კასიო: როგორ? ვინა?

იაგო: მაგან შეირთო...

*(ოტელი ისევ შემოდის)*

ბატონო ჩემო, მობრძანდებით?

ოტელი: აი, მოვდივარ.

კასიო: ჰხედავთ, სხვა დასიც აქეთ მოდის თქვენს საპოვნელად.

იაგო: ბრაბანციოა ეს კი სწორედ, ფრთხილად იყავით,





ცუდის განზრახვით მოდის იგი.

(შემოდინ ბრაბანციო, როდერიგო და შეჭურვილი

ოფიცრები ხელში მაშხალებით)

ოტელო: ვინ ხართ? გაჩერდით!

როდერიგო: ბატონო ჩემო, აგერ მავრი აქა ყოფილა.

ბრაბანციო: სტაცეთ ხელი მაგ ქურდს, ავაზაკს!

(ორივე მხრით ხმლებს ამოიღებენ)

იაგო: ოჰ, როდერიგო, შენ ბრძანებულხარ! მე მზადა ვარ, აბა, მობრძანდი!

ოტელო: ჩააგეთ ხმლები, თორემ ღამის ნამი დაჰქანგავს და ბრწყინვალეებას დაუკარგავს. - თქვენ კი, ბატონო, წელთა სიმრავლით მბრძანებლობა უფრო შეგფერით, ვიდრე ხმალ-ხანჯლით.

ბრაბანციო: ოჰ, შე ქურდო, შეჩვენებულო!

სად წაიყვანე ჩემი ქალი, სად გადამალე?

ჰოი წყეულო, შენ ის სწორედ მოაჯადოვე,

თორემ მოვიხმობ მოწმად ყველას, რასაც აქვს გრძნობა

და ვკითხავ, ნუთუ თილისმით რომ არ შეკრულიყო,

თავის მფარველ ჭერს, თავის მშობელს გაექცეოდა?

ქვეყნის მასხარა გახდებოდა და მოატანდა

შენს გამურულს გულს, რაც შიშს აღძრავს და არა სურვილს?!

მერე ვინ! ნაზი, მშვენიერი, სუსტი არსება,

რომელს ქმრის შერთვა ისე რიგად ეზიზღებოდა,

რომ შეძლებითა და შევენებით განთქმულ ყმაწვილ კაცთ,

თავის ქვეყნის შვილთ გამოჩენილთ უთხრა უარი.

მთელმა ქვეყანამ განმსაჯოს და განმასამართლოს,

თუ ყოვლად ცხადი არ იყოს ეს, რომ მის ნარნარი

აგებულება წაგიბილწავს წყეულის გრძნებით

და მოგიწამლავს ეშმაკეულ წამლით, აბებით,

რაიც უსუსტებს ადამიანს მის ნებისყოფას.

ეს აშკარაა, თვალსაჩინო, უცილობელი.

მე მსურს, ეს საქმე განიხილონ, კარგად განსაჯონ

და ამის გამო გატყვევებ შენ, ვით მატყუარას,

ვით უკანონო, აკრძალულის ხელობის მიმყოფს.

აბა, საჩქაროდ სტაცეთ ხელი, ნურსად გაუშვებთ!





ვენეციელი  
ოფიცერი

K 253. 253  
3

თუ გაჯიუტდეს, ნუ დაზოგავთ სასიკვდილოდაც!  
ოტელი: უკან დადექით ერთავ მხარე! აღარ გაბედოთ  
თქვენ ერთმანეთის ხელის ხლება. ახლა რომ ყამი  
იყოს ბრძოლისა, წაქეზება არ დამჭირდება. -

ბატონო ჩემო, სადა გნებავთ, რომ თან წამოგყვეთ  
და რასაც ახლა თქვენ მობრალეობთ, პასუხი ვაგო?  
ბრაბანციო: საპატიმროში წაგათრევ შენ, ვიდრე  
კანონი თვის წესისამებრ დასასჯელად არ მიგი-  
წოდებს.

ოტელი: ვთქვით, რომ დაუთანხმდი მე თქვენს  
სურვილს, მაშინ რა ვუთხრათ, ან რა პასუხი  
გავცეთ მთავარს, რომლის მსახურნი, აი, ჩემ  
გვერდით აქ დგანან და მასთან მიხმობენ რაღაც  
საჭირო სახელმწიფო საქმის გულისთვის.

პირველი ოფიცერი: მართალი გახლავთ,  
რასაც ბრძანებს, ბატონო ჩემო: დიდი რჩევა  
აქვთ სწორედ ახლა მთავრის დარბაზში და თქვენთანაც ხომ  
უეჭველად კაცს გაჰგზავნიდნენ.

ბრაბანციო: როგორ, მთავრისას რჩევა არის! ამ შუადამეს!  
მაშ კარგი, ეგეც ახლავე თან წამოიყვანეთ.  
სხვა საქმეებზედ ჩემი საქმე არ არის მცირე;  
თვით მთავარი და სენატორნი, მოძმენი ჩემნი  
ამ სირცხვილს თვისად მიიჩნევენ, უეჭველია.  
ამგვარ საქციელს გზა რომ მივცეთ თავისუფალი,  
უნდა ურჯულთ, ყურმოჭრილ ყმათ დავემორჩილოთ.

(გადიან)

საქართველოს  
პარლამენტის  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა





### სურათი III

იგივე ქალაქი. სათათბირო დარბაზი

(მთავარი და სენატორნი მაგიდის წინ სხედან. ოფიცრები მოშორებით ფეხზე დგანან)

მთავარი: ერთი მეორეს ეს ამბები არ ეთანხმება,  
და ამის გამო ვერ ვენდობით.

პირველი სენატორი: მართალსა ბრძანებთ:

აი, მე მწერენ, რომ ას შვიდი გემი არისო.

მთავარი: ჩემში სწერია ას ორმოცი.

მეორე სენატორი: ჩემში ორასი;

ეს კი სწორეა, რომ თუმც რიცხვში სხვა-და-სხვაობენ,  
რაც ხშირად მოსდევს ანგარიშსა სავარაუდოს,  
მაგრამ ყველანი მის შესახებ თანახმად გვწერენ,  
რომ ოტომანთა გემთ კრებული კიპროსს წასულა.

მთავარი: ეგ მართლა აგრე უნდა იყოს და მაგ მიზეზით  
გემების რიცხვის განსხვავება მე ვერ მამშვიდებს;  
ჩვენ უმთავრესს აზრს, ფრიად საშიშს, უნდა ვერწმუნოთ.

მეზღვაური (გარედან): ამბები მომაქვს მე ახალი, შიგნით  
შემიშვით!

პირველი ოფიცერი: შიკრიკი გახლავთ გემებიდან გამოგზავნილი.  
(შემოდის მეზღვაური)

მთავარი: აბა, რა იცი?

მეზღვაური: ოტომანთა ხომალდთ კრებული  
აწ როდოსისკენ გაემგზავრა. ბატონ ანჯელომ  
ეს დამაბარა თქვენ წინაშე მოსახსენებლად.

მთავარი: ამ ცვლილებისას შენ რას იტყვი?

პირველი სენატორი: ჭკვასთან არ მოდის,  
არც დასაჯერი არის ეგე; განგებ ჩადიან:  
ის სურთ, თვალები აგვიხვიონ, გზა დაგვიბნიონ.  
უნდა დავხედოთ ჯერ იმას, რომ ოტომანთათვის  
კიპროსი უფრო საჭიროა, ვიდრე როდოსი,  
უფრო ადვილად ასაღები, რადგანაც იგი  
არ არის კარგად მოწყობილი მტრის დასახვედრად.  
არც ერთი არ დგას. ამ კუნძულზედ ციხე-სიმაგრე,





ვენეციის დოჟი

როს იგი როდოსს გარშემო აქვს შემოზღუდული.  
 თუ ყოველს ამას ავწონ-დავწონით, ვერ დავიჯერებთ, ვითომც ოსმალთ იყოს ისე მიუხვედრელი, რომ საბოლოოდ უმთავრესი გადასდვას საქმე, სასარგებლოს და საადვილოს არ მიეტანოს და უნაყოფოდ შეებრძოლოს ძნელსა და საშიშს.  
 მთავარი: ისინი როდოსს არ მიდიან, ნამდვილი არის.  
 პირველი ოფიცერი: ამბები კიდევ!  
 (შემოდის შიკრიკი)

შიკრიკი: დიდებულნი მფარველნი ჩვენნი!  
 როს ოსმალთნი როდოსისკენ მიიმართოდნენ, იმათ ხომალდებს შეუერთდა სხვა გემთ კრებული.  
 პირველი სენატორი: მეც ეგ ვიფიქრე. - რამდენია იმ ხომალდთ რიცხვი, როგორ გგონია?  
 შიკრიკი: ოცდაათი გახლდებათ სწორედ.  
 შემდეგ ყველანი გამობრუნდნენ და ცხადად სჩანდა, რომ სურდათ კიპროსს თავს დასხმოდნენ. ბატონ მონტანომ, თქვენმა ერთგულმა და მამაცმა ხელისუფალმა, ეს მოგახსენათ და გთხოვათ, ამ ამბავს ერწმუნოთ.  
 მთავარი: ახლა ცხადია, კიპროსისკენ მიდიან სწორედ. - მარკოზ ლუჩიკოს ხომ ქალაქში არ იმყოფება?  
 პირველი სენატორი: ფლორენციაში გახლავთ იგი.  
 მთავარი: ჩქარა მისწერეთ და მსწრაფლად იგი ჩემს მაგივრად აქ დაიბარეთ.  
 პირველი სენატორი: აგერ აქ მოდის ბრაბანციო და მავრიც მასთან.

(შემოდის ბრაბანციო, ოტელი, იაგო, როდერიგო და ოფიცრები)

მთავარი: უნდა მოვმართოთ, ოტელი, შენს ქველ ვაჟკაცობას და გთხოვოთ, ახლავ გაემგზავრო, რომ ოტომანებს, ჩვენი ქვეყნის მტერთ შეებრძოლო. - (ბრაბანციოს)  
 ოჰ, უკაცრავად, ვერ დაგინახე; შენი მოსვლა კეთილი იყოს. ამაღამ შენი დახმარება და შენი რჩევა ჩვენ დიდად გვიჭირს.





**ბრაბანციო:** თქვენი რჩევა და დახმარება მე მიჭირს თვითონ. მოტყუებას ვითხოვ მე თქვენგან, დიდო მთავარო, მაგრამ უნდა ეს მოგახსენოთ, რომ მე ძილიდან არ ავმდგარვარ აქ დასასწრებად, არც იმ ამბისთვის, რასაც ახლა მე ყური მოვკარ. ახლა საერთო საქმისათვის არა მცალიან, მე საკუთარი მწუხარება დამატყდა თავსა, ნიაღვარსავით მოსკდა იგივე და სრულად შთანთქა სხვა ყოველივე მწუხარება, დარდი, ვარაძი და მაინც კიდევ იგივე დარჩა, რაც წინად იყო.

**მთავარი:** რაო, რა მოხდა?

**ბრაბანციო:** ჩემი ქალი, ოჰ, ჩემი ქალი!..

**მთავარი და სენატორნი:** ხომ არ მოძუდარა?

**ბრაბანციო:** დიად... ჩემთვის მკვდარია იგი...

მე ის მომტაცეს, მოატყუეს და მომიწამლეს მაწანწალისგან ნაყიდ წამლით, რაღაც თილისმით, თორემ ვით აცდენს ადამიანს ასე ბუნება, თუ არ უგრძნობელს, უილაჯოს, ბრმასა და საპყარს!

**მთავარი:** ვინც უნდა იყოს მაგ საზიზღის საქმის ჩამდენი, ვინც გამოსწირა შენს ასულსა თვისი გონება და გამოგწირა შენ ასული, - თვით წაიკითხე სისხლის სამართლის წიგნი შენვე და შენვე დასდე, რა სასჯელიც კი მოისურვო. არ გავტეხ სიტყვას, თუნდაც რომ მოხვდეს ჩემ ღვიძლ შვილსა სამართლის ცელი.

**ბრაბანციო:** გმადლობთ, ბატონო, უმდაბლესად! აი, ის კაცი ეს მაური გახლავთ, რომელიც თქვენ აქ დაიბარეთ საქვეყნო საქმის მისანდობად.

**მთავარი და სენატორნი:** დიდათა ვწუხვართ.

**მთავარი (ოტელოს):** აბა, ოტელო, შენ რას იტყვი, თავს რით იმართლებ?

**ბრაბანციო:** სხვა რაღას იტყვის იმის მეტს, რომ უნდა გამოტყდეს.

**ოტელო:** სიღარბაისლით, ძლიერებით სახელგანთქმულნო, კეთილშობილნო და სულდიდნო უფალნო ჩემნო! მართალი არის, მე მოვტაცე ამ მოხუცს ქალი; ისიც სწორეა, რომ მე იგი ცოლად შევირთე, - ეს არის ჩემის შეცოდების თავი და ბოლო. სიტყვა-პასუხი მკვახე მაქვს და კაზმულ ლაპარაკს,



მშვიდობიანის დროს შესაფერს, მოკლებული ვარ,  
 რადგან მას აქეთ, შვიდი წლისა რაც კი შევიქენ  
 დღევანდელ დღემდე, გარდა ამ ცხრის თუ ათის თვისა,  
 რაც კი ამ მკლავთა ღონე იგრძნეს, მათთვის სანუკვარ  
 საქმედ შეჰქმნიათ ვარჯიშობა საომარ ველზედ.  
 არა ვიცი-რა ამ დიდებულ ქვეყნის ბრუნვისა,  
 რაც კი ბრძოლას და ვაჟკაცობას არ შეეხება  
 და ვგონებ ჩემ თავს დამცველად ვერ გამოვადგები;  
 მაგრამ თუკი თქვენ მოთმინებას და ნებას დამრთავთ,  
 ჩემ სიყვარულის ზრდას მოგიტხრობთ თავით ბოლომდე  
 უბრალო ენით და სიტყვების შეუხამებლად.  
 მოგიტხრობთ, რაკი მამრალეხენ, თუ რა წამლებით,  
 როგორის გრძნებით, რა თილისმით, ან ჯადოსნობით  
 შევძელ მე მაგის ქალიშვილის გულის მოგება.

**ბრაბანციო:** მერე რა ქალი! მორცხვი, წყნარი, მშვიდობიანი,  
 რომელს თვისივე მიხვრა-მოხვრა სიწითლეს ჰგვრიდა!  
 როგორ მოხდა, რომ არ მიხედა არც წლოვანებას,  
 არც თვის ბუნებას, მამულს, სახელს, სრულად არარას  
 და შეიყვარა, ვის დანახვაც შიშის ზარს სცემდა!  
 ჭკუა-საპყარი უნდა იყოს, ტვინდაბნეული,  
 ვინც დაიჯერებს, რომ ისეთი სრული ქმნილება  
 ბუნების წესსა ასე ცხადად გადასცდებოდა.  
 ეს ჯოჯოხეთის მანქანების ნაყოფი არის  
 და ამის გამო იქვე ვარ და იმასვე ვამბობ,  
 რომ რაღაც სისხლის ამძღვრევ წამლით უმოქმედნია  
 და შელოცვითა მოუხიბლავს ასული ჩემი.

**მთავარი:** თქმა დამტკიცება როდი არის და საჭიროა,  
 საბუთი რამე თვალსაჩინო წარმოადგინო,  
 არ დაემყარო უსაფუძვლო, უბრალო ეჭვებს.

**პირველი სენატორი:** სთქვი, შენც, ოტელი; ნუთუ ესე მართალი არის,  
 რომ უწმინდურ გზით, ძალადობით, გრძნების წამლებით  
 ყმაწვილ ქალს გრძნობა მოუხიბლე და გადიბირე?  
 თუ, დამორჩილდა იგი შენს ცდას, შენს ტკბილ ლაპარაკს,  
 რაც ხშირად ერთ სულს მოციქულობს მეორე სულთან.

**ოტელი:** მე ეს მაქვს თქვენთან სათხოვარი, კაცი გაგზავნოთ  
 «შვილდ-ისარაზედ» და ის ქალი მოაყვანიოთ.



ალაპარაკეთ თავის მამის წინაშე თვითვე  
და თუ დაასკვნით ჩემ ბრალს იმის ლაპარაკიდან,  
ამხადეთ მაშინ ნაბოძები თქვენგან ღირსება,  
ამხადეთ ნდობა მე თქვენ მიერ მონიჭებული  
და თუნდ მომისპოს თვით სიცოცხლე მართლმსაჯულებამ.

მთავარი: გაჰგზავნეთ კაცი, დეზდემონა აქ მოიყვანონ.

ოტელიო (იავოს): შენ უფრო იცი, სადაც არის, წინ შენ წაუძეღ. -

(გადიან იავო და რამდენიმე მხლებელნი)

იმის მოსვლამდე მე მოგიტხოვრებთ ისეთ სისწორით  
რა სისწორითაც ზეცას ვუმხელ ჩემ სისხლის ცდომათ,  
თუ ვით შევძელ და იგი პირმზე გავიმიჯნურე,  
ან მე ვით იგი შევიყვარე.

მთავარი: სთქვი და ყურს გიგდებთ.

ოტელიო: იმ ქალის მამას ვუყვარდი მე და თავის სახლში  
მიწვევდა ხშირად, ჩემ ცხოვრებას მათხრობინებდა,  
თუ წლით წლობამდე რამდენ ბრძოლას, ციხეთ-აღებას  
მე დავსწრებოდი, ან რაოდენს შევეყროდი ხიფათს.  
მეც ვუამბობდი დალაგებით სრულს გარდასავალს  
ჩემის ბავშვობის დროის აქეთ თვით იმ წუთამდე,  
როცა მოსმენას ჩემსას იგი მოისურვებდა.  
ვუამბობდი, რაც შემმთხვევოდა უბედურება;  
რაც კი ხიფათი გამომეველო ზღვაზედ, თუ ხმელზედ;  
რამდენჯერ საშიშ, საზარელის ნაპრალის პირად  
ჩემი სიცოცხლე ბეწვს ეკიდა, ან უწყალო მტერს  
ვით ჩავუვარდი ტყვედ და მონად როგორ გამყიდეს,  
ან ვით დავიხსენ თავი ჩემი ამ ტყვეობიდან.  
ვუსახელებდი, რაც მენახა ჩემს მგზავრობის დროს:  
ვრცელ გამოქვაბულთ, უდაბნოთა უნაყოფოთა,  
ქვესკნელთ უძიროთ, ცად მიბჯენილს მთებსა და კლდეებს,  
ხალხს კანიბალად წოდებულსა, ანტროპოფაგთა,  
ერთმანეთისა ხორცის მჭამელთ და კაცთ უცნაურთ,  
რომელთაც თავი მხრების ქვემოთ აქვთ გამობმული.  
მეტად უყვარდა დეზდემონას ამის მოსმენა,  
თუმც ოჯახობის ვალი ხშირად უჩენდა საქმეს,  
მაგრამ რამწამს კი მორჩებოდა, კვალად ჩემს ამბავს.  
ისმენდა ხარბად, თითქო შთანთქვა სწყუროდა მისი.



მე ეს შევნიშნე, მარჯვე ჟამი ჩავიგდე ერთხელ  
და მოვახერხე ისე, რომ მან მომმართა თხოვნით,  
მეამბნა ჩემი ყოველი თავ-გარდასავალი,  
რაც მხოლოდ ზოგი მოესმინა ნაწილ-ნაწილად.  
მეც დავეთანხმე და ხშირადაც ჩემის მოთხოვნილებით  
მოვწყვიტე ცრემლი მას თვალთაგან, რა შევეხოდი  
სიჭაბუკის დროს ჩემზედ მომდგარ ფათერაკს რასმე.  
რა დავასრულე, ოხვრა მოსკდა ზვირთებრ გულიდან  
ჩემ შრომის ჯილდოდ და თან ფიცით მეუბნებოდა:  
უცნაური რამ შევიტყუო, გასაოცარი,  
გულის მომკვლელი, შესაზარი, შესაბრალისი!



არ მსმენოდაო ეგ ნეტავი! თუმც კი ისურვა,  
რომ იგიც ზეცას გაეჩინა ჩემებრივს კაცად.  
გადამიხადა მე მაღლობა და ესეც მითხრა,  
რომ თუ მეგობარს შენსას ვისმე მე ვუყვარდეთ,  
ასწავლე შენის მოთხოვნილისა შენებურად თქმა  
და მით შესძლებსო იგი ჩემის გულის მოხიბლვას...  
მივხვდი, რაც სურდა მას სათქმელად... პასუხიც გავეცე...  
ჩემგან გამოვლილ ჭირთათვის მან მე შემიყვარა,  
მე შევიყვარე ჩემთა ჭირთა თანაგრძნობისთვის.



არ მიხმარია ამის მეტი ჯადო-თილისმა! -

აი, აქ მოდის დეზდემონა, ჰკითხეთ მას თვითონ.

*(შემოდის დეზდემონა, იაგო და მხლებელნი)*

**მთავარი:** მგონი თვით ჩემ ქალს მოხიბლავდა ასეთ ამბვის თქმა. -

ჩემო კეთილო ბრაბანციო, მოთმენას გირჩევ;

წამხდარი საქმე კარგად უნდა გამოვიყენოთ, -

უსაჭურველობას სჯობს დამტვრეულ საჭურველის ქონა.

**ბრაბანციო:** მე გთხოვთ, ბატონო, მოუსმინოთ ჯერეთ თვით ქალსაც

და თუ იტყვის, რომ ამ საქმეში ეგეც ნახევრად

ყოფილა მავრის მონაწილე, - ჩაქოლვილ ვიყო,

როს კიდევ ფუჭის საყვედურით მივმართო მაგ კაცს. -

აქ მოდი, შვილო, მიპასუხე, ამ დიდ კრებაში

ვისდამი უფრო მორჩილება შენა გდევს ვალად?

**დეზდემონა:** მშობელო ჩემო, დიდებულო, მე ამასა ვგრძნობ,

რომ შუა არის გაყოფილი აწ ვალი ჩემი;

თქვენ მომანიჭეთ მე სიცოცხლე, თქვენ მე აღმზარდეთ

და ვით სიცოცხლე, ისე აღზრდა მას მასწავებენ,

რომ თქვენ მოგეპყრათ შესაფერის პატივისცემით, -

თქვენ უფალი ხართ ჩემი, მე კი თქვენი ასული.

მაგრამ აქა ღვას ჩემი ქმარი და ვით დედაჩემს

მოვალეობა თქვენს ბრძანებას უმორჩილებდა,

ვით თქვენ იმისთვის მის მამაზედ მეტი იყავით,

ისე მე ვითხოვ ნებას თქვენგან, რომ ჯეროვანი

მოვალეობა ვუძღვნა ჩემს ქმარს და ჩემს მეუფეს.

**ბრაბანციო:** კარგია, კმარა! გავათავე მე ჩემი საქმე.

სახელმწიფოსთვის აწ იზრუნეთ, ბატონო ჩემო. -

ნეტა სხვის შვილი ამეყვანა საკუთრის ყოლას! -

აქ მოდი, მავრო, რასაც კი მე ამჟამად გაძლევ,

დიდის ხალისით წაგართმევდი, რომ მას შენ კიდევ

არ მფლობელობდე. - თვალისჩინო, შენც ამას გეტყვი, -

დიდად მიხარის, რომ შენს მეტი შვილი არა მყავს,

თორემ მტარვალად გადამქმნიდა შენი ღალატი

და უბორკილოდ იმ შვილს არსად გავატარებდი. -

მე დავასრულე ჩემი საქმე, ბატონო ჩემო.

**მთავარი:** მაშ მომეც ნება, შენს მაგივრად ვთქვა დარიგება,

რაიც ამ არშიყთ საფეხურად უნდა გაუხდეთ,



- რომ შენს გულამდე მოაღწიონ, მოაღბონ იგი:  
 როცა საშველი აღარ არის და მწუხარება  
 იმედსა ჰკარგავს უკანასკნელს, თვითონაც ჰქრება.  
 განვლილის დარდის, გარდასრულის მიჩნევა წყენად  
 ხომ პირდაპირი გზაა ახლის დარდის საჩენად.  
 როს უწყალო ბედს ვერ ავიცდნეთ, მაშინ მის ვნებას  
 თუ მოთმინება არად აგდებს, გვიმატებს შვებას.  
 ჩვენსა გამქურდველს ვტაცებთ რასმე ჩვენის ღიმილით,  
 ჩვენს თავსვე ვქურდავთ უნაყოფო დარდით, ტკივილით.
- ბრაბანციო:** რაკი აგრეა, მაშ კიპროსი ოსმალოს ჰქონდეს,  
 არას დაკარგავთ, ოღონდ სახე ნუ დაგვიღონდეს,  
 დარიგებულთა აზრთ ატანა მას შეუძლიან,  
 იმათ ნუგეშის მოსასმენად ვისაც სცალიან.  
 ჭირთ გასაძლებად მოთმინებას ვინც ესესხება,  
 ვით აიტანოს ერთად დარდი და დარიგება?  
 ორპირად სჭრიან ეგ სიტყვები, ორაზროვანად,  
 გულს ხან თაფლივით მოესხმიან და ხან ბაღდაძად.  
 სიტყვა ყოველთვის სიტყვად რჩება და გულის წყლული  
 არ მსმენია, რომ ყურით იქმნას განკურნებული. -  
 გთხოვთ უმდაბლესად, სახელმწიფო საქმეს შეუდგეთ.
- მთავარი:** უნდა გაუწყოთ, ოტელი, რომ ძლიერებით შეჭურვილი  
 ოსმალო კიპროსისაკენ მიისწრაფება და იმ ადგილის ციხე-  
 სიმაგრე შენზედ უკეთესად არავინ იცის. თუმცა ჩვენ იქ  
 ღირსი და გამოცდილი მოადგილე გვყავს, მაგრამ საზოგადოე-  
 ბის აზრი, - ეს უაღრესი გამგე ჩვენის მოქმედებისა, -  
 შენზედ უფრო მეტს იმედს ამყარებს. მაშ შენ უნდა შესწყვი-  
 ტო შენის ახალი ბრწყინვალე ბედნიერების ხანა და შეუდგე  
 ამ ძნელს და შიშით აღსავსე საქმეს.
- ოტელი:** პატივცემულნო სენატორნო! მე ჩვეულებამ,  
 ამა მტარვალმა შემაჩვია, რომ ბრძოლის ველი  
 ქვით და ფოლადით მოკირწყლული მეჩვენოს რბილად  
 გაფუკვებულის ბუმბულისა საგებლის მსგავსად;  
 მე გაჭირვება სიხარულით მიტოვებს გულსა  
 და მზა ვარ, ახლავ გავემართო ოსმალოთ საბრძოლად.  
 მხოლოდ ამას კი მოწინებით ვითხოვ მე თქვენგან,  
 რომ ჩემს მეუღლეს მისცეთ სარჩო-საცხოვრებელი





ისე, ვით ჰფერობს მაგის მაღალ შთამომავლობას.

**მთავარი:** გსურთ, თავის მამის სახლში იყოს?

**ბრაბანციო:** ეგ მე არა მსურს.

**ოტელო:** არც მე მსურს.

**დეზდემონა:** არც მე. მამაჩემის სახლში ვერ წავალ, ვერ ვეყოლები მუდამ თვალწინ გულის საქენჯნად. დიდო მთავარო, გთხოვთ მოწყალედ, ყური მომაპყრათ, თქვენის ნებართვით გამამხნევოთ და მოისმინოთ ჩემი უბრალო მოხსენება.

**მთავარი:** სთქვი, დეზდემონა.

**დეზდემონა:** მე მავრი მიყვარს და მსურს მუდამ ვიცხოვრო მასთან.

ეს მე ვაცნობე მთელ ქვეყანას, როს გულახდილად და შეუპოვრად ავყევ უცნობ ბედის ქარიშხალს.

ოტელოს ნიჭსა დაუმონე მე გული ჩემი

და სული მისი მის სახეზედ გამომეხატა;

მის ვაჟკაცობას, ძლიერს სახელს შევწირე მსხვერპლად ნიჭიერება სულიერი, იღბალი ჩემი.

მე მყუდროების ჩრჩილად ახლა რომ აქ დამტოვოთ

და ის წავიდეს ომის ველზედ, ხომ ის ღირსება,

რისთვისაც იგი შევიყვარე, გამომეწირვის

და ჩემ სატრფოსთან მოშორებულს განმარტოება

მომელის მწარე. ნება დამრთეთ, რომ მეც თან წავყვე.

**ოტელო:** გთხოვთ, შეუსრულოთ ეს სურვილი, უფალნო ჩემნო.

მოწამე არის თვითონ ზეცა, მისთვის არ გვედრით,

რომ მოვუპოვო საზრდოება ჩემთა გულისთქმათ

და ან მოვიკლა მე წყურვილი ვნებათღელვისა, -

მაგის სურვილის შესრულება მწადის მე მხოლოდ.

ნუ გაიტარებთ იმ ფიქრს თავში, ვითომც თქვენს საქმეს,

დიდსა და მძიმეს ვულალატო მაგის იქ ყოფნით.

თუკი როდისმე კუპიდონმა მსუბუქფრთიანმა

თვისი ბეჭედი ზედ დაასვა ჩემ ჭკვას, ჩემ საქმეს,

ან შემაჩვია განცხრომას და ნებივრად ყოფნას,

თუ ამირია კვალი და გზა მოქმედებისა, -

ოჰ, მაშინ ტაშტად ამ მუზარადს მივცემ დედაკაცთ

და ჩემსა სახელს შეურცხვენელს, პატიოსნებას

უნამუსობის ჩირქი, მწიკვლი გარს გადაეკრას!

**მთავარი:** როგორც გინდოდეთ, გარდასწყვიტეთ. სურდეს, აქ დარჩეს,



სურდეს, წამოგყვეს. საქმე მეტად საჭირო არის, -  
ჩქარა შევუდგეთ. თქვენ ამაღამ წახვალთ აქედან.

დებდემონა: ამაღამ?

მთავარი: დიად, ამაღამვე.

ოტელი: მე ეგ მიხარის.

მთავარი: ხვალ დილით კიდევ ცხრა საათზედ აქ შევიყარნეთ. -  
ოტელი, ერთ-ერთს შენს ოფიცერს უკან დასტოვებ,  
მას გამოვატანთ ნდობის ქაღალდს და ყველა საბუთს,  
რაიც შეჭფერის შენს უფლებას, შენს ღირსებასა.

ოტელი: მე ჩემს ასისტავს დავტოვებ აქ, თუ ნებას დამრთავთ, -  
პატიოსანი კაცი არის და ფრიად სანდო.  
ჩემის მეუღლის წამოყვანას იმას მივანდობ;  
თუ გამოგზავნით ჩემთან რასმე, მასვე უბოძეთ.

მთავარი: ძალიან კარგი. - ღმერთს ვთხოვ თქვენთვის მშვიდობის  
ღამეს! (ბრაბანციოს) თუ სათნოებას არ აკლია მართლა  
შვენება,  
მშვენიერს ვეტყვი და არა შავს მაშინ შენს სიძეს.

პირველი სენატორი: კარგი მგზავრობა მოგცეს ღმერთმა,  
გმირო ოტელი. ტკბილად მოეპყარ დებდემონას, იზრუნე  
მისთვის.

ბრაბანციო: თვალი ადევნე მაგას, მავრო, ნუ მოაშორებ,  
მამას უმუხთლა და უფრთხილდი, შენც არ გიმუხთლოს.  
(გადიან მთავარი, სენატორები, ოფიცრები და სხვ.)

ოტელი: მაგის ნამუსის წინდად ჩემი სიცოცხლე იყოს! -  
ჩემ დებდემონას შენ გაბარებ, ჩემო იაგო;  
გთხოვ, შენი ცოლი მიუჩინო თანა მხლებელად;  
დრო რომ ჩაიგდო, შენვე ჩემთან წამოიყვანე. -  
აბა, წავიდეთ, დებდემონა, შენის ტრფობისთვის  
და სხვადასხვაფერ საქმისათვის ერთი საათი  
დრო მაქვს მე კიდევ; ჩვენც დროს უნდა დავემორჩილოთ.  
(გადიან ოტელი და დებდემონა)

როდერიგო: იაგო!

იაგო: რა გინდა, კეთილშობილო კაცო?

როდერიგო: როგორ გგონია, ახლა მე რას ვაპირობ?

იაგო: რას უნდა აპირობდე, წახვალ და დაიძინებ.

როდერიგო: ახლავ უნდა წავიდე და წყალში თავი დავიდრჩო.



**იაგო:** თუ ეგ გიქნია, ჩემ სიყვარულსაც უნდა გამოესაღმო. არა, აბა ერთი რა სისულელე მოგსვლია თავში!

**როდერიგო:** სისულელე ის არის, როცა სიცოცხლეს არ ვეშვებით, თუმცა იგი ტანჯვათა გვაქვს გადაქცეული. თუ სიკვდილს გარდა სხვა მკურნალი არ გაგვაჩნია, რასაკვირველია, ისევ სიკვდილს უნდა მივმართოთ.

**იაგო:** ჰიი, ლაჩარო! მე ეს ოთხჯერ შვიდი წელიწადია ქვეყანაზედ დავლოდილებ და რაც კარგისა და ავის გარჩევა შევიძელ, ერთი კაცი არ შემხვედრია, რომ თავის თავის ყადრი ესმოდეს. კაცი კი არა, მაიმუნი უნდა დამიძახო, თუკი რაღაც ციციურის გულისთვის თავის დაღრჩობას მოვინდომებ.


**როდერიგო:** რა ვუყო, რა ვქნა? გაგიტყდები, მე თვითონ მრცხვენინან, რომ ასე შემიყვარდა, მაგრამ იმდენი შეძლება არა მაქვს, თავს როგორმე მოვუარო.

**იაგო:** შეძლება არა გაქვს! რაებსა ჩმახავ? ჩვენზედ არის დამოკიდებული ჩვენი ყოფნაცა და შეძლებაც. ჩვენი სხეული ბალია და ჩვენი სურვილი მებაღე. გვინდა ჭინჭარს მოვიყვანოთ, გვინდა სალათას დავთესავოთ, ანუ ზირასა და ეკალას; მარტო ერთგვარს ბალახს, ანუ მრავალგვარს. თუ ვიზარმაცებთ, ამ ბაღს გაჭაპარტახებთ, თუ ვიმხნევეთ, გავანაყოფიერებთ. ერთის სიტყვით, ძალაც და განკარგულებაც ჩვენს სურვილზეა დამოკიდებული. თუ ჩვენის ცხოვრების სასწორზედ ერთ მხარეს გონიერება არ იდოს და გრძნობიერებას არ უბადლიდეს, ჩვენი სისხლი და ბიწიერება, ვინ იცის, რამდენს უბედურებას გადაგვიკიდებდა! მაგრამ გონება იმისთვისა გვაქვს, რომ გაცოფებული გულისთქმა გაგვიგრილოს, დააცხროს ჩვენი სისხლის ღელვა, ჩვენი მოუდრეკელი ავხორცობა. რასაც შენ სიყვარულს უწოდებ, ამ ავხორცობის შტოა, მისი ყლორტია.

**როდერიგო:** ეგ შეუძლებელია.

**იაგო:** ეგ ავხორცობაა-მეთქი ჩვენის ბუნებისა, ჩვენის სურვილის ნებადართვით. ვაჟკაცი არა ხარ?! წყალში თავი დავიღრჩოო! წყალში კატებსა და ბრმა ლეკვებს აღრჩობენ. მე შენი მეგობრობა ვიკისრე და შენს ღირსებას მაგარის და მსხვილის ჯაჭვით დავუკავშირდი. ახლა მაქვს დრო, ეს მეგობრობა დაგიმტკიცო. ქისაში ფული ჩაიდუ! წადი საომრად; სახე ნათხოვარის წვერით გადაისხვაფერე. ქისაში ფული ჩაიდუმეთქი! შეუძლებელია, რომ ღებღემონას მავრი ხანგრძლივ





**იაგო:** თუ ეგ გიქნია, ჩემ სიყვარულსაც უნდა გამოესაღმო. არა, აბა ერთი რა სისულელე მოგსვლია თავში!

**როდერიგო:** სისულელე ის არის, როცა სიცოცხლეს არ ვეშვებით, თუმცა იგი ტანჯვათა გვაქვს გადაქცეული. თუ სიკვდილს გარდა სხვა მკურნალი არ გაგვაჩნია, რასაკვირველია, ისევ სიკვდილს უნდა მივმართოთ.

**იაგო:** ჰიი, ლაჩარო! მე ეს ოთხჯერ შვიდი წელიწადია ქვეყანაზედ დავლოდილებ და რაც კარგისა და ავის გარჩევა შევიძელ, ერთი კაცი არ შემხვედრია, რომ თავის თავის ყადრი ესმო-დეს. კაცი კი არა, მაიმუნი უნდა დამიძახო, თუკი რაღაც ციციკრის გულისთვის თავის დაღრჩობას მოვინდომებ.

**როდერიგო:** რა ვუყო, რა ვქნა? გაგიტყდები, მე თვითონ მრცხვენინ-ან, რომ ასე შემიყვარდა, მაგრამ იმდენი შეძლება არა მაქვს, თავს როგორმე მოვუარო.

**იაგო:** შეძლება არა გაქვს! რაებსა ჩმახავ? ჩვენზედ არის დამოკიდე-ბული ჩვენი ყოფნაცა და შეძლებაც. ჩვენი სხეული ბალია და ჩვენი სურვილი მებაღე. გვინდა ჭინჭარს მოვიყვანოთ, გვინდა სალათას დავთესავოთ, ანუ ზირასა და ეკალას; მარტო ერთგვარს ბალახს, ანუ მრავალგვარს. თუ ვიზარმაცებთ, ამ ბალს გაჭაპარტახებთ, თუ ვიმხნევეთ, გავანაყოფიერებთ. ერთის სიტყვით, ძალაც და განკარგულებაც ჩვენს სურვილზეა დამოკიდებული. თუ ჩვენის ცხოვრების სასწორზედ ერთ მხარეს გონიერება არ იდოს და გრძნობიერებას არ უბადლი-დეს, ჩვენი სისხლი და ბიწიერება, ვინ იცის, რამდენს უბედუ-რებას გადაგვიკიდებდა! მაგრამ გონება იმისთვისა გვაქვს, რომ გაცოფებული გულისთქმა გაგვიგრილოს, დააცხროს ჩვენი სისხლის ღელვა, ჩვენი მოუდრეკელი ავხორცობა. რასაც შენ სიყვარულს უწოდებ, ამ ავხორცობის შტოა, მისი ყლორტია.

**როდერიგო:** ეგ შეუძლებელია.

**იაგო:** ეგ ავხორცობაა-მეთქი ჩვენის ბუნებისა, ჩვენის სურვილის ნებადართვით. ვაჟკაცი არა ხარ?! წყალში თავი დავიღრჩოო! წყალში კატებსა და ბრმა ლეკვებს აღრჩობენ. მე შენი მეგობრობა ვიკისრე და შენს ღირსებას მაგარის და მსხვილის ჯაჭვით დავუკავშირდი. ახლა მაქვს დრო, ეს მეგობრობა დაგიმტკიცო. ქისაში ფული ჩაიდუ! წადი საომრად; სახე ნათხოვარის წვერით გადაისხვაფერე. ქისაში ფული ჩაიდუ-მეთქი! შეუძლებელია, რომ დეზდემონას მავრი ხანგრძლივ





უყვარდეს. ფული ჩაიღე ქისაში!  
ხანგრძლივად არც მავრს ეყვარე-  
ბა. თავში ცხარედ დაიწყეს და  
ნახავ, რომ ბოლოს ამავე სიცხა-  
რით ერთმანეთს გაეყრებიან. შენ  
ფული ჩაიღე ქისაში! ამ მავრებმა  
მალე იციან გულის ასუყება. აბა,  
ქისა ფულით გაივსე! რაც მაგის-  
თვის ახლა შაქრის ლერწამივით  
ტკბილია, მალე ძირმწარესავით

მწარე შეიქნება. ღებღემონა ყმაწვილია და ისიც ჩქარა  
გამოიცვლება. როცა მავრი წყურვილს მოუკლავს, მიხვდება,  
რა შეცდომაც მოუვიდა იმის ამორჩევით. უეჭველად გადა-  
ინაცვლებს. აი, ამისთვის არის საჭირო ქისაში ფულები  
ჩაიწყო. თუ მაინცადამაინც არ დაიშლი და თავის მოკვლას  
მოინდომებ, წყალში დაღრჩობაზედ სხვა უფრო ნაზი საშუა-  
ლება მონახე. რაც მეტ ფულს მოაგროვებ, უკეთესია.  
მგონია, ჩემმა გონიერებამ და მთელის ჯოჯოხეთის მანქანებ-  
მა უნდა აჯობოს ცრუ ფიცს და ყალბ აღთქმას მაწანწალა  
ბარბაროსის და ცბიერთა ცბიერ ვენეციელ ქალს შორის. თუ  
ეს მოხდა, - მაშინ ღებღემონა შენი იქნება. ამისთვის ფული  
უნდა ნახო! აბა, რა სიმხეცე იქნებოდა, თავი დაგელრჩო. ან  
მაგითი რას მიაღწევდი? თუ მართლა სიკვდილი მოგდომებია,  
თავი მაშინ ჩამოაღრჩობინე, როცა შენს სატრფიალოს ხელში  
მოიგდებ. უიმისოდ წყალში ჩაღრჩობა, ერთი მითხარ, რა  
ხელსაყრელია?

**როდერიგო:** რომ მოგენდო, იმედს გამიმართლებ?

**იაგო:** სრულიად მომენდე. - წადი, ფული ნახე. მე შენთვის  
რამდენჯერმე მითქვამს და კიდევაც მრავალჯერ გეტყვი, რომ  
მე მავრი მძაგს. ჩემი სიძულვილი გულიდან მომდინარეობს  
და შენც ნაკლები მიზეზი არა გაქვს მძულვარებისათვის.  
შევერთდეთ და ერთად ამოვიყაროთ იმისი ჯავრი. თუ თავზედ  
რქებს დაასხამ, შენც ისიამოვნებ და მეც მაამებ. ამ დროებას  
ჯერ ბევრი ამბავი აქვს დამალული და მალე გამოამჟღავნებს.  
წადი, გასწი. ფული ნახე-მეთქი. ხვალ უფრო დალაგებით  
მოვილაპარაკოთ. მშვიდობით!

**როდერიგო:** ხვალ დილით სად შევიყაროთ?



იაგო: ჩემთან.

როდერიგო: მაშ ადრე მოვალ.

იაგო: კარგი, წადი. ღამე მშვიდობისა! გამიგონე, როდერიგო.

როდერიგო: რა გინდა?

იაგო: გულში აღარ გაიტარო თავის დაღრჩობა! გესმის?

როდერიგო: ახლა აზრი გამოვიცვალე. წავალ და მთელ ჩემს  
მამულს გავეყიდი. (გადის)

იაგო: წადი და ფული ბლომად მოაგროვე.

ყოველთვის ასე ბრიყვნი ქისად მე მმსახურებენ.  
რომ გასართობად და ანუ დროს-გასატარებლად  
ამგვარ სულელთან ვხარჯო ჩემი გამოცდილება,  
ხომ თავს შევირცხვენ. მე მძაგს მავრი, ამბობენ, ვითომ  
ჩემმაგივრობა გაეწიოს ჩემ სარეცელზედ.

მართალია, თუ ტყუილია, მე ეს არ ვიცი,  
მაგრამ ეჭვიც კი კმარა მართო, ისე მოვიქცე,  
თითქო ნამდვილი იყოს იგი. მავრს მე ვუყვარვარ;  
მით უკეთესად გასჭრის მასზედ ჩემი განზრახვა.

კასიო, მგონი, გამომადგეს... აბა, ვიფიქრო...

ოჰ, რა კარგს ვიზამ, დავიჭირო იმის ადგილი  
და ფრთა შევასხა ჩემს განზრახვას. ეს ეშმაკობა  
ორპირად გაჰკვეთს... მერე, მერე?... კარგად დავფიქრდეთ...

ცოტა ხანს უკან ჩავაწვეთებ ყურში ოტელოს,  
ვითომ კასიო თავისუფლად მის ცოლს ეპყრობა.

კასიო კარგი თვალადია, თავაზიანი,

ადვილად აცდენს სხვის ცოლებს და ქმრებსაც ადვილად  
ააღებინებს იგი ეჭვსა. მავრიც ხომ ისე

მიმნდობი არის, გულმართალი, რომ პატიოსანს  
უწოდებს, ვინც კი პატიოსნის სახეს იკეთებს.

ადვილია, მას კაცმა ცხვირზედ ხელი მოსჭიდოს  
და გაიყოლოს, როგორც ვირი. მაშ ეს დაესკვნა.

აქ ჩაისახა... ბნელი ღამე და ჯოჯოხეთი

ხელ-შეწყობილნი დაჰბადებენ საზარელ ნაყოფს!


(გადის)



# მოქმედება მეორე







## სურათი I

ზღვის პირის ქალაქი კუნძულს კიპროსზედ. ტერასი

(შემოდინ მონტანო და ორი აზნაური)

მონტანო: მოჩანს რამ ზღვაზედ მაგ კონცხიდან?

პირველი აზნაური: არა მოჩანს-რა:

ღელვაა დიდი, ძნელი არის ზღვას და ცას შორის  
იალქანს მოჰკრას კაცმა თვალი.

მონტანო: როგორც დავატყე, ძლიერი ქარი მძვინვარებდა ამ ჩვენს  
კუნძულზედ: მე არ მახსოვს, რომ კვლავ როდისმე ჩვენს  
კოშკის თავებს ესე ზანზარი შესდგომოდეთ ქარიშხლისაგან.  
თუ რომ ზღვაზედაც ამგვარადვე მძლავრობდა იგი,  
თავიანთ ჩარჩოს მუხის ბოძნი ვით შერჩებოდნენ,  
ვით გაუძლებდნენ მთის ტოლ ტალღებს, მათზედ მოსეუღს?!  
ვნახოთ, რა ამბავს გავიგონებთ.

მეორე აზნაური: უეჭველია, მიბნევ-მობნევას ოტომანთა გემთ  
კრებულისას. აბა ზღვის ნაპირს დადექით თქვენ ქაფით  
წალეკილს

და ნახეთ, როგორ ცის ღრუბელთა ებრძვიან თითქო  
ზვირთნი ღრიალით; თითქო გრძელს და საზარელ ფაფარს  
ყალყზე იყენებს ქარიშხალით ალექილი ზღვა,  
რომ ასწვდეს ვარსკვლავთ ბრწყინვალე გუნდს, დათვად  
წოდებულს, და წყლით ჩააქროს ეს დარაჯნი უძრავ პოლუ-  
სის. არ მოვსწრებივარ ამგვარ ღელვას, ზვირთთ აქოთებას.

მონტანო: თუ ოტომანთა გემთ კრებული სადმე ნავთ-სადგურს  
არ შეეფარა, მშვიდობით ვერ გადურჩებოდა,  
უეჭველია, დაღუპავდა ეს ქარიშხალი.

(შემოდის მესამე აზნაური)

მესამე აზნაური: კარგი ამბავი, მეგობრებო! გადავრჩით ომსა!

ამ საშინელმა ავმა დარმა თურმე ოსმალებს  
ისე მწარე დღე დააყენა, რომ ომის გეგმა  
შეშლიათ სრულად. ვენეციით მომავალ ხომალდს  
უნახავს, რომ მათ გემთ კრებულის მეტი ნაწილი  
ქარტეხილისგან დამსხვრეულა და ჩაძირულა.

მონტანო: იქნება მართლა?



მესამე აზნაური: თვით ის გემი ახლა აქა დგას,  
ჩვენს ნავთ-სადგურში, ვერონული არისო იგი.  
ამავე გემით ჩვენ გვეწვია მიქელ კასიო,  
გმირის ოტელოს მოადგილე. თვით მავრიც თურმე  
კიპროსის გამგედ დაუნიშნავთ და გზაზედ არის.

მონტანო: მოხარული ვარ, - მაგ ადგილის ღირსია იგი.

მესამე აზნაური: იგივე კასიო, - თუმც გვაუწყა კარგი ამბავი  
ოსმალთ დაღუპვის, - სწუხს და მავრის დახსნასა  
ნატრობს. ეგენი თურმე ამ მძაფრსა და ძლიერს ქარიშხალს  
გაუბნევია, გაუყრია ერთმანეთისთვის.

მონტანო: ღმერთმა ნუ ჰქმნას, რომ ევნოს რამე. მე კარგად  
ვიცნობ, მიმსახურნია მის ხელ-ქვეით; იგი უფროსობს,  
ნამდვილ მეომარს ვით შეჰფერის. ზღვის პირისაკენ  
წავიდეთ, აბა, ვნახოთ ახლად მოსული გემი  
და თან იქნება სახელგანთქმულ ოტელოს კვალი  
შორიდან სადმე გავარჩიოთ, თუნდა იქ მაინც,  
სად ოკეანე ერთვის ლაჟვარდ ცის დასავალსა.

მესამე აზნაური: წავიდეთ, ვნახოთ. ახლა უნდა ყოველ ჟამს და  
წუთს შორიდან მომსვლელს მოველოდეთ.

(შემოდის კასიო)

კასიო: მადლობას გიძღვნი, ამ სახელოვან კუნძულისა მამაცნო  
ძენო, ოტელოს ღირსად ქებისათვის. ინებოს ღმერთმა,  
რომ ამ მრისხანე სტიქიონთა გადარჩენოდეს, -  
მე იმას ზღვაზედ მეტად საშიშ დროს გავეყარე.

მონტანო: გემი ხომ მაინც მაგარია?

კასიო: კარგის ხისაგან გაკეთებული არის იგი; ნავკოსალარიც  
გამოცდილია და სიმარჯვით კარგად ცნობილი  
და მისთვის კიდევ ცხოველს იმედს გულში ვიღვივებ.

ხმები (გარედან): აფრა გამოჩნდა! აფრა, აფრა!

(შემოდის მეოთხე აზნაური)

კასიო: ეს რა ხმა არის?

მეოთხე აზნაური: ხალხი ზღვის ნაპირს გახვეტილა მთლად  
ქალაქიდან და მაღალის ხმით ყვირის: აფრა, აფრა  
მოჩანსო!

კასიო: ოტელოს გემი უნდა იყოს, გული მას მითხრობს.



(ზარბაზნის ხმა მოისმის)

მეორე აზნაური: ზარბაზნის სროლით, აგერ გესმით, სალამს  
გვაძლევენ; მოყვრისა არის ეგ სალამი.

კასიო: გთხოვთ, რომ წახვიდეთ

და იმ ხომალდში ვინ არიან, მალე გვაცნობოთ.

მეორე აზნაური: ახლავ, ბატონო. (გადის)

მონტანო: ცოლი ჰყავს თქვენს სარდალს, თუ არა?

კასიო: დიად, ცოლი ჰყავს და რა ცოლი! ენა ვერ იტყვის  
და თვითონ სიტყვაც ვერ მისწვდება იმის ღირსს ქებას;  
ვერ აღწევს ვერცა კალმის წვერი ხოტბა-ჩვეული;  
მის შესამკობად, უხვად ნიჭთა მისამადლებლად  
შემოქმედს თვისი კალთა მასზედ დაუბერტყია! -

(მეორე აზნაური დაბრუნდება)

აბა, გვაუწყე, ვინ ჩამოხდა იმ ხომალდიდან?

მეორე აზნაური: ჩვენის სარდალის ასისტავი, ვინმე იაგო.

კასიო: ოჰ, რა სისწრაფით, რა კარგ ბედზედ უვლია მათ გემს!  
თვით ჭექა-ქუხილს, მღელვარე ზღვას, ქარს გაცოფებულს,  
ზღვის ქვეშე კლდეთა, ქვიშის გროვათ - ამ მალულ საფ-  
რთხეთ, ბრალ-უქონელის გემის ვნებათ განმზადებულთა,  
თითქო უგრძვნიათ ყოვლად სრულის შვენების ძალა,  
მომაკვდენელი დაუცხრიათ ბუნება მათი  
და გზა უქმნიათ ღვთაებრივის ღებდემონასთვის.


მონტანო: ვის უწოდებთ თქვენ ღებდემონას?

კასიო: ეგ არის იგი, ვიზედაც ახლა მოგითხრობდით; ვინც სარდა-  
ლია თვით ჩვენს სარდალზედ. იაგოს ჰყავს ის მინდობილი  
და მან ჩვენს კუნძულს მოაღწია შვიდი დღით ადრე,  
ვიდრე ველოდით. ჰოი, დიდო იუპიტერო!  
შენ შეეწიე, შენ დაიხსენ გმირი ოტელო,  
დაჰბერე იმის აფრას შენი ძლიერი სული,  
რომ ამ ნავთ-სადგურს თვისის გემით მადლი მოჰფინოს,  
გულის ბგერითა ჩაეკონოს ღებდემონას მკერდს,  
განგვაცხოველოს დავრდომილნი ახალის ცეცხლით  
და შეება მისცეს მთელს ამ კუნძულს. - ერთი შეჰხედეთ:

(შემოდინა ღებდემონა, ემილია, იაგო, როდერიგო და მხლებელნი)

გემს თვის საუნჯე ხმელეთისთვის გადმოუცია!  
კიპროსის ძენო, მოიდრიკეთ ამის წინ მუხლნი! -





სალამს მოგიძღვნით და ვინატრით, რომ ზეცის მაღლი  
გფარვიდეთ ყველგან, წინ და უკან, მარჯვნივ და მარცხნივ!  
დეზდემონა: გმადლობ, კასიო. ჩემის ქმრისას ნეტა რას მეტყვი?

კასიო: ჯერ არ მოსულა და ეს ვიცი, სხვა არაფერი,  
რომ კარგად უნდა ბრძანდებოდეს და მალეც გაჩნდეს.

დეზდემონა: მე ვშიშობ ფრიად. მითხარ, როგორ გაიყარენით?

კასიო: ზღვისა და ზეცის ერთმანეთში სასტიკმა ბრძოლამ  
ჩვენ განგვაშორა... მოითმინეთ... გესმით, აფრაო?

ხმები (გარედან): აფრაა, აფრა!

(გარედან ზარბაზნის ხმა მოისმის)

მეორე აზნაური: ციხეს სალამს აძლევენ სროლით.  
ესეც მოყვარე უნდა იყოს.

(აზნაური გადის)

კასიო: წადით, გაიგეთ. -

შენც გამარჯვება, ასისტავო! - (ემილიას)

თქვენც სალამს გიძღვნით. -

ჩემო იაგო, ნუ გამკიცხავ ამგვარ ქცევისთვის,  
ჩვენში ზრდილობად მიაჩნიათ ეს სითამამე.

(ემილიას ჰკოცნის)

იაგო: თუ მაგან თქვენთვის თვის ტუჩები არ დაიშურა  
ისე, ვით ჩემთვის არ იშურებს ენით ყბედობას,  
ვგონებ, თქვენც მალე თავს შეგაწყენთ.

დეზდემონა: მაგას რად ამბობ? ამას არ უყვარს ლაპარაკი.

იაგო: გარწმუნებთ უყვარს, მეტადრე მაშინ, როს დაღალულს ძილი  
მერევა; თქვენს წინაშე კი, მართალია, თქვენი რიდი აქვს,  
ენას მუცელში იმაღავს და გონებით მლანძღავს.



**ემილია:** მგონი, მიზეზი მაგის თქმისთვის არ მომიცია.

**იაგო:** კარგია, გიცნობთ: თქვენს სახლს გარეთ სურათებს ჰგავხართ და სახლში ეყვნებს; მშიერ კატებს - საკუჭნაოში; წმიდანები ხართ, როს სხვას ჰკიცხავთ და ეშმაკები, როცა თქვენ გკიცხვენ; ცუდად ლაყბობთ მასპინძლობის დროს და მასპინძლობა კარგი იცით მხოლოდ ლოგინში.

**დებდემონა:** გრცხვენოდეს, ეგრე ცილს რომ სწამებ!

**იაგო:** თუ რასაც ვამბობ, ტყუილი იყოს, მაშინ ოსმალთ ჯიში მიწოდონ: ლოგინით დგებით შესაქცევად და წვებით მისთვის, რომ იქ ისაქმით.

**ემილია:** შენ არ მოგთხოვ ჩემზედ ქების თქმას.

**იაგო:** არც მე ვივისრებ.

**დებდემონა:** აბა, მე რომ შემოგიკვეთო, რა ქებას მიძღვნი?

**იაგო:** ნუ მომანდობთ მაგას, ბატონო, თუ არ გაკიცხვას, სხვას ვერაფერს ვერ მოვა ზერხებ.

**დებდემონა:** არა, უნდა სთქვა. - ნავთ-სადგურში წავიდა ვინმე?

**იაგო:** დიად, გაიხლათ.

**დებდემონა:** სევდა გულზედ მაქვს მოწოლილი,

მაგრამ კი ვცდილობ, მხიარული სახე მივიღო. -

სთქვი, აბა, ჩემზედ რას იტყობდი, როგორ მაქებდი?

**იაგო:** ახლა მაგაზედ ვფიქრობ, თუმცა ჩემ თავს ეგ ფიქრი იმგვარად სძვრება, როგორც მატყლსა დაკრული წებო: ნაძალადევად ადის, მაგრამ ტვინიც თან ააქვს.

მშობიარეა ჩემი მუზა და აი რას შობს:

ლამაზს და ჭკვიან ქალს ეს უნდა მცნებადა ჰქონდეს, -  
კარგად გამორჩეს სილამაზეს, ჭკუას ხმარობდეს.

**დებდემონა:** ეგ კარგი ქებაა! უსახურს და ჭკვიანს რაღას ეტყვი?

**იაგო:** უსახურს ქალს თუ შესწევს ჭკუა და მოხერხება,  
სახიერ კაცის მოხიბლვა არ გაუჭირდება.

**დებდემონა:** თანდათან უარესს ამბობ.

**ემილია:** ლამაზი რომ იყოს და ჭკუანაკლები?

**იაგო:** არ ეთქმის ჭკუანაკლებობა ლამაზსა ქალსა,

რადგან ჭკვის კლება შვილთ საჩენად უმატებს ძალსა.

**დებდემონა:** ეგ რაღაც ძველი უცნაური აზრებია დუქნებში სალაზა-  
ნების გასართობად მოგონილი. რა უბრალო ქება შეხვდება



შენგან გონჯსა და ჭკუნაკლებ ქალს!

**იაგო:** რა ეშმაკობაც გამოუვა ლამაზს და ჭკვიანს,  
იგივე ძალუძს ჭკუნაკლებს, სახე-მანკიანს.

**დეზდემონა:** დიდი უმეცრებაა! ყველაზედ უარესს ყველაზედ უკეთესად ამკობ. ახლა ესეც მითხარ, რას იტყოდი, მართლა პატივსაცემ ქალზედ, რომელსაც იმდენი ღირსება აქვს, რომ თვით ბოროტებაც კი ცუდს ვერას აკადრებს?

**იაგო:** ვინც სახით არის მშვენიერი და თავმდაბალი, სიტყვა უჭრის და არ უყვარს კი ენის ჭარტალი; ვინც მდიდარია, თუმც სიმდიდრეს არ უხრის თავსა, ერთგვარად იტანს აუშფოთლად კარგსა და ავსა; ვინც მტერს ადვილად გადაუხდის ჯავრსა და წყენას, მაგრამ ითმენს და ყურს არ უგდებს გესლიან ენას; ვისაც იმდენი აქვს გონება და მოსაზრება, რომ ლოქოს ბოლოს ზუთხის თავი ემჯობინება; ვინც სჯის გონებით და თვის აზრის თქმას კი ვერ ჰბედავს, მიმდევარ არშეით ხილვად უკან არ მიიხედავს; აი, ასეთი დედაკაცი თუ სადმე იყოს...

**დეზდემონა:** რას იტყვი მაგისტანა ქალზედ?

**იაგო:** ძუძუ აწოვოს სულელებს და ლუდი არიგოს.

**დეზდემონა:** ოჰ, რა ცუდად და უგემურად დააბოლოვე. - ემილია, თუმცა შენი ქმარია, მაგრამ მაგისტგან ნურას ისწავლი. - რას იტყვი, კასიო, განა ამისთანაზედ არ ითქმის, მეტად ავის ენის და თავხედი მრჩეველიაო?

**კასიო:** მართალია, ცოტა მოურიდებელი ლაპარაკი იცის, ბატონო ჩემო, და, ვგონებ, ეგ უფრო მოგეწონებათ როგორც ჯარისკაცი, ვიდრე როგორც ენამეტყველი.

**იაგო (თავისთვის):** კასიო ხელს ართმევს. ძალიან კარგი! იჩურჩულეთ. ამ პატარა ქსელში კასიოსოდენა ბუზს გავაბამ. გაუცინე, გაუცინე! შენს ზრდილობას შენვე ბორკილად გაგიყრი. მართალია, მართალია! სწორეა, რასაც ამბობ! თუ ჩემმა მოხერხებამ ეგ ხარისხი გამოგწირა, შენი სამი თითის ალერსს მაშინ შეგანანებ. თითებს კიდევ იოცნი, განა, რომ მაგითი ზრდილობიანობა დაუმტკიცო? ეგ უკეთესი! უჰ, რა გემრიელი კოცნაა, რა ჩინებული თავაზიანობაა! კიდევ





მიგაქვს ტუჩთან თითები? ოჰ, ნეტა ეგენი ტუჩის კოტოშად  
გადაგექცნენ. - (საყვირის ხმა მოისმის) ეს ოტელო ბრძან-  
დება; იმის საყვირის ხმას ვიცნობ.

კასიო: სწორედ ის არის.

დეზდემონა: წავიდეთ, მივეგებოთ.

კასიო: აგერ თვითონაც.

(შემოდიან ოტელო და მხლებელნი)

ოტელო: ჩემო ლამაზო მეომარო!

დეზდემონა: ჩემო ოტელო!

ოტელო: მაოცებს დიდად, თან შუქსა მფენს სიხარულისას,  
რომ ჩემზედ წინათ აქ მოსულხარ, სულზედ უტკბესო.  
თუ ყოველს ავდარს მყუდრო დარი მოსდევს ასეთი,  
დეე, იქროლონ ქარიშხალთა, ვიდრე თვით სიკვდილს  
არ დაუფრთხოვენ მოსვენებას; დეე, ხომალდნი  
ოლიმპისოდენ ზვირთთა მთებზედ ტანჯვით ავიდნენ  
და იმ ცად მიმწვდარ სიმაღლიდან ჩაეშვნენ ქვესკნელს!  
ახლა რომ მოვკვდე, ჩემს სასურველს ბედს შევეყრები;  
რადგან ჩემს სულსა, ახლა სავსეს ნეტარებითა,  
ვგონებ უცნობი ბედისწერა აღარ არგუნებს  
ასეთს უზომო სიტკბოებას.

დეზდემონა: ღმერთმა ნუ ქმნას ეგ!

ღმერთმა ინებოს, რომ ვით ჟამი და დრო გვემატვის,  
ისე გვემატოს სიყვარული და სიტკბოება.

ოტელო: ძალნო ციურნო, შეუსმინეთ! - ველარ ვახერხებ  
გამოვთქვა ჩემი ნეტარება... ხმა აღარ მომდევს...  
ოჰ, მეტის-მეტი არის ჩემთვის ეს სიხარული... (ჰოცნის)  
ეს იყოს, ესა... უაღრესი უთანხმოება, რაც კი როდისმე  
აღმოჩნდება მე და შენ შორის.

იაგო (თავისთვის): ხმაშეწყობილად უკრავთ ახლა, მაგრამ ძირს  
დავცემ სიმების ჯორას და მოგისპობთ ტკბილსა მუსიკას,  
პატიოსნებას ვფიცავ ჩემსას.

ოტელო: ახლა წავიდეთ ციხე-დარბაზში, მეგობრებო. თქვენც  
გაიგებდით, ომი გათავდა, დაიღუპნენ წყალში ოსმალნი. -  
როგორ არიან აქაურნი ნაცნობნი ჩემნი? -  
შენ, სულს ჩემო, აღტაცებით დაგიხვდებიან, -









გზით უფრო ადვილად მიაღწევს თავის ფარულ და გარყვნილ მიდრეკილებას. კასიოს ერგება-მეთქი იგი! კასიო საშიშია თავის ცბიერებით; იცის, სად როგორ უნდა მოიქცეს და თუმცა ნამდვილ ღირსებას მოკლებულია, მაგრამ ყალბს ნამდვილსავით იფერებს. სწორედ ეშმაკის ფეხია! ამასთანავე კარგის სახისაა; არის ახალგაზრდა და ყველა ის თვისება აქვს, რასაც ადვილად შეუძლიან ნორჩი და ჭკუასუსტი არსება მოხიბლოს. ნამდვილი თვალთმაქცია-მეთქი

და ღებღემონაზუდ იმოქმედა კიდეც იმისმა თვალთმაქცობამ.

**როდერიგო:** მე მაგას ვერ დავიჯერებ: ღებღემონა ზეციური სათნოებით სავსეა.

**იაგო:** ზეციური კი არა, ახლა ქვესკნელური მომიგონე. განა რა ღვინოსაც ისა სვამს, ყურძნის წვენი არ არის? იმას რომ ზეციური სათნოება ჰქონდეს, ხომ მაერსაც არ შეიყვარებდა. ეგ თვალთმაქცური სათნოებაა! არ შეამჩნიე, როგორ გამოართვა ხელი კასიოს და ხელის გულზედ უაღერსებდა? ვერ დაინახე?

**როდერიგო:** დავინახე, მაგრამ ეგ ხომ უბრალო თავაზიანობაა.

**იაგო:** ეგ გარყვნილების ნიშანი არის, გეფიცები ამ ჩემს მარჯვენას! ეგ უწმინდური წინასიტყვაობაა ბინძურ ვნებათა ამბებისა. ტუჩები ისე ახლო მიიტანეს, რომ ერთის სუნთქვას მეორის სუნთქვისაგან ვერ გამოარჩევდი. ეგ ბილწი გულისთქმაა, როდერიგო! როცა ერთმანეთთან დამოკიდებულება ამ გზას დაადგა, თან უეჭველად უმთავრესი ვარჯიშობა მოჰყვება - ხორციელი დატკბობა. ფუ! - მაშ მომეც ნება, შენი წინამძღვარი ვიყო; მაინც მე არ მოგიყვანე ვენეციიდან! ამაღამ დარაჯში ჩაერიე. მე ისე მოვახერხებ, რომ შენც იქ დაგანიშვინონო. კასიო შენ არ გიცნობს. მეც ახლო დავდგები სადმე. ისეთი შემთხვევა იპოვე, რომ კასიოს გული მოაყვანო: ან მაღალის ხმით ლაპარაკს მოჰყევ, გაჰკიცხე იმის განკარგულება, ან სხვა რამ მოიგონე, რასაც კი დრო და ჟამი ჩაგაგონებს.

**როდერიგო:** ძალიან კარგი.

**იაგო:** კასიო მეტად ცხარეა და მალე იცის გულის მოსვლა. იქნება



დაგარტყას კიდევ; ეცადე, დაგარტყას. მე ამ ამბით კიბროსელთ ავაჯანყებ და მათ დასამშვიდებლად კასიოს გადაყენება იქნება საჭირო. მაშინ შენის სურვილის მისაღწევი გზა შეგიმოკლდება და მეც ყოვლის ღონით ვეცდები, დაგეხმარო. ამ საშუალებით დაბრკოლებას თავიდან ადვილად ავიცილებთ; უამისოდ შეუძლებელია გავაწყოთ რამე.

**როდერიგო:** თუ შემთხვევა მომეცა, უეჭველად შევასრულებ შენ სიტყვას.

**იაგო:** შემთხვევა ჩემ კისერზედ იყოს. პატარა ხანს უკან ციხეში ვნახოთ ერთმანეთი. მე უნდა წავიდე და მავრის ბარგი ნაპირზედ გადმოვალაგებინო. მშვიდობით!

**როდერიგო:** მშვიდობით! (გაღის)

**იაგო:** მე ეს მჯერა, რომ დეზდემონა კასიოს უყვარს; დასაჯერია, ის უყვარდეს დეზდემონასაც. თვითონ ოტელიო, თუმცა მძულს კი, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ პატიოსან, მოყვარულის გულისა არის და ნაზი ქმარი უნდა იყოს დეზდემონასთვის. მეც ცოტად მიყვარს დეზდემონა; ეს სიყვარული არ ჩამეთვლება ავხორცობად, თუმცა იქნება პასუხისგება ამ ცოდვისთვის დამჭირდეს კიდევ. მე ის მსურს მხოლოდ, მავრის ჯავრი ამოვიყარო, რადგან ეჭვი მაქვს, რომ იმ გარყვნილს ჩემ ქვეშაგებში ჩემს ნაცვლად ბინა დაუდვია. ეს ეჭვი გულ-გვამს საწამლავივით მწარედ მიღრღნის და ამ ჩემ სულსა ვერ მოასვენებს ვერაფერი, ვიდრე მეც მის ცოლს ხელთ არ მოვიგდებ და ისე არ გავუქვითდები. თუ არ მომიხდა ეს მე, მაშინ ოტელიოს გულში ისეთ ძლიერ ეჭვს აღვუძრავ, რომ გონიერებამ ვეღარ გაჰკურნოს თავის დღეში. მიქელ კასიო საჭირო არის ახლა ჩემთვის... ნეტა ეს წუწკი ვენეციელი ხელიდან კი არსად გამისხლტეს და უდროოდ დროს სანადიროდ არ გაიწიოს. კასიოსაც კი მოვუხერხებ... მავრის წინაშე ცუდად დავსახავ და დავასმენ, ვით საშიშარ კაცს... ვგონებ, ესეც კი შეჭხებია ჩემ სარეცელსა...





ისე მოვაწყობ, რომ მავრმა მე მადლობა მითხრას,  
 დამაჯილდოვოს, შემიყვაროს მისთვის, რომ მასვე  
 ნამდვილ სახედრად გადავაქცევ, შვებას მოვუსპობ,  
 მოვუსპობ სრულად მოსვენებას, ჭკუიდან შევშლი.  
 ჩემი განზრახვა ჯერ აქ არის დაულაგებლად.  
 ავაზაკობა თვის სანატრელს როცა მიაღწევს,  
 მხოლოდ მაშინ-ღა გამოიჩენს ჭეშმარიტ სახეს.

(გადის)

## სურათი II

### ქუჩა

(შემოდის გზირი, ხელში ბრძანების ქაღალდი უჭირავს,  
 ხალხი უკან მოსდევს)

**გზირი:** რადგან ოსმალს გემთა კრებულის დაღუპვის ამბავი  
 მოვიდა, ჩვენმა დიდმა და სახელგანთქმულმა გამგებელმა  
 ოტელომ ისურვა, რომ ყველანი მხიარულებას მიეცნენ:  
 ზოგმა იცეკვოს, ზოგმა ქუჩებში ცეცხლი გააჩაღოს და ვისაც  
 როგორ ესიამოვნება, ისე შეექცეს. ამ საამო ამბავს გარდა,  
 დღეს გამგებელის ქორწილია და ესეც იმის სურვილისამებრ  
 ხალხს უცხადდება. სახელმწიფო სახლები ღიაა და ყველას  
 ნება აქვს იქ პური სჭამოს და დრო გაატაროს ამ ხუთი  
 საათიდან იმ დრომდე, ვიდრე კედლის საათი თერთმეტს  
 დაჰკრავდეს. ღმერთი იყოს მფარველი კუნძულის კიპროსისა  
 და ჩვენის დიდებულ სარდლის ოტელოსი!

(გადიან)



## სურათი III

დარბაზი ციხეში

(შემოდინ ოტელო, დეზდემონა, კასიო და მხლებელნი)

ოტელო: შენ უგდე ყური, ჩემო მიქელ, ამაღამ დარაჯს; დროს გატარება და შექცევა ნუ დაგვავიწყებს მას, რაც ვალად გვდევს.

კასიო: იაგოს აქვს ეგ მინდობილი, მაგრამ მე მაინც წავალ თვითონ, ყველას დავხედავ.

ოტელო: ჰო, იაგოც კი სანდო არის. ღამე მშვიდობის!

ხვალ დილა ადრე მოდი ჩემთან, სათქმელი რამ მაქვს.

(დეზდემონას) წამოდი, ჩემო სასურველო, მოვრჩით ვაჭრობას, ახლა მე და შენ მონაგარი უნდა ვიგემოთ.

(გადიან ოტელო, დეზდემონა და მხლებელნი. შემოდის იაგო)

კასიო: ოჰ, იაგო, კაი დროს მოხვედი. უნდა ახლავ სადარაჯოს წავიდეთ და ჩვენი ადგილი დავიჭიროთ.

იაგო: ჯერ ადრეა, ათი საათიც არ არის. ჩვენმა სარდალმა ასე მალე დეზდემონას სიყვარულის გულისთვის დაგვითხოვა. არც გასამტყუნარია: ერთი ღამეც არ დამტკბარა მასთან წოლით და დეზდემონა თვით იუპიტერსაც გულისთქმას აუშლის.

კასიო: მართლა ჩინებული ქალია.

იაგო: დარწმუნებული ვარ, ცეცხლივით ფიცხი უნდა იყოს.

კასიო: სწორედ ნაზი და უმანკო ქმნილებაა.

იაგო: მერე რა თვალები აქვს, ისე გიყურებს, თითქო შენი განგმირვა უნდაო.

კასიო: მიმზიდავი თვალები აქვს და თან მორცხვობით სავსე.


იაგო: როცა ლაპარაკობს, ასე გგონია, გულში სიყვარულს გიღვიძებსო.

კასიო: უნდა მართალი სთქვას კაცმა, დეზდემონა უნაკლულო რამ არის.

იაგო: ღმერთმა ბედნიერება მოჰფინოს მათ საქორწინო საგებელს!

- აბა, კასიო, მე თან ერთი ბოთლი ღვინო მაქვს და აქვე გარეთ კიპროსელი ყმაწვილები დგანან, რომელნიც დიდის სიამოვნებით დალევენ თითო ჭიქა ღვინოს შავის ოტელოს სადღეგრძელოდ.





კასიო: ამაღამ ნუ! თავი დავანებოთ. მე ღვინოში სუსტი ვარ და ადვილად ვერ ვიტან. ნეტავი ხალხს სხვა რამ შესაქცევი მოეგონა ღვინის მაგივრად.

იაგო: არა უჭირს-რა. ის ყმაწვილები უცხონი არ არიან. მხოლოდ თითო ჭიქა დავლიოთ. თქვენს მაგივრად თუნდა მე დავლევ.

კასიო: ამაღამ მარტო ერთი ჭიქა დავლიე, ისიც ძალზე წყალნარევი და ხომ ხედავ, როგორ გამომცვალა. ეს სისუსტე მე ძალიან მაწუხებს და ვეღარ გავბედავ ჩემის თავის გამოცდას.

იაგო: რა ჯიუტი ყოფილხართ! ამაღამ ხომ შექცევის დროა და ის ყმაწვილებიც გულიანად გვეპატიუებიან.

კასიო: სად არიან?

იაგო: აი, აქვე, კარებთან. უბრძანეთ, შინ შემოვიდნენ.


კასიო: თუმცა მეზარება, მაგრამ დავუძახებ. (გაღის)

იაგო: თუკი როგორმე ერთი ჭიქა დავალევი და მივუმატე მას, რაც თვითონ ამაღამ უსვამს, ჭირვეულობას და ანჩხლობას მოჰყვება იგი ჩემის ყმაწვილის ქალბატონის ფინიას მსგავსად. ამ ჩემს ჭკვა-ნაკლებს და საცოდავს, ბრიყვ როდერიგოს გადმოუბრუნა სიყვარულმა, რაც ჭკვა გააჩნდა და ღებღემონას სადღეგრძელოდ კარგად მიირთო; ესეც დარაჯად უნდა იდგეს. დარაჯად დგომა შეხვდათ აგრეთვე სამ გულზვიად კიპროსის ძეთა, ამ ქვეყნის თვალთა და სახელის ერთგულად დამცველთ, - კარგად დავათვრე ხომ ესენიც სავსე ჭიქებით. ასეთს მთვრალ ხალხში მოვაქმედებ კასიოს რასმე ამ კუნძულისთვის სათაკილოს... აგერ მოდიან... თუ ჩემს განზრახვას შესაფერი ბოლო შეუდგა, ჩემ გემის აფრას სამშვიდობო ქარი დაჰბერავს.

(შემოდის კასიო და უკან მოსდევენ მონტანო,

აზნაურნი და მსახური ხელში ღვინის ჭურჭლით)

კასიო: გეფიცებით, მე ამათ კიდევაც შემაქეიფიანეს.





მონტანო: აბა ეგ რა სათქმელია! მეომარი ნუ მერქვას, თუ ნახე-  
ვარ ბოთლზედ მეტი ყოფილიყოს.

იაგო: ეი, ღვინო მოიტანეთ!

(მღერის)

«ძმებო, ჭიქა მივაჯახოთ ჭიქასა!  
ძმებო, ჭიქა მივაჯახოთ ჭიქასა!  
ჯარისკაციც ხომ კვდება,  
სოფელს რას გამორჩება!  
ჯარისკაციც მაშ მისწვდეს ჯიხვის რქასა!»

ბიჭო, მოიტა ღვინო!

კასიო: ღვთის წინაშე, ჩინებული სიმღერაა!

იაგო: მე ეს ინგლისში ვისწავლე, აი, კარგი სმა იქ იციან. როგორ  
მოვა ინგლისელთან ან შენი დანიელი, ან გერმანელი, ან  
სქელმუცელა ჰოლანდიელი? - დალიე და!

კასიო: მაშ ინგლისელები მარჯვედა სმენ?

იაგო: ინგლისელს ვერაფერს შეატყობ, როდესაც დანიელი მიძკვდა-  
რებულია და გერმანელი ძირსა გდია უგონოდ. ჰოლანდიელს  
ხომ მეორე ჩარეჩის ავსებამდე პირსაქმება მოსდის.

კასიო: ეს ჩვენის სარდლის სადღეგრძელო იყოს.

მონტანო: მეცა ვსვამ მაგ სადღეგრძელოს, ბატონო თანაშემწე;  
მეც თქვენთანა ვარ.

იაგო: ოჰ, ჩემო ტკბილო ინგლისო!

(მღერის)

«მეფე სტეფანე იყო სვიანი  
შარვალში თითო ოქროს აძლევდა;  
ესეც ეძვირა, ხუთ-გროშიანი  
დაუკლო, მკერვალს წყრომით შეხედა.  
მას ღმერთმა მისცა ძალი, დიდება,  
შენ მხოლოდ დაბლა მიგიწვდის ხელი,  
ქვეყანას ღუპავს ამპარტავნება,  
მაშ წამოისხი ნაბადი ძველი».

ღვინო-მეთქი! ჩქარა!

კასიო: ეგ სიმღერა წინანდელზედ კიდევ უკეთესია.

იაგო: გინდათ, კიდევ გიმღეროთ.

კასიო: კმარა, ვინც მაგას სჩადის, ის თავის ადგილის ღირსი არ  
არის!... დიად... ღმერთი მაღალია... ზოგიერთს სულს სასუ-



ფეველი მოელის, ზოგს ჯოჯოხეთი.

იაგო: ეგ სწორედ ნამდვილია.

კასიო: მე კი, - ნურას უკაცრავად სარდალთან და სხვა ღირსეულ პირებთან, - მგონი, სასუფეველში შევალ.

იაგო: მეც იმედი მაქვს სასუფეველში შესვლისა, ბატონო თანაშემწე.

კასიო: თანახმა ვარ, მაგრამ ჩემზედ წინ კი ვერ შეხვალ: სასუფეველში ჯერ თანაშემწე უნდა შევიდეს, მერე ასისტავი. დავებსნათ ამას... საქმეს შევუდგეთ. - ღმერთო მოგვიტევე ჩვენი შეცოდება! - ყმაწვილებო, ჩვენს საქმეს მივხედოთ-მეთქი. ნუ გგონიათ, მთვრალი ვიყო: აი, ეს ჩემი ასისტავია... ეს ჩემი მარჯვენა ხელია... ეს მარცხენა... მე მთვრალი არა ვარ... ფეხზედ კარგადა ვდგავარ და ენაც კარგად მიჭრის.

ყველანი: ძალიან კარგად.

კასიო: ტყუილია თუ? მაშ ალარა სთქვათ ჩემზედ, მთვრალი არისო.

(გადის)

მონტანო: ყმაწვილებო, ტერასზედ წავიდეთ, დარაჯები დავაყენოთ.

იაგო: ჰხედავთ, კასიოს, ბატონებო, რა მოუვიდა?

ომში და ჯარის დაწყობაში თვითონ კეისარს არ ჩამორჩება და რა წუნი სჭირს საცოდავსა! მაგის ღირსებას უდრის იგი, როგორც დღე ღამეს ბუნიობის დროს. მეშინიან, ოტელოს ნდობა არ გააცუდოს სიმთვრალეში და ეს კუნძული საშიშ ყოფაში არ ჩააგდოს.

მონტანო: ეგ ხშირად მოსდის?

იაგო: არ შეუძლიან უამისოდ თვალი მოჰხუჭოს და თუ სასმელმა მას აკვანი არ დაურწია,

ადვილად გასძლებს უძილოდ თუნდ ოცდაოთხ საათს.

მონტანო: რიგია, ვგონებ, ეს ვაცნობოთ თვითონ სარდალსაც,

თორემ იქნება იგი თვისის გულკეთილობით

ამის სიკეთეს ხედავს მხოლოდ და წუნს ვერ ამჩნევს. -

მართალს არ ვამბობ?

(შემოდის როდერიგო)

იაგო (ჩუმად როდერიგოს): როდერიგო, აქ სად მოხვედი?

წადი, კასიოს გაჰყევ ჩქარა. ნულარ აყოვნებ!

†

(როდერიგო გადის)



მონტანო: სამწუხაროა, რომ დიდებულს ჩვენს გამგებელსა  
თვის თანაშემწის მეტად მძიმე მოვალეობა  
გარდაუცია ამგვარ სენით შეპყრობილისთვის.  
ჩვენი ვალია, ეს უთუოდ შევატყობინოთ.

იაგო: მე ვერ ვიკისრებ, მე ოტელს მაგას ვერ ვეტყვი,  
თუნდ რომ საჩუქრად ამ მშვენიერს კუნძულს მომცემდნენ;  
კასიო მიყვარს მეტის-მეტად და ჩემ თავს დავდებ,  
ოღონდ წამალი ამ სენისა ვუპოვო რამე. -  
ეს რა ხმა არის? მოითმინეთ.

ხმა (გარედან): ვაი! მიშველეთ!

(შემორბის როდერიგო. უკან კასიო მოსდევს)

კასიო: შე წუწკო, მხდალო, არამზადა!

მონტანო: რა ამბავია, ბატონო ჩემო?

კასიო: მოთრეულა ვიღაც ოხერი და მე მასწავლის ჩემსავ საქმეს.  
ისე მივბეგვამ, რომ სად თავი აქვს და სად ბოლო, ვეღარ  
მიაგნონ.

როდერიგო: მიმბეგვავ კიდევ!

კასიო: როგორ ჰბედავ ხმის ამოღებას?

(სცემს როდერიგოს)

მონტანო: აბა, ბატონო თანაშემწე, რად გეკადრებათ?  
გთხოვთ, რომ დამშვიდდეთ.

(სცდილობს გააჩეროს)

კასიო: ხელი იქით! გამიშვი, თორემ შენც ყბებს ჩაგამტვრევ.

მონტანო: გამომთვრალხართ და ილანძლებით!

კასიო: მე გამომთვრალვარ?!  
(ხმლებს ამოიღებენ და ჩხუბობენ)

იაგო (როდერიგოს ცალკე): წადი ჩქარა, ნაბათი დაჰკარ,  
ხალხი შეჰყარე. - (როდერიგო გადის)

ბატონებო, რაებს ჩადიხართ?

გვიშველეთ ჩქარა... ყმაწვილებო... აბა, კასიო...

ან თქვენ, ბატონო... გაგონილა... გვიშველეთ-მეთქი!


ვითომ დარაჯი გვიყენია?!...

(ზარის ხმა მოისმის)

ზარს ვინა რეკავს?

რა ღვთის რისხვია! ხომ დაფეთდა მთელი ქალაქი!..





გაშველდით-მეთქი ღვთის გულისთვის... აბა, კასიო,  
ხომ სამუდამოდ გაწბილდებით, სახელს შეირცხვენთ!

(შემოდინა ოტელო და მხლებელნი)

ოტელო: რა ამბავია?

მონტანო: სასიკვდილოდ დავიჭერ სწორედ.

სისხლით ვიცლები.

ოტელო: გაჩერდით, თუ თავი გებრალვით!

იაგო: არ გაჩერდებით, ბატონებო!... კასიო... როგორ...

მონტანო... განა დაგავიწყდათ, გრძნობა დაჰკარგეთ,  
თუ ვის წინ დგახართ, ან ვინა ხართ? გაჩერდით-მეთქი!  
სირცხვილი არის! თვით სარდალი, ჰხედავთ, გიბრძანებთ!

ოტელო: არა გრცხვენიათ, რას ჩადიხართ, რა მოგივიდათ?

განა ოსმალნი შევიქმენით, რომ ჩვენს თავს ვუყოთ  
ის, რაც ზეცამ მათ აუკრძალა. ქრისტიანთ სახელს  
ამ ბარბაროსულ ცემა-ტყეპით ნულარ აწბილებთ.

ვინც კი აჰყვება მღელვარებას, კიდევ დაიძვრის,  
იმ წამსვე იგი თვის სიცოცხლეს გამოეხალმოს!

შეაყენეთ ეს ზარის ცემა შიშის-აღმძვრელი,  
თორემ მთელ კუნძულს შეადრწუნებს, შემატყობინეთ  
სწორედ, რა მოხდა, ყმაწვილებო... იაგო, გატყობ,  
რომ ეს ამბავი დიდათა გწყინს. შენ მაინც მითხარ,  
თუ სიყვარული გაქვს რამ ჩემი, ვისი ბრალია?

იაგო: არა ვიცი-რა. აი, ახლა, სწორედ ამ წუთში

ვმუსაიფობდით მეგობრულად, როგორც ცოლ-ქმარნი,  
ქორწილის შემდეგ მიმავალნი პირველად საწოლს  
და თითქო რაღაც ცის მნათობმა მიჰხადა ცნობა,  
უცებ ერთმანეთს შეუტყეს ხმალამოწვდილთა  
და სასიკვდილოდ არ დაზოგეს. ვერ მოგახსენებთ,  
ამ ცხარე ჩხუბის დასაბამი რა უნდა იყოს.

ოჰ, ნეტა ჩემთვის სახელოვან ბრძოლაში სადმე  
ფეხნი დაეჭრათ, რომ ამ ამბავს არ დავსწრებოდი.

ოტელო: როგორ დაჰკარგე, აბა, მიქელ, ესრედ გონება?

კასიო: გთხოვთ, მომიტევოთ, ლაპარაკი არ შემიძლიან.

ოტელო: ღირსო მონტანო, თქვენ ზრდილობით ხომ განთქმული  
ხართ, მთულმა ქვეყანამ იცის თქვენი სიღარბაისლე,  
თქვენი სიწყნარე. თვით მსაჯულნი მკაცრად მზრახველნი,



გაქებენ ფრიად. მაშ მითხარით, ეს როგორ მოხდა, რომ ეგ პატივი, ეგ ღირსება თქვენ დღეს გასცვალეთ ღამე-მოარულ ავაზაკის საზიზღ სახელზედ.

სთქვით, პასუხს ველი.

**მონტანო:** ღირსეულო, დიდო სარდალო!

მე დაჭრილი ვარ და მეშინის, რომ ლაპარაკმა არ გამიმწვაოს უფრო წყლული. იაგოს ჰკითხეთ; ეგ მოგახსენებთ, რაც კი ვიცი, - და მე ეს ვიცი, რომ არ მიმიძღვის არავისთან დანაშაული არც სიტყვით რითმე და არც საქმით, თუ თავის დაცვას და მოძალეთა მოგერებას ცოდვად არ ჩასთვლით.

**ოტელიო:** სისხლი ამემღვრა, თავდაჭერას ვეღარ ვახერხებ, აშლილი ვნება ჭკვა-გონებას სრულად მიბნელებს და წინამძღვრობას მიპირებს მე! თუ გავგულისდი და ან თუ ხელი გამოვიღე, მაშინ მერწმუნეთ, ეს ჩემი რისხვა შეიწირავს უკეთესს თქვენგანს. მაცნობეთ-მეთქი, როგორ მოხდა, ან ვინ შეიქმნა ჩხუბის მიზეზი და ვისაც ეგ ბრალი დაედვის, თუნდ დედის მუცლით ერთად იყოს ჩემთან შობილი, უნდა გამშორდეს, საუკუნოდ გამომესაღმოს. - როგორ! საომარ ქალაქ შიგნით, სად მღელვარება ჯერ არ დამცხრალა და სად ხალხი ჯერ შიშითა თრთის, შუადამისას ერთმანეთში ჩხუბს და შფოთს მართავთ! და სადა მერე? თვით ციხეში, სადარაჯოზედ! საზარელია! - იაგო, სთქვი, ვისა სდევს ბრალი?

**მონტანო:** თუ მეგობრობით, ან უფროსის წინაშე კრძალვით ნამდვილ სიმართლეს მოუმატე, ან რამ მოუკელ, - ნუ იყო ღირსი მეომარად სახელწოდების.

**იაგო:** აგრე სასტიკად ნუ მავალებთ! ოჰ, ნეტა ენას ამომაცლიდნენ მე პირიდან, ვიდრე ამ ენით მიქელ კასიოს მივაყენო რაიმე წყენა. მაგრამ ვგონებ, რომ მას სიმართლე არარას ავნებს. - აი, ბატონო, როგორ გახლდათ: მე და მონტანო ვლაპარაკობდით აქვე ჩვენთვის; უეცრად ვიღაც გამორბის, ჰყვირის მაღალის ხმით, შეწვენას ითხოვს; უკან კასიო ხმაღნაშიშვლი მუქარით მოსდევს.



იმ წამს მონტანო კასიოს წინ გადაუდგება და სთხოვს, დამშვიდდეს. მე კი სწრაფად გაქცეულს მივლევ, რომ არ დაეფრთხო იმ ყვირილით მთელი ქალაქი, - მაინც ეს მოხდა: ის ფეხმარდი გამოდგა ჩემზედ, ვერ მოვეწიე და დავბრუნდი ისევ საჩქაროდ, რადგან მომესმა აქედანაც ხმალი ჩახი-ჩუხი და თან კასიოც ისერიგად ილანძლებოდა, რომ მე ამგვარი ლანძღვა მისგან ჯერ არ მსმენია. ვიდრე აქ მოველ, - ხანი არა გამოსულა-რა, - ვნახე, ესენი მისევიან ერთი-ერთმანეთს და მედგარ ბრძოლას შესდგომიან. ამ დროს ხომ თვითონ თქვენც მობრძანდით და გააშველეთ. მე ამის მეტი არა ვიცირა ამ საქმისა, მაგრამ ეს კია, კაცი ყოველთვის კაცი არის და თვით უკეთესს თავდავიწყება შეიძლება ჭირადა სჭირდეს. თუმცა კასიომ აწყენა მცირედ მონტანოს, - ხშირად არ ვზოგავთ სიცხარის დროს კეთილის მქმნელსაც - მაგრამ უთუოდ კასიოსაც იმ გაქცეულმა ისე ძლიერი მიაყენა შეურაცხება, რომ თავი თვისი დაავიწყა.

**ოტელიო:** მესმის, იაგო. პატიოსნება, მეგობრობა შენ მას გაგონებს, კასიოს ბრალი შეამოკლო, მცირედ დასახო. - კასიო, მე შენ თუმც მისევიარხარ, მაგრამ იცოდე, ჩემ სამსახურში დღეის იქით ვეღარ გამყოფებ.

*(შემოდის დეზდემონა, მხლებელნი უკან მოსდევენ)*

ხომ ჰხედავთ, ჩემი გულის სატროფოც შეშფოთებულა. - სხვებისთვის დაგსჯი მაგალითად! -

**დეზდემონა:** რაო, რა მოხდა?

**ოტელიო:** არაფერია, სულთუტკბესო წავიდეთ საწოლს. -

*(მონტანოს, რომელიც გაჰყავთ)*

მონტანო, თქვენი დოსტაქარი მე თვით ვიქნები. - შინ წაიყვანეთ. - იაგო, შენ ქალაქს მიჰხედე და ვინც ამ ჩხუბმა სამარცხვინომ შიშში ჩააგდო, დააშოშმინე. - დეზდემონა, აბა წავიდეთ. მეომარს ბედმა ეგ არგუნა: უნდა ყოველთვის ელოდეს ჩხუბსა სანეტარო ძილის განმდევნელს.



(გადიან ყველანი იაგოს და კასიოს გარდა)

იაგო: ხომ არ დაიჭერით, ბატონო თანაშემწე?

კასიო: ისე დავიჭერ, რომ ვერა მკურნალი ველარ გამკურნავს.

იაგო: რას მიბრძანებთ! ღმერთმა ნუ ჰქმნას!

კასიო: ოჰ, სახელი დაკარგე, სახელი, სახელი! დაკარგე, რაც უკვდავი მებადა და პირუტყვული-და შემრჩა. ოჰ, იაგო, სახელი, ჩემი სახელი!

იაგო: პატიოსან სიტყვას გაძლევთ, მე ისე მეგონა, სადმე დაჭრილი ხართ-მეთქი; სხეულის ჭრილობა უფრო საგრძნობელია სახელის დაკარგვაზე. სახელი ფუჭი და უმნიშვნელო ქონებაა, რომელსაც ხშირად უღირსად იძენენ და უდანაშაულოდა ჰკარგვენ. თქვენ სახელი სრულიადაც არ დაგიკარგავთ, თუ თქვენს თავს არ დაარწმუნებთ, ვითომ დაგიკარგოთ. გულს რად იტყებთ! რამდენიმე საშუალებაა სარდლის მოსაბირებლად: დღეს ცუდ ქეიფზედ იყო და იმ დროს ჩაუვარდით ხელში; თუ დაგსაჯათ, უფრო სხვების სამაგალითოდ, ვიდრე ბოროტის განზრახვით, ისე, როგორც ხშირად უბრალო ძაღლსა სცემენ მძვინვარე ლომის შესაშინებლად. სცადეთ, შეევედროთ და იგი გულს ისევ თქვენსკენ მოიბრუნებს.

კასიო: მე უფრო იმას შევევედრები, შემიძაგოს, ვიდრე შევაცდინო იმისთანა კეთილი სარდალი და მივუჩინო ჩემისთანა წუნკი, ლოთი და ენა-მეტა ჯარისკაცი. როგორ?! დავითვერ და თუთიყუშივით ყბედობა მოვრთე! ჩხუბი და შფოთი ავტეხე! ლანძღვა-გინებას მოვყევ! ჩემსავე ჩრდილს გამოველაპარაკე! - ოჰ, შენ ღვინის უხილავო ძლიერება, თუ ჯერ სახელი არა გღევს, სატანა უნდა გიწოდოთ!

იაგო: ვინ იყო იგი, ხმლით რომ მისდევდით? რა გაწყეინათ?


კასიო: არა ვიცი-რა.

იაგო: რას მიბრძანებთ!

კასიო: მე ბევრი რამ მახსოვს, მაგრამ ბუნდად კი. მახსოვს, რომ ჩხუბი იყო და მიზეზი არ მაგონდება. ოჰ, ღმერთო! რად უნდა შეუშვას ადამიანმა თავის პირში მტერი, რომელიც მას გონებასა ჰპარავს? რად უნდა გვაპირუტყვებდეს მხიარულება, ქეიფი და შექცევით დროს გატარება?

იაგო: ახლა თქვენ სრულ გონებაზედ ხართ. როგორ მოხდა, რომ ასე ძალე გამოფხიზლდით?





კასიო: სიმთვრალის ეშმაკმა სიბრაზის ეშმაკს დაუთმო ადგილი. ერთმა ჩემმა ნაკლულევანებამ მეორე გამოაჩინა, რომ უფრო სრულიად შევიძაგო ჩემი თავი.

იაგო: კარგია, კმარა. თქვენ ძალიან სასტიკი გამკიცხავი ყოფილხართ. მართალია, თუ მხედველობაში მივიღებთ დროს, ადგილს და ამ ქვეყნის მდგომარეობას, ძალიან კარგი იქნებოდა, ეს არ მომხდარიყო, მაგრამ რაკი მოხდა, საქმე თქვენდა სასარგებლოდ უნდა დაატრიალოთ.

კასიო: მე უნდა იმას ადგილი ვთხოვო და იმან მითხრას ლოთი ხარო?! ოჰ, გველვეშაპსავით რომ რამდენიმე პირი მქონდეს, ეს პასუხი ყველას ჩააჩუმებდა! როგორ! აი, ახლა გონება-სრული კაცი ვარ; პატარა ხანს უკან უნდა გამოვსულელდე და ბოლოს გავპირუტყვდე! საშინელებაა! ღმერთმა დასწყევლოს ყოველი უზომოდ დალეული თასი ღვინო და მასში ჩაბუდებული სატანა!

იაგო: აბა, მაგას როგორ ბრძანებთ? კარგი ღვინო ჩინებული და სასიამოვნო რამ არის, თუ ურიგოდ სმას არ დაუწყებენ. ტყუილად ემდურით. ბატონო ჩემო, ვგონებ დარწმუნებული ხართ, რომ მე თქვენ მიყვარხართ.

კასიო: ოჰ, მაგაზედ კი დარწმუნებული ვარ. - მე და მთვრალი!

იაგო: სიმთვრალე ყველას თავს არის. მე თქვენ გირჩევთ, როგორ უნდა მოიქცეთ. ჩვენი სარდლის ცოლია ამჟამად ჩვენი სარდალი. მე ამას იმისთვის ვამბობ, რომ ახლა ოტელო შეფრთხინვით უჭკვრეტს და შეჭხარის თავის ცოლის ღირსებასა და სილამაზეს. გამოუტყდით ღებდემონას, თავი შეაწყინეთ თხოვნით, რომ თქვენივე ადგილი მოგცენ; ღებდემონა ისეთი გულახდილი და კეთილია, ისეთი სათნო და გრძნობიერი, რომ უკეთურებად მიაჩნია, თუ რასაცა სთხოვენ, იმაზედ მეტი არ შეასრულა. სთხოვეთ, თქვენსა და იმის ქმარს შუა გაწყვეტილი ჯაჭვი დააკავშიროს. თუნდა მთელს ჩემს ქონებას დავდებ სულ უბრალო სანაძლეოსთან, რომ თქვენი გაწყვეტილი სიყვარული უწინდელზედ მეტად მკვიდრი შეიქნება.

კასიო: მაგას კარგად მირჩევ.



იაგო: ამას გირჩევთ, როგორც პატიოსანი კაცი და როგორც გულწრფელი თქვენი მოსიყვარულე.

კასიო: მჯერა, მჯერა. მაშ ხვალ ადრე ჩვენს გულ-სათნო დეზდემონას ვთხოვ ჩემთვის იშუამდგომლოს. თუ ბედმა ამ შემთხვევაში მიმტყუნა, კვლავ აღარაფერს დაუუჯერებ.

იაგო: სწორედ ნამდვილად სჯით. ღამე მშვიდობისა, ბატონო თანაშემწე. მე უნდა სადარაჯოდ წავიდე.

კასიო: ღამე მშვიდობისა, ჩემო პატიოსნებით სავსე იაგო.

(გადის)

იაგო: აბა, ამ საქმეს ვინ ჩამითვლის მე ცუდკაცობად, რაკი ეს რჩევა გულწრფელია, პატიოსანი, ჭკუასთან ახლო და მომგები მავრის გულისა?! მართლაც, არ არის გასაჭირი, რომ დეზდემონა კეთილს თხოვნაზედ დაითანხმოს, დაიყოლიოს; იგი სტიქიონთ მოგვაგონებს კეთილისმყოფელთ და შექმნილია ტკბილ ნაყოფთა გამოსაღებად. მას მორჩილებით, მოწიწებით მავრი ყურს უგდებს; ის თუნდ მოუსპობს რწმენას წმიდა საიდუმლოთა, სარწმუნოების უარყოფას უბრძანებს თუნდა. ოტელოს სული სიყვარულმა დაიმონავა ისე, რომ მის ცოლს შეუძლიან, რაც სურს ისა ჰქმნას და იბატონოს მავრის დუნე, სუსტ ბუნებაზედ. მაშ რად ვიქმნები ცუდი კაცი, რაკი კასიოს სწორს და პირდაპირს გზას ვაჩვენებ სიკეთისადმი? ოჰ, ჯოჯოხეთის ბნელნო ძალნო! როცა სატანას უნდა რამ საქმე მოიქმედოს უსაზარლესი, იგი ზეციურ სახეს იღებს და მით ატყუებს, როგორც მე ახლა. მაშ ვიდრე ეს სულელ-მართალა დაიყოლიებს დეზდემონას, მომხრედ გაიხდის და იგიც მავრს სთხოვს დაუბრუნოს ამას ალაგი, მე მავრს ყურში გესლს ჩავაწვეთებ და დავაჯერებ, ვითომც კასიოს დაბრუნება იმის ცოლს სურდეს მხოლოდ სხეულის დატკობისთვის. რაც უფრო ძლიერ შეეხვეწება კასიოსთვის მავრს დეზდემონა, მით უფრო მარჯვედ ცოლისადმი ნდობას მოვუსპობ. მაშ დეზდემონას სათნოებას მე ფისად გავხდი,



მის სიკეთეზედ ბადეს მოვქსოვ და იმ ბადეში  
გავაბამ ყველას. (შემოდის როდერიგო)  
როდერიგო, აბა რას მეტყვი?

როდერიგო: მე იმას გეტყვი, რომ ამ ნადირობაში მონადირე ძაღლს  
კი არა, უფრო ტყუილად მყეფარსა ვგავარ. რაც ფული  
მქონდა, თითქმის სულ შემომეხარჯა, კარგა ლაზათიანადაც  
მიმბერტყეს ამაღამ და ვგონებ, ბოლო ის იქნება, რომ ჩემის  
ამდენი შრომისთვის ცოტა მეტს გამოცდილებას შევიძენ.  
მერე ვენეციაში დავბრუნდები ჯიბეგამოფხეკილი, თუმცა  
ცოტაოდნად ჭკუა-ნასწავლი.

იაგო: რა საბრალოა კაცი ესრეთ მოუთმენელი!  
განა ერთბაშად შეიძლება წყლულთ განკურნება?  
ხომ იცი, ჭკუით ვმოქმედობთ ჩვენ და არა გრძნებით  
და ხანი უნდა საკმარისი ჭკვით მოქმედებას.  
მერე გგონია, შენი საქმე კარგად არ მიდის?  
კასიომ გცემა და ამ მცირე შეურაცხებით  
შენ მას ადგილი დაუკარგე, გაათახსირე.  
ცხოველის მზის ქვეშ მრავალი რამ სწრაფად მწიფდება,  
მაგრამ სიმწიფეს წინ მიუძღვის დაყვავილება.  
მოთმენას გირჩევ... ჰხედავ, კიდევ გათენებულა.  
როგორ ამოკლებს ღროს შექცევა, საქმიანობა!  
წადი შენს ადგილს, წადი-მეთქი, მასუკან კიდევ  
ბევრს რასმე გეტყვი.

(როდერიგო გადის)

ახლა დარჩა ორი-ღა საქმე:  
უნდა ჩემს ცოლს ეს ჩავაგონო, დეზდემონასთან  
იშუამდგომლოს კასიოსთვის; მე კი ოტელოს  
სხვაგან წავიყვან და ვეცდები იმ ღროს დაბრუნდეს,  
როცა კასიო შერიგებას სთხოვდეს იმის ცოლს.  
სწორედ ეს არის ნამდვილი გზა. ჩემო განზრახვა,  
ნუ შესუსტდები და მალიად განხორციელდი!

(გადის)



## მოქმედება მესამე







## სურათი I

კიპროსი. ციხე-დარბაზის კარმიდამო

(შემოდინ კასიო და რამდენიმე მემუსიკე)

კასიო: აქ დაუკარით, მაგ შრომისთვის ჯილდოს მიიღებთ, მხოლოდ რთულ ხმებს კი ერიდებით და ჩვენს დიდ სარდალს საამო ჰანგით მიულოცეთ მშვიდობის დილა.

(მუსიკას უკრვენ. შემოდის მასხარა)

მასხარა: ყმაწვილებო, თქვენი საკრავები ნეაპოლში ხომ არ ყოფილან, რომ აგრე ცხვირში უშტვენენ?

პირველი მემუსიკე: როგორ, ბატონო?

მასხარა: ეგ სასუნთქი საკრავებია, განა?

პირველი მემუსიკე: დიად, სასუნთქი საკრავები გახლავთ...

მასხარა: აი, კულქვეშ რომ უბუდიათ?

პირველი მემუსიკე: როგორ თუ კულქვეშ?

მასხარა: ისე. მე ბევრი სასუნთქი საკრავი ვიცი კულქვეშ დაბუდებული; მაგრამ ამას თავი დავანებოთ; აი, ყმაწვილებო, ეს ფული თქვენი იყოს. სარდალს თქვენი საკრავები ისე მოსწონს, რომ უმორჩილესად გევედრებათ, ხმა აღარ ამოაღებინოთ.

პირველი მემუსიკე: ბატონი ბრძანდები, გავჩუმდებით.

მასხარა: თუ უხმო საკრავები გაქვთ, რამდენიც გინდოდეთ, დაუკარით; ხმიანები კი ჩვენს სარდალს არაფრად ეპრიანება.

პირველი მემუსიკე: ჩვენ მაგისტანა საკრავები არა გვაქვს.

მასხარა: მაშ ეგ სტვირები გულებში ჩაიწყეთ და მიბრძანდით. მე მეჩქარება; ჰაიდა, გაისეირნეთ!

(მემუსიკენი გადიან)

კასიო: გაიგონე, რას გეუბნები.

მასხარა: ჯერ არა გითქვამს-რა და რა გავიგონო. როცა იტყვი, მაშინ გავიგონებ.

კასიო: თუ ღმერთი გრწამს, მაგ ორჭოფ ლაპარაკს თავი დაანებე. აი, ეს ოქრო შენი იყოს და თუ სარდლის ცოლის პირისფარეში ზეზე ადგა, ასე უთხარ, კასიო გელით და თქვენთან ცოტაოდენი სალაპარაკო აქვს-თქო. ხომ შეატყობინებ?



მასხარა: ის ქალი წელანვე ადგა და თუ შენს წინ დადგომას არ მოერიდება, ბატონი ხარ, შევატყობინებ.

კასიო: გარჯისთვის გმადლობ.

(მასხარა გადის. შემოდის იაგო)

ოჰ, იაგო, დილა მშვიდობის!

იაგო: როგორც გეტყობა, შენ წუხელის არ დაწოლილხარ.

კასიო: სწორედ შემატყე: გათენებამ ისე მოგვასწრო, რომ ჯერ ერთმანეთს არ გავყროდით. ჩემო იაგო,

გაკადნიერდი და შენს ცოლთან კაცი გავგზავნე;

მინდა, ვთხოვო, რომ გამიწიოს შუამავლობა

და გულკეთილის დეზდემონას ხილვის ღირსი მქმნას.

იაგო: ახლავ წავალ და გამოვგზავნი; თანაც ვეცდები,

მაკრი თავიდან მოგაშოროთ, რომ მარტო უფრო

თავისუფლებით იმოქმედოთ, ილაპარაკოთ

კასიო: დიდადა გმადლობთ. -

(იაგო გადის)

არ მინახავს მე ამისთანა პატიოსანი და კეთილი ფლორენციელი.

(შემოდის ემილია)

ემილია: კასიო, დილა მშვიდობისა! ვწუხვარ მე დიდად,

რომ ის ხიფათი შეგმთხვევიათ; მაგრამ კარგად კი

დაბოლოვდება. სარდალი და იმისი ცოლი

ეს არის ახლა სწორედ თქვენზედ ლაპარაკობდნენ

და დეზდემონა გულმოდგინედ გესარჩლებოდათ.

მაგრამ მიუგო, ვითომ თქვენგან დაჭრილი კაცი

განთქმული იყოს, დიდის-კაცის ჩამომავალი

და თქვენს დათხოვნას მოითხოვდეს წესი და რიგი;

მაგრამ ჰფიცავდა, რომ თქვენ მაინც დიდად უყვარხართ

და შუამავლად მეყოფაო ეს სიყვარული,

ასე რომ, რამწამს მარჯვე დროს კი ხელთ მოვიგდებო,

მივანიჭებო ისევ მალე ჩემს ახლო ადგილს.

კასიო: მაინც კიდევ ვთხოვთ, თუ როგორმე შესაძლო არის

და თუ უწესოდ არ მიიჩნევთ, რომ დამეხმაროთ

და მარტოდ სადმე მცირე ხნობით დეზდემონასთან

მალაპარაკოთ.





ემილია: კარგი მომყეთ, ალაგს გიპოვით,  
სად შეგიძლიანთ თავისუფლად იმის წინაშე  
წარმოსთქვათ თქვენი საჩივარი.

კასიო: დიდად მავალებთ.

(გადიან)

## სურათი II

ოთახი ციხე-დარბაზში

(შემოდინ ოტელო, იაგო და აზნაურნი)

ოტელო: იაგო, გემის უფროსს მიეც ეს წერილები  
და მის პირითვე შეუთვალე დიდებულ სენატს  
ჩემმაგიერად სამსახური. მასუკან ისევ  
სიმაგრეებში მოდი ჩემთან; მე იქ ვიქნები.

იაგო: გიახლებით და შევასრულებ, რასაც მიბრძანებთ.

ოტელო: ხომ თქვენც წამოხვალთ, ყმაწვილებო, სიმაგრეების  
გასასინჯავად?

აზნაურები: მზა გახლავართ სამსახურისთვის.

(გადიან)

## სურათი III

ბაღი ციხე-დარბაზის გვერდით

(შემოდინა დეზდემონა, კასიო და ემილია)

დეზდემონა: ჩემო კასიო, ეჭვი ნუ გაქვს, რომ მე ვეცდები,  
რითაც კი შევძლებ, დაგეხმარო.

ემილია: მეც გთხოვთ ვედრებით.

ჩემი ქმარიც ხომ ისე არის დაღონებული,  
თითქო თვით იმას ეს ხიფათი გადახდომოდეს.

დეზდემონა: ოჰ, შენი ქმარი სავსე არის პატიოსნებით. - (კასიოს)  
შენ და ოტელოს, დამერწმუნე, მე შეგარიგებთ



და ვით იყავით, ისევ ისე ტკბილად იქნებით.

**კასიო:** მადლის მომფენო, თქვენც ერწმუნეთ მიქელ კასიოს, რომ სადაც უნდა იყოს იგი, მუდამ და ყველგან თქვენი ერთგული ყმა იქნება.

**დეზდემონა:** ეგ ვიცი, გმადლობ.

დიდი ხანია, რაც შენ იცნობ ჩემს მეუფესა, შენ გიყვარს იგი და გჯეროდეს, რომ შორს გიმყოფებს მხოლოდ იმ დრომდე, ვიდრე ამას წესი მოითხოვს.

**კასიო:** მჯერა, ბატონო, მაგრამ ესეც შესაძლო არის, რომ ან მაგ წესმა მეტის-მეტად ხანგრძლივ გასტანოს, ანუ იკმაროს უბრალო რამ წყალწყალა საზრდო და განძლიერდეს, გაიზარდოს ზომის გარეშე. მაშინ ეს ჩემი ერთგულება და სიყვარული, ვშიშობ, ჩვენს სარდალს სრულიად არ გადაავიწყდეს და უცხოს ვისმე არ აკუთვნოს ხარისხი ჩემი.

**დეზდემონა:** ნუ გეშინიან. ემილია მოწამე იყოს, შენი ადგილი ისევ შენვე დაგიბრუნდება. ვისაც აღვუთქვამ მეგობრობას, ვეცდები კიდევ, რომ ყოველივე შევუსრულო დაპირებული. მე ჩემ ქმარს აღარ მოვასვენებ, არ დავაძინებ და უძილობით მოვარჯულებ, ჩემკენ მოვიმხრობ; შევაწყენ თავსა ლაპარაკით: პურის ჭამის დროს, თვითონ საწოლშიც არ მოვაკლებ ხვეწნას, მუდარას; იმის საქმეში ყველგან ჩავრევ კასიოს თხოვნას. გულდამშვიდებით იყავ-მეთქი. შენი მოსარჩლე უფრო ადვილად თავს გასწირავს, ვიდრე შენს საქმეს.

**ემილია:** აგერ სარდალი, ჰხედავთ, თვითონ აქ მობრძანდება.

**კასიო:** მე გაიხლებით!

**დეზდემონა:** რათა, დარჩი, თვით მოისმინე,

როგორ დავუწყებ მე ლაპარაკს.

**კასიო:** არა, ბატონო, არ შემიძლიან აქ დარჩენა; ვერა ვარ კარგად და აქ ყოფნითა მე ჩემ საქმეს ვერას ვუშველი.

**დეზდემონა:** მაშ კარგი, წადი.

(კასიო გადის. შემოდინან ოტელი და იაგო)

**იაგო:** ა-ა! ეს მე არაფრად მომწონს.

**ოტელი:** რაო, რას ამბობ?





იაგო: მე, ბატონო!.. მე, არაფერსა... და თუ... არ ვიცი...

ოტელო: ის კასიო არ იყო განა, ახლა იქ ჩემ ცოლს რომ გაშორდა?

იაგო: როგორ, კასიო! ვერ დავიჯერებ მე, ბატონო, რომ თქვენს მოსვლაზედ იგი უცბად, ვით დამნაშავე გაპარულიყო.

ოტელო: მგონი, ის იყო.

დეზდემონა: ოჰ, მობრძანდი, ბატონო ჩემო?

ეს არის ახლა ერთ მთხოვნელთან ვლაპარაკობდი, რომელსაც შენი რისხვა გულზედ ლოდივით აწევს.

ოტელო: ვინ არის იგი?

დეზდემონა: თანაშემწე შენი, კასიო.

ჩემო ოტელო, ჩემ სიყვარულს თუ რამ აქვს ძალა, გთხოვ, რომ ახლავე შეირიგო. თუკი შენ იმას ნამდვილის გულით არ უყვარხარ, ან თუ ეგ ბრალი ბოროტ განზრახვის ნაყოფია და არ უმანკო ცდომილებისა, ოჰ მაშინ მე სულ აღარ მეთქმის, ვითომ შემეძლოს კაცს შევატყო პირის-სახეზედ, პატიოსნება აქვს, თუ არა. გთხოვ, ახმობინო.

ოტელო: კასიო იყო რომ გავიდა ახლა აქედან?

დეზდემონა: დიად, ის იყო, სევდიანი და გულმოკლული ისე, რომ თვისი მწუხარება მეც მიზიარა და მასთან ერთად ვიტანჯები. უხმე ახლავე.

ოტელო: ახლა ნუ, ჩემო სასურველო, საკვლად დარჩეს.

დეზდემონა: მალე იქნება?

ოტელო: რაკი შენ გსურს, მეც დავაჩქარებ.

დეზდემონა: ამაღამ ვახშმად შეიძლება?

ოტელო: ამაღამ ვერა.

დეზდემონა: მაშ ხვალ სადილად?

ოტელო: ხვალ სადილად შინ არ ვიქნები, ჯარის თავებთან ციხეში ვარ მე მიწვეული.

დეზდემონა: მაშ ხვალ საღამოს, ან სამშაბათს დილაზედ იყოს, ან შუადღისას, ანუ ღამე... ოთხშაბათ დილით...

გთხოვ, დრო დანიშნო; სამ დღეს კი არ გადააცილო.

მერწმუნე, თვითონ იგიც ნანობს, თუმცა მის ბრალი მცირედის, ჩუმის საყვედურის ღირსია მხოლოდ;

მაგრამ ამბობენ, რომ ომის დროს უკეთესთ სჯიან, რომ



მაგალითი აჩვენონო მორჩილებისა.  
 მაშ, აბა, როდის აპატივებ, სწორედ მაცნობე.  
 მიკვირს მე დიდად და თან ვფიქრობ, ნეტა რას მთხოვდი  
 ისეთსა რასმე, რომ უარი მეტქვა მე შენთვის,  
 ან ყოყმანობა დამმჩნეოდა. მერე ვისთვის გთხოვ?  
 მიქელ კასიო არის იგი, რომელს გაენდე,  
 როდესაც კი მე მთხოულობდი. იცი, რამდენჯერ,  
 მე რომ გწუნობდი, შენი მხარე დაუჭერია!  
 ამდენი უნდა მათხოვინო იმის გულისთვის!  
 მერწმუნე, მე მეტს დაგიტობდი.

ოტელი: კარგია, კმარა. დეე, მოვიდეს, როცა უნდა. არ შემიძლი-  
 ან, უარი გითხრა შენ რაზედმე.

დეზდემონა: ნუკი იფიქრებ, ეგ მოწყალებად მივიჩნო. ისე მიიღე,  
 ვითომ მეთხოვნოს, რომ ჩაიცვა ხელთათმანები,  
 ან შემრგო საჭმლით ისაზრდოო, ან თბილად იყო,  
 ან კიდევ სხვა რამ, რაც თვითონვე შენ მოგიხდება.  
 არა, როდესაც მოვინდომებ, რაიმე თხოვნით  
 ეგ სიყვარული გამოვცადო, ოჰ, დამერწმუნე,  
 იგი იქნება მეტად ძნელი, მეტად სამძიმო  
 და იმ სათხოვრის ასრულებას შიშიც მოჰყვება.

ოტელი: ვერ გეტყვი უარს ვერაფერზედ და შენც ამას გთხოვ,  
 ახლა წახვიდე, პატარა ხანს მარტო დამტოვო.

დეზდემონა: არ გაგიგონებ, შენ გგონია? აი, მივდივარ.

ოტელი: მშვიდობით, ჩემო დეზდემონა, მეც ახლავ მოვალ.

დეზდემონა: აბა, წავიდეთ, ემილია. -

(ოტელის) ბატონო ჩემო, ისე მოიქეც, როგორც შენი გული  
 გაგონებს; ყოველს შენს სურვილს მზადა ვარ, რომ დავემორ-  
 ჩილო.

(გადის ემილიასთან ერთად)


ოტელი: ოჰ, საგანგებო ქმნილებათ! თვით ჯოჯოხეთმა  
 შთანთქას ეს სული, სულზედ მეტად თუ არ მიყვარდე;  
 და როდესაც კი მომესპობა ეს სიყვარული,  
 მაშინ ერთმანეთს აეშლება ცა და ქვეყანა!

იაგო: ბატონო ჩემო.

ოტელი: რა, იაგო?

იაგო: იცოდა რამე





მიქელ კასიომ მაშინ  
თქვენის სიყვარულისა,  
როს ცოლის შერთვას  
აპირობდით?

ოტელო: ყველა იცოდა  
თავით ბოლომდე. რაო,  
მერე, რისთვისა მკითხავ?

იაგო: ისე ვიკითხე, ერთმა  
ფიქრმა თავს გამიელვა  
და მინდოდა, რომ შემე-  
მოწმა, სხვა არაფერი.

ოტელო: რომელმა ფიქრმა?

იაგო: არ მეგონა, რომ მას წინაღვე თქვენის მეუღლის  
ცნობა ჰქონდა.

ოტელო: კარგად იცნობდა,

ჩვენ შორის ხშირად შუამავლად ყოფილა კიდევც.

იაგო: მართლა?

ოტელო: ჰო, მართლა. ჰხედავ რასმე ამაში ცუდსა?

ვგონებ კასიოს პატიოსანს კაცს ეძახიან!

იაგო: პატიოსანსო, ბრძანებთ თქვენა?

ოტელო: ჰო, პატიოსანს. პატიოსანსა, გეუბნები.

იაგო: მე როგორც ვიცი...

ოტელო: რაო, რა იცი?

იაგო: მე რა ვიცი?

ოტელო: «მე რა ვიცი!!» ოჰ!!!

ეს იმეორებს ჩემ სიტყვებსა, თითქო ჭკუაში

უსახური რამ ბაიყუში დაჰბუდებოდეს,

სანახავადაც საზიზღარი! - რაღაც გაქვს გულში;

ჩემ ცოლს კასიო რომ გაშორდა, შენ დაიძახე:

«ეს მე არ მომწონს!» რა არ მოგწონს, რატომ არ მეტყვი?

რომ გითხარ, ჩემი საიდუმლო იცოდა-მეთქი,

როცა ვირთავდი დეზდემონას, - შენა სთქვი: «მართლა?»

და ისერიგად მოიჭმუხნე, შეიკარ შუბლი,

თითქო გინდოდა, მოგემწყვდია შუაგულ ტვინში

რაღაც საზარი მძიმე ზრახვა. ოჰ, თუკი ჩემი

სიყვარული გაქვს, მითხარ შენი გულისპასუხი.



იაგო: ბატონო ჩემო, კარგად იცით, მე თქვენ მიყვარხართ.

ოტელი: ვიცი, გიყვარვარ; ისიც ვიცი, რომ შენ სავსე ხარ პატიოსნებით, ერთგულებით და შენს სიტყვებსაც, ვიდრე იტყოდე, მოიფიქრებ, ჯეროვნად ასწონ. მისთვის მაშინებს უფრო ძლიერ ეგ ყოყმანობა; ცრუ და ორპირის კაცისათვის ეგ ხერხი არის, ჩვეულებრივი და მართალი თუ სჩადის მაგას, ეგე ხმა არის დაფარული და საიდუმლო, ღელვით მოცულის გულის სიღრმით ამომეტყველი.

იაგო: თუნდ დამაფიცოთ, მას ვიტყვი, რომ მიქელ კასიო მე მართალ კაცად მიმაჩნია.

ოტელი: მეც აგრე ვგონებ.

იაგო: რა სახეცა სძევს კაცს, გულითაც ის უნდა იყოს; და რაც არ არის, იმ სახით არ უნდა გამოჩნდეს.

ოტელი: ეგ მართალია, რა სახეც სძევს, ის უნდა იყოს.

იაგო: აი, მაგისთვის მიმაჩნია მე მართალ კაცად მიქელ კასიო.

ოტელი: არა, შენ სხვას ჰფიქრობ რაღაცას.

ნუ მერიდები, ყოველივე შემატყობინე ისე, ვითომ შენს ზრახვას მარტო შენს გულს უმხელდე; და იგი ზრახვა რაც უმეტეს საზარელია, მით უსაზარლეს სიტყვებითა, გთხოვ, დამისახო.

იაგო: ბატონო ჩემო, მომიტევეთ. მე თუმცა ვალი ყოველ საქმეში კისრადა მდებს თქვენს მორჩილებას, მაგრამ იგი, რაც თვით მონათაც არ უარ-ეყვით, მას მეც ნუ მომთხოვთ და ჩემს აზრს ნუ გამამხელინებთ. მერე ეს აზრი ცრუ რომ იყოს და შემწიკვლული! ან რომელს ნახავთ სასახლესა ბრწყინვალედ მორთულს, სადაც ზოგჯერ არ იბუდებდეს უწმინდურება? და ვის მკერდის ქვეშ ჰფეთქს ისეთი უმანკო გული, რაშიც კეთილის ზრახვის გვერდით მანკიერ ეჭვთა ბინა არ ჰქონდეთ და სამართალს არ ამრუდებდნენ?!

ოტელი: მაშ შენ ღალატობ შენს მეგობარს, თუკი მას ჰგონებ შეურაცხყოფილს და შენს აზრს კი არ ატყობინებ.

იაგო: გთხოვთ, ნუ ინებებთ... შესაძლოა, რომ მე ვცდებოდე, რადგან ზნედა მჭირს ყველგან მხოლოდ ავის დანახვა და ხშირად ჩემი დაწყევლილი ეჭვიანობა





იქ ჰხედავს ცოდვას, სად ცოდვისა კვალიც არ არის.  
 არ გშვენით, თავი გაუყადროთ იმისთანა პირს,  
 ვინც კი ჩემებრივ ეჭვიანობს, ოცნებით აზრობს  
 და თქვენი ბრძენი ჭკვა-გონება მით აიშფოთოთ.  
 არ არის კარგი და არც ჰფერობს ჩემს ვაჟკაცობას,  
 ჩემს სახელსა და გონივრებას, რომ მოსვენება  
 შეგირყიოთ თქვენ ჩემის გულის ზრახვის გამხელით.

**ოტელო:** რა გსურს მაგით სთქვა?

**იაგო:** ვით კაცისთვის, ისე ქალისთვის,  
 უპირველესი სულის განძი, ბატონო ჩემო,  
 არის სახელი. მე თუ ვინმე ქისასა მპარავს,  
 მპარავს უბრალო, მცირე საგანს, არად ჩასაგდებას,  
 რაც იყო ჩემი, დღეს მისია, კვლავ ბევრის სხვისა.  
 მაგრამ ვინც კი ჩემს კეთილ სახელს გამომასაღმებს,  
 ამ წანართმევით თუმც არ იძენს არაფერს თვითონ  
 მე მხდის დატაკსა.

**ოტელო:** რაც გულში გაქვს, უნდა შევიტყო,  
 ვფიცავ ზეცის მადლს!

**იაგო:** ეს გული რომ თქვენს ხელში იყოს,  
 არ შეგიძლიანთ მაშინაც კი, სცნათ ჩემი აზრი;  
 მით უფრო ვერ სცნობთ, რაკი იგი მე მაბარია.

**ოტელო:** ოჰჰ!

**იაგო:** გთხოვთ, ბატონო, გაუფრთხილდეთ ეჭვიანობას,  
 ეგ მწვანეთვალა საზარელი ქმნილება არის  
 და იმავ საზრდოს ჰგესლავს, რითაც თვით იკვებება.  
 ნეტავი იმ ქმრებს რქების მქონეთ, რომელთ იციან  
 რაც შეახვედრა წილად ბედმა და მოღალატე  
 არ უყვართ თვისი; მაგრამ იგი რაგვარ წამებას  
 იტანს ყოველ წუთს, ვისაც უყვარს და ეჭვიანობს,  
 ვისაც გულს უღრღნის ერთად ეჭვი და სიყვარული.

**ოტელო:** ჰოი, ვაებავ!

**იაგო:** კმაყოფილი თავის ბედისა  
 ღარიბ-ლატაკიც მდიდარია, დიად მდიდარი;  
 და უთვალავი სიმდიდრეც კი უნაყოფოა,  
 ვით დრო ზამთრისა, მისთვის ვისაც გაღარიბების  
 შიში თანა სდევს და არ აძლევს მოსვენებასა.



ოკ, ზეცის მაღლო, შენ დაიხსენ კაცთ ნათესავი  
ეჭვიანობის სენისაგან!

ოტელო: მაგას რად ამბობ?

ნუთუ გგონია, ეს სიცოცხლე ეჭვიანობას  
ავაყოლო და მთვარის ყოველ განახლებასთან  
ახალ-ახალი ეჭვზედ ეჭვი გულსა შევუშვა!  
არა, ჩემს ეჭვსა საქმეც თან სდევს გარდაწყვეტილი!  
ღირსი ვიქნები, თხა მიწოდო, თუკი როდისმე  
ჩემ გულს მოვაცლი იმ ცრუ, ფუყე ოცნებისათვის,  
რაზედაც ახლა შენ ამყარებ შენს გულის პასუხს.  
რომ სთქვან ჩემს ცოლზედ: «ლამაზია, ტანთ კარგად იცვამს,  
კადნიერებით ლაპარაკობს, მღერის, თამაშობს,  
საკრავზედ უკრავს, ანუ უყვარს ღროს გატარება»; -  
ეს ყოველივე მე არასდროს ეჭვს არ აღმიძრავს, -  
ეს უფრო ჰმატებს სათნოებას სათნო ქმნილებას.  
იმისგან ღალატს მე ისიც ვერ მაფიქრებინებს,  
რომ ჩემში იგი დიდ ღირსებას ვერასა ჰხედავს, -  
თვალთ ხომ უჭრიდა, როდესაც მე ამომარჩია. -  
არა, იაგო, ჯერ ვიდრე მე ეჭვს ავიღებდე,  
თვით უნდა საქმე განვიცადო; ეჭვის აღებას  
თანაც საბუთი უნდა მოჰყვეს და მაშინ კია  
ჩემის გულიდან შორს ან ეჭვი, ან სიყვარული!

იაგო: მიხარია, რომ მაგას ბრძანებთ: აწ შემიძლიან  
მოურიდებლად დაგიმტკიცოთ ჩემი თქვენდამი  
ერთგულება და სიყვარული. მაშ მოისმინეთ,  
რასაც მე ვალი კისრადა მდებს, რომ მოგახსენოთ.  
ჯერ საბუთებზედ ვერას ვიტყვი, მაგრამ გაფრთხილებთ,  
თვალი გეჭიროთ თქვენს ცოლზედა და კასიოზედ.  
არ დაემონოთ ან მეტის-მეტს ეჭვიანობას,  
ან გულუბრყვილოდ არ მიენდოთ; მეშინიან, რომ  
თქვენებრ ზნემაღალს, სათნოებით, სიკეთით სავსეს  
ეგ სათნოება არ მიაგონ ბოროტეულად.  
გაფრთხილდით-მეთქი; კარგად ვიცნობ ჩვენის ქვეყნის ზნეს:  
ვენეციელნი ქალნი მხოლოდ ზეცას უმხელენ  
მათს ეშმაკობას, რასაც ქმრების მალვით სჩადიან;  
არ მიაჩნიათ იმათ ცოდვად თვითონ ცოდვის ქმნა  
და ჰკიცხვენ მხოლოდ მას, ვინც თავის ცოდვას ვერ მალავს.



**ოტელიო:** აგრე გგონია?

**იაგო:** თავის მამა ხომ მოატყუა, როს თქვენ გირთავდათ, და როდესაც ყველას ეგონა, თქვენს დანახვაზედ შიშითა ძრწის და კანკალებსო, მაშინ იყავით სწორედ მისთვის სატროფო-სასურველ.

**ოტელიო:** მართალი არის, რასაც ამბობ.

**იაგო:** აბა, იფიქრეთ:

თუკი ისეთმა ახალგაზრდამ თვის საიდუმლო გულის სიღრმეში ჩაიმალა და მშობელ მამას ისე თვალები აუხვია, რომ მას ეგონა გრძნება-თილისმით შეიკრაო... მაგრამ რას ვჩმახავ? უმორჩილესად გევედრებით მოტევენებასა, ბევრს მამედვინებს სიყვარული.

**ოტელიო:** შენ საუკუნო ვალი დამდე მე.

**იაგო:** მე ვხედავ, რომ ჩემმა სიტყვებმა აგამღელვარათ.

**ოტელიო:** არა, არა, არა სრულიად!

**იაგო:** მე თქვენს საწყინარს ვერიდები და იმედი მაქვს, თქვენ გესმით, - ამას სიყვარული მალაპარაკებს... არა, ვხედავ, რომ შეგაშფოთათ ამ ლაპარაკმა... კიდევაცა გთხოვთ, ჩემი სიტყვა ისე მიიღოთ, როგორც ნაყოფი მხოლოდ ეჭვის და არ აკუთვნოთ ამაზედ მეტი მნიშვნელობა.

**ოტელიო:** მე არც ვაკუთვნებ.

**იაგო:** თუ ყურს დაუგდებთ, მაშინ მეტად ცუდ ბოლოს ველი, რაც არ მქონია მე სრულებით განზრახვად გულში... კასიო ჩემი ღირსეული მეგობარია. - ბატონო ჩემო, მე ვხედავ, რომ სწორედ აღელდით.

**ოტელიო:** არაფერია; მე მას ვფიქრობ, რომ დეზდემონა უპატიოსნო დედაკაცი არ უნდა იყოს.

**იაგო:** ღმერთმა ხანგრძლივი ჰყოს იმისი სიცოცხლე ეგრედ და დღევრძელ იყოს თქვენც მაგ რწმენით და გულდანდობით!

**ოტელიო:** მერე ბუნებას თავის გზისთვის რომ გადებვიოს!..

**იაგო:** საქმეც ეგ არის. ნებას ვითხოვ მოხსენებისას: რამდენ ერთ საქმროს უთხრა იმან მტკიცე უარი, თავის ქვეყნის შვილთ, თავის ფერის და წოდებისას! და ხომ წესია ბუნებისა მსგავსი მსგავსს ეძებს!.. შესაძლოა, რომ ამ უცნაურს ახირებაში



ჰკოვონ ნიშანი უბუნებო მიდრეკილების  
 და ზომა-გარეთ აღტყინებულ გასაკიცხ ჟინთა...  
 მომიტევეთ კი, მე თქვენს ცოლზედ არ ვლაპარაკობ,  
 თუმც მუშინიან, თვის გონებას არ ჩაეკითხოს,  
 არ შეგადართო თავის ქვეყნის მამულის-შვილებს  
 და სინანული გულს არ იგრძნოს!

ოტელი: კარგი, მშვიდობით!

თუ კიდევ რამე შეამჩნიო, შემატყობინე.

შენ ცოლსაც უთხარ, ყური უგდოს. წადი, იაგო.

იაგო: ღმერთსა ვთხოვ, კარგად ბრძანდებოდეთ!

(მიდის)

ოტელი: ცოლს რად ვირთავდი?

აშკარაა, ეს სათნო კაცი უფრო მეტს ჰხედავს  
 და ბევრი იცის, ბევრად მეტი, ვიდრე ამჟღავნებს.

იაგო (ბრუნდება): ბატონო ჩემო, კიდევა გთხოვთ, რაც მოგახსენეთ,  
 არ ჩაიტანოთ გულში დარდად, დროს მიაწვდით.

თუმცა კასიო ღირსი არის, კვალად მიიღოს

ხარისხი თვისი, - დიდის ნიჭით ასრულებს თვის ვალს, -

მაგრამ ურიგოს არ ინებებთ, რომ მცირე ხნობით

შორს იმყოფინოთ; თქვენ ამ ღონით კარგად შეატყობთ,

რის იმედი აქვს, ან რა ფიქრი უდევს მას გულში,

ან თქვენი ცოლი ხომ არ მოგთხოვთ კვლავ მის მიღებას.

თუ ჩაგაცივდათ, გამოიდო იმისთვის თავი,

მაშინ კი სწორედ საეჭვოა. ამ გამოცდამდე,

გთხოვთ, რომ დამსახოთ უზომოდ ფრთხილ, მშისარ ქმნილებად,

ვგონებ, ვარ კიდევც, და თქვენს ცოლს კი ეჭვი აჰხადლოთ.

ოტელი: ნუ გეფიქრება, მოვახერხებ თავშეკავებას.

იაგო: მე გიახლებით და გისურვებთ კვალად მშვიდობას.

(გადასვს)

ოტელი: პატიოსნებით სავსეა ეს ადამიანი

და ჭკუაც შესწევს ნათლად თვალწინ წარმოიდგინოს

კაცთა ყოველგვარ მოქმედების თავი და ბოლო.

ოჰ, ჩემ შავარდენს თუ დავატყე გაორგულება,

მაშინ იმ თასმებს, რაზედაც მყავს იგი მობმული,

თუნდ ჩემის გულის ღვიძლ სიმებად გადმექცეოდნენ,

დავგლეჯ და თვით მას გზას გაუუხსნი სააღალბედოდ.



შესაძლო არის... მე შავი ვარ და არ მაქვს ნიჭი  
 კარისკაცთაებრ ტკბილის ენით ლაპარაკისა...  
 ანუ იქნება მისთვის, რომ წელთ დაღმართს დავეშვი...  
 თუმც არ გასულა ჯერედ კიდევ სათქმელი ხანი...  
 მორჩა, წავიდა... მომატყუა, აღარ მყავს ცოლი!  
 მისდამი ზიზღი ჩემდა შევბად მრჩენია მხოლოდ.  
 ეს შეჩვენება ქორწინებას მუდამ თანა სდევს:  
 თვით ნაზ ქმნილებათ ჩვენ გვაკუთვნებს, მათ გულს კი ვერა.  
 ის მირჩენიან, ჯოჯო ვიყო და დავფოფხავდე  
 ბნელის ჯურღმულის სიმყრალეში, ვიდრე მცირედი  
 წილი ჩავუდო ჩემ საყვარელ საგანში ვისმე!  
 მაინც ეს არის მწარე ხვედრი მაღალთა სულთა;  
 მეტის უფლებით აღჭურვილან უბრალო პირნი:  
 რა ვიბადებით, თანა გვეყვება სიცოცხლის ნიჭთან  
 რქოსნობის სენიც და ამ სენს ჩვენ ვერ ავიცილებთ,  
 როგორც თვით სიკვდილს. - დეზდემონა მოდის... თუ იგი  
 მოღალატეა, ოჰ, თვით ზეცა ზეცას ორგულობს.  
 არა, არ მჯერა.

*(შემოდინ დეზდემონა და ემილია)*

დეზდემონა: ოჰ, ოტელო, რაღას უყურებ?

შინ მიგელიან მზა სადილზედ შენგან წვეულნი  
 ამა კუნძულის დიდებულნი.

ოტელო: დიდ ბოდიშს ვიხდი.

დეზდემონა: რად ლაპარაკობ აგრე სუსტად, ავად ხომ არ ხარ?

ოტელო: აქ შუბლთან მტკივა და მაწუხებს.

დეზდემონა: ეგ უძილობის ბრალი იქნება. არაფერი, მალე გაივლის.

მოდე აქ, მაგრად შეგიხვევ თავს და მოგიჩიება.

ოტელო: ეგ ხელსახოცი პატარაა, დაე, დაეხსენ! *(მოივლევს  
 ხელსახოცს, რომელიც დეზდემონას ხელიდან გაუარდება)*

აბა, წავიდეთ.

დეზდემონა: როგორ მწყინს, რომ ავად გამიხდი!

*(ოტელო და დეზდემონა გადიან)*

ემილია: ძლივს ჩავიგდე ეს ხელსახოცი! რამდენჯერ უთქვამს

ჩემს უკმეხ ქმარსა: მოჰპაროო ეგებ როგორმე.

მაგრამ ეს მავრის პირვანდელი სახსოვარია

და მისთვის უყვარს დეზდემონას ისე საშინლად,



რომ მუდამ ჰკოცნის, უაღერსებს, ეტრფიალება.  
 მავრს უთხოვნია, არ გაშორდე სიკვდილამდეო.  
 ნიშანს ავარღვევ და იაგოს ისე გადავცემ.  
 მე თვით არ ვიცი, ღმერთმა უწყის, რისთვის დასჭირდა  
 და მინდა, მხოლოდ დავამშვიდო, მოვუკლა ჟინი.

(შემოდის იაგო)

იაგო: შენ აქ მარტოა რას აკეთებ?

ემილია: ჰა, არ გამლანძლო. ერთი რამა მაქვს მე აქ შენთვის.

იაგო: შენ გაქვს ჩემთვისა? განა არ ვიცი, რა იქნება?

ემილია: ეცადე, მიხვდე.

იაგო: სულელი ცოლის თხელი ჭკუა.

ემილია: ეგ არის რაღა!

აბა ჯერ მითხარ, რას მომცემ იმ ხელსახოცისთვის?

იაგო: რა ხელსახოცზედ ლაპარაკობ?

ემილია: რა ხელსახოცზედ!

იმზედ, მავრმა სულ პირველად ცოლს რომ აჩუქა  
 და შენ რამდენჯერ გითხოვნია, მოიპარეო.

იაგო: მერე მოჰპარე?

ემილია: მოპარვით კი არ მომიპარავს,

მაგრამ ხელიდან დეზდემონას გავარდა უცბად,  
 იმ დროს იქ ვიდევ და ავიღე. აი, ხომ ჰხედავ.

იაგო: რა ჩინებული ცოლი მყავხარ! ეგ აქ მომეცი.

ემილია: რა გინდა უყო, მითხარ ერთი, რად ჩამაცვივდი, უთუოდ  
 უნდა ხელთ იგდოო?

იაგო: შენ რა საქმე გაქვს?

(ხელსახოცს გამოსტაცებს)

ემილია: ძლიერ საჭირო თუ არ არის, უკანვე მომეც.

საწყალი ქალი რა გაიგებს მაგის დაკარგვას,  
 სრულად ჭკუიდან შეიშლება.

იაგო: შენ ხმა გაჰკმინდე.

ჩემთვის ეს დიდად საჭიროა. კარგია, წადი.

(ემილია გადის)

წავალ, კასიოს მივუგდებ მე ამ ხელსახოცსა და თვის  
 ოთახში ვაპოვნინებ. უბრალო ამბავს,

ჰაერის მსგავსად მსუბუქს, ფუყეს, ეჭვიანთათვის საღმთო





წერილის სიტყვებსავე მტკიცე ძალა აქვს. ამ ამბიდანაც, იმედია, გამოვარამე. ჩაწვეთებულმა ჩემგან შხამმა ხომ გასჭრა მავრზედ!

მანც ოცნებას, ეჭვის აღმძრავს, ეგ ბუნება აქვს: იგიც შხამსავეთ ჯერ დიდ ტკივილს არ აგრძნობინებს, მაგრამ რაკი რომ სისხლს მოხვდება, მოეკიდება, სწავს იგი მწარედ აღტყინებულ გოგირდის მსგავსად.

ისე მოხდება, როგორც მე ვთქვი. - აგერ აქ მოდის. ვერც მანდრაგორა, ვერც ხაშხაში და ვერც სხვა წვენი, თუნდ მთელის ქვეყნით თავმოყრილი

ძილ-მოსაგვრელად, ველარ გიწამლებს, ველარ მოგგვრის წუხანდელ ტკბილ ძილს.

(შემოდის ოტელო)

ოტელო: როგორ, მე უნდა მღალატობდეს!

იაგო: ბატონო ჩემო, ნულარა ჰფიქრობთ იმ საგანზედ.

ოტელო: იქით, გამშორდი!

იცი, რომ შენ მე საწამებელ ჩარხზედ გამაკარ! ვფიცავ, სჯობს, თვალნი ახვეულნი გქონდეს სრულიად, ვიდრე ოდნავად აგხადონ ეს თვალთ-სახვეველი!

იაგო: როგორ, ბატონო?

ოტელო: რა ვიცოდი, თუ ის ჩემ ჩუმად გარყვნილ სიამეს გემოვნებდა. ხომ ვერ ვხედავდი! არცა ვფიქრობდი მე ამაზედ, არც ვმწუხარებდი. წუხელის ვიყავ მხიარულად, ტკბილად მეძინა, კასიოს კოცნა მის ტუჩებზედ მე არ მიგრძენია! - გაქურდულს კაცსა გაქურდული არ ეთქმის, თუკი ვერას გაიგებს და მონაპარს არ მოიკითხავს.

იაგო: ვწუხვარ, თქვენგან ეგ მეყურება.

ოტელო: თუნდა მთელ ბანაკს, ყოველ ჯარისკაცს თუნდ ცალ-ცალკე ეგემნა იგი, იმის ტკბილ სხეულს შეჰხებოდა, მე ბედნიერად ჩავთვლიდი ჩემ თავს, არ მცოდნოდა ოღონდ არა-



რა. აწ კი მშვიდობით საუკუნოდ სულის სიმშვიდე,  
 მშვიდობით, ჩემო მხიარულო კმაყოფილება!  
 მშვიდობით, სპანო ჯილოსანნო, დიდნო ბრძოლანო,  
 თავმოყვარების სათნოებად გარდამქცეველნო!  
 მშვიდობით, ჩემის თავმომწონე ცხენის ჭიხვინო,  
 გულის აღმძვრელო დაფდაფებო, ბუკის მკვეთრო ხმა,  
 ყურთა-გამგმირო სალამურო. სამეფო დროშავ,  
 დაუდგრომლობავ, მღელვარებავ დიდებულ ომთა,  
 ბრძოლის შვენებავ, სიამაყევ თვალის მიმტაცო.  
 ოჰ, თქვენც, მშვიდობით, მანქანანო სიკვდილის მბადნო,  
 რომელთ ყელიდან გამოჰქუხს ხმა სმენად საშიში,  
 როგორც უკვდავის იუპიტრის საზარო გრგვინვა!  
 ოტელოს ჩარხი ბედ-უკულმა გადატრიალდა!

იაგო: ბატონო ჩემო, მაგას როგორ წარმოვიდგენდი!

ოტელი: ბილწო ქმნილება. ეს იცოდე, იცოდე-მეთქი,  
 უნდა აშკარად დამიმტკიცო, თვალთ მანახვო  
 შენ ჩემის სატრფოს გარყვნილება, თორემ უკვდავ სულს

*(ყელში ხელს წაუჭერს)*

ვფიცავ, გერჩივნა შობილ-იყავ წუწკ ძაღლის ლეკვად  
 და ჩემს მღელვარე რისხვას წინ კი არ დასდგომოდი.

იაგო: მაშ ესეც ვნახე.

ოტელი: ჩემის თვალთ მაჩვენე-მეთქი,  
 ან დამიმტკიცე ისე მაინც, რომ შენს საბუთზედ  
 არც კავი იყოს და არც ნასკვი ეჭვის საზიდლად,  
 თორემ ვაი შენ!

იაგო: მოწყალეო ბატონო ჩემო!

ოტელი: თუ მას ცილს სწამებ და მტანჯავ მე, ნულარ ილოცავ,  
 აილე ხელი სინიდისზედ და საზარ საქმეს  
 საზარი საქმე მიუმატე და მიაზღვავე ისე, რომ ზეცა ქვითინს  
 მოჰყვეს, მიწა შეძრწუნდეს! ამის უარესს, ოჰ, მერწმუნე,  
 ველარას იზამ, თუ გწადიან, რომ ჯოჯოხეთის გზა გაიკვალო!

იაგო: ოჰ, მომიტევეთ! შემიწყალე, ჰოი ზეცაო!

კაცი არა ხართ? გული, გრძნობა არ გაბადიათ?  
 შეგინდოთ ღმერთმა. - ჩაიბარეთ ჩემი ადგილი, -



ვაი, საბრალო თავო ჩემო, გონებავ სუსტო!  
ამას მოვესწარ?! კარგ-კაცობას ბიწად გითვლიან.  
ქვეყნიერებავ საზიზღარო! ეს შეამჩნიეთ  
და ყურად იღეთ: კარგ-კაცობა, პირდაპირობა  
საშიშ ხელობად გარდაქმნილა. სწავლებისათვის  
გმადლობთ მე დიდად. ამას იქით, იცოდეთ ყველამ,  
მეგობარს აღარ შევიყვარებ, რაკი სიყვარულს  
თან უნდა მოჰყვეს ამისთანა შეურაცხყოფა!

**ოტელიო:** არა, აქ დარჩი! მე ვგონებ, რომ პატიოსანი უნდა იყო შენ.

**იაგო:** ჭკვიანი რომ ვიყო, ისა სჯობს.

პატიოსნება ჭკვა-სუსტია: ვისთვისაც ცდილობს,  
პირიქით იმის გულსვე ჰკარგავს.

**ოტელიო:** ქვეყანას ვფიცავ, რომ ჩემი ცოლი ხან მგონია პატიოსანი  
და ხან კი არა. შენც ხან მართალ კაცადა გსახავ  
და ხან კი ყალბად. საბუთები მეჭირვება მე. -  
როგორც დიანას პირისახე, იმის სახელი  
იყო უმანკო და ახლა კი გამურულია,  
ჩაშავებული ამ ჩემ შავის პირის კანივით.  
თუ კიდევ სადმე თოკი არის, დანა, ან შხამი,  
დამწველი ცეცხლი, ან დამღრჩობი წყალთ მდინარება,  
მე არ მოვითმენ ამ ამბავსა! ოჰ, ნეტავი კი  
დავრწმუნდებოდე!

**იაგო:** ცხადად ვხედავ, რომ აშლილ ვნებათ

შეგიპყრესთ სრულად. ვნანობ, მე რად გავხდი მიზეზი.  
«ნეტავი კი დავრწმუნდეო!» ბრძანებდით ახლა?

**ოტელიო:** რა დროს ნატვრაა, უეჭველად უნდა დავრწმუნდე.

**იაგო:** ეგ შეგიძლიანთ, მაგრამ როგორ, ვით დარწმუნდებით?

განა ძალგიძთ კი უგრძნობელად უყუროთ იმათ  
ერთად მწოლარეთ!

**ოტელიო:** ოჰ, სიკვდილი და შეჩვენება!

**იაგო:** ამ ამბის თვალით ნახვა, ვგონებ, მეტად ძნელია;

და მართლაც თუკი ერთ სარეცელს ჩაკონებულნი

ეჩვენებიან კაცის თვალსა, მაშინ იგინი სწორედ რომ ღირსნი

იქნებიან კიცხვა-კრულვისა. მაშ როგორა ვქნათ, ანუ რა

ვქნათ? რა ვთქვა, არ ვიცი! როგორ გავხადოთ კმაყოფილი?



მათ ვერ მიასწრობთ თქვენ თქვენის თვალთ, თუნდ რომ  
 ჰქონდეთ მგლის სიმსუნაგე, ან თხის ხურუში, აღტყინება  
 მაიმუნისა, ან თუნდ სრულად ჭკვა დაბნეოდეთ, ვით უმეცრე-  
 ბას, სიმთვრალისაგან წაქეზებულს. მაგრამ თუკი თქვენ  
 ბრალს მტკიცე ნიშანს დაამყარებთ, რომელსაც ძალუძს  
 სიმართლის კართან მიგიყვანოთ პირდაპირის გზით,  
 მე შემძლიან შემოგძღვნათ ეს კმაყოფილება.

ოტელიო: ცხადი საბუთი მომეც იმის ორგულობისა.

იაგო: მე თუმც არ მომწონს ეს ხელობა, მაგრამ რაკი რომ  
 ალალმართლობით, ერთგულობით წაქეზებულმა  
 ბიჯი წინ წავდგი, უნდა მივეყვე საქმეს ბოლომდე:  
 მე და კასიო ამას წინად ერთად ვიწექით  
 და მეტად მწვავი, საშინელი კბილის ტკივილი  
 არ მაძინებდა. ზოგთ იციან სულ-დაბოშებულთ  
 ძილის დროს მათის ფარულ საქმის გამომჟღავნება;  
 კასიოც თურმე ამგვარია და აი, ძილში  
 დაიწყო ბოდვა: «დებდემონა, ფრთხილად ვიყოთო,  
 ნუ გავამჟღავნებთ ჩვენს სიყვარულს». მერე მომვარდა,  
 მაგრად ხელი ხელს მომიჭირა და დაიძახა:  
 «ოჰ, სულთ-უტკბესო ქმნილებათ!» თან გადამოცნა  
 ისეთის ძალით, თითქო სურდა ამ ჩემ ტუჩებზედ  
 ამოსულ კოცნათ ამოგლეჯა ძირფესვიანად;  
 გულში ჩამიკრა, ჩამიკონა, ჩამკოცნა კიდევ  
 და მოჰყვა კვნესას; მერე უცბად წამოიძახა:  
 «წყეულიმც იყოს ბედი, რამაც მავრს ხელთ მიგცათ!»

ოტელიო: საზარელია, საზარელი!

იაგო: ბატონო ჩემო, ნუ დაივიწყებთ, რომ ეს მხოლოდ  
 სიზმარი იყო.

ოტელიო: ეგ ნამდვილ ამბის ნიშანია, ცხადად ნაფიქრის  
 და თვით სიზმარიც ეჭვსა ჰბადებს საშიშს და ბოროტს.

იაგო: მაგ საბუთს მხოლოდ ის ძალა აქვს, სხვა წვრილ საბუთებს  
 შესამოწმებლად გამოადგეს.

ოტელიო: ნაკუნ-ნაკუნად დავგლეჯ მე ჩემ ცოლს.

იაგო: მოთმინება, სჯობს, იქონიოთ.

ჯერ ხომ ვერაფერს ვერა ვხედავთ და შესაძლოა,





პატიოსანი იყოს იგი; მიბრძანეთ მხოლოდ, -  
 თქვენ იმის ხელში როდისმე ხომ არ დაგინახავთ  
 ხელსახოცი რამ დაწინწკლული მარწყვის ყვავილით?

ოტელიო: მე თვითონ მივეც მაგისტანა პირველ საჩუქრად.

იაგო: ეგ არ ვიცოდი... დღეს იმგვარის ხელსახოცითა, -  
 უეჭველია, იგი თქვენის ცოლისა იყო, -  
 ვნახე, კასიო პირს იწმენდდა.

ოტელიო: ოჰ, თუ ის იყო...

იაგო: ის იყო თუ სხვა, თქვენის ცოლის ნაკუთვნი რამე, -  
 სხვა საბუთებთან ერთად ეს მას ცუდად ამხილებს.

ოტელიო: ოჰ, იმ ყურ-მოჭრილ მონას რატომ ორმოც-ათასი  
 თავი ერთ ტანსა არ აბია! ერთი არ კმარა  
 ჩემგან შურისა საძიებლად. ახლა ცხადია,  
 მართალი არის ყოველივე. - იაგო, ჰხედავ:  
 უზომ-უძიროს ჩემ სიყვარულს ვუბერავ სულსა  
 და ქარს ჰაერში ვაბნევიანებ. - გაჰქრა, წავიდა.  
 ჯოჯოხეთისა ქვესკნელიდან ამოდი შავო  
 შურისძიებავ! სიყვარულო, შენი გვირგვინი  
 და გული ჩემი, შენდა ტახტად შემოწირული,  
 დაუთმე მძლავრსა მძულვარებას. ასივდი მკერდო,  
 ასპიტის გესლით ყოფილხარ შენ გამოტენილი!

იაგო: გთხოვთ, რომ დამშვიდდეთ.

ოტელიო: სისხლი, სისხლი, სისხლი მწყურიან!!

იაგო: დამშვიდდით-მეთქი, მოითმინეთ. იქნება კიდევ  
 გამოიცვალთ თქვენი აზრი.

ოტელიო: არა, იაგო, როგორც პონტის ზღვის ცივნი ზვირთნი  
 გატაცებულნი მისდევენ ერთ გზას პროპონტიდს და ჰელეს-  
 პონტისკენ, არ შეიმშენევენ თავის დღეში კლება-მცირებას,  
 ისე მედგარნი, მოსისხლენი ზრახვანი ჩემნი  
 უკან ვერ წავლენ, სიყვარულს არ შეუდრკებიან,  
 და შთანთქავს იმათ შურისგება ყოვლად ძლიერი.

(დაიჩოქებს)

ამ მარმარილოს მსგავსად გაშლილ ცის ქვეშ ფიცსა ვდებ,  
 ვდებ წმინდა ფიცსა, შევასრულო აღთქმა ჩემი.

იაგო: ჯერ ნუ ადგებით, - (იჩოქებს)





ცის მნათობნო განუქრობელნო და სტიქიონნო, ადამიანთ გარშემომწერნო, გიმოწმებთ მე თქვენ, რომ იაგო ამ დღეის იქით მზაა, შესწიროს თვის გონება, ხელი და გული შეურაცხყოფილს ოტელოს სვეს. რაც მან უბრძანოს, თვის წმინდა ვალად ჩაითვალოს მის შესრულება, თუნდ რომ სისხლის ღვრა მოჰყვეს მისგან ნაბრძანებ საქმეს.

ოტელი: გმადლობ, იაგო, გმადლობ არა სუსტის სიტყვებით, გულის სიღრმეში ვიგრძენ შენი მე სიყვარული და

მსურს რომ ახლავ ეგე აღთქმა გამოვიყენო: ვიდრე სამი დღე გაივლიდეს, უნდა სიკვდილი შემატყობინო კასიოსი.

იაგო: თქვენი ბრძანება მყის შესრულდება, მეგობარი ჩემი მკვდარია, მაგრამ ამას გთხოვთ მხოლოდ, ის კი ცოცხალი დარჩეს.

ოტელი: ოჰ, იმ გომბიოს უნამუსოს ნულარ ახსენებ, წყეულიმც იყოს! - წამო ჩემთან. მე მსურს, ვიპოვო ჩქარი რამ ღონე იმ მშვენიერ სატანის სულის ამოსახდელად, მე შენ გნიშნავ ჩემ თანაშემწედ.

იაგო: გთხოვთ, რომ მარადის მიგულებდეთ თქვენს ერთგულ მონად.

(გადიან)



## სურათი IV

## ციხე-დარბაზის წინ

(შემოდიან დეზდემონა, ემილია და მასხარა)

დეზდემონა: მეგობარო! არ იცი ჩემი ქმრის თანაშემწე კასიო სადა დგას?

მასხარა: სადა დგას არ ვიცი, და რაზედა დგას, ის კი ვიცი.

დეზდემონა: როგორ თუ რაზედ?

მასხარა: კასიო ჯარისკაცია და ჯარისკაცი მუდამ ფეხზედ უნდა იდგეს.

დეზდემონა: კარგია, გეყოფა; მე იმასა გკითხავ, კასიო სადა სცხოვრებს-მეთქი.

მასხარა: ჯერ ენაზე სიცრუე უნდა დამადგეს და მერე ისე გითხრათ, თუ სადა სცხოვრებს.

დეზდემონა: ნეტა რა გამოდის მაგ შენი ლაპარაკიდან?

მასხარა: მე არ ვიცი, ის სადა სცხოვრებს და რომ გიჩვენოთ იმის სადგური, ან გითხრათ აქა და აქ სცხოვრებს-მეთქი, ტყუილების გუდად უნდა გადავიქცე.

დეზდემონა: შეგიძლიან გამოკითხვით შეიტყო?

მასხარა: წავალ და იმის გულისთვის ქვეყანას კითხვით შევაჯერებ. მე ვიკითხავ და პასუხს სხვისგან მოვიტხოვ.

დეზდემონა: წადი, მონახე და უთხარ, ჩემთან მოვიდეს. შეატყობინე, რომ ჩემ ქმარს შენზედ გული მოვუბრუნე და იმედია საქმე კეთილად დაბოლოვდება-თქო.

მასხარა: ადამიანის ჭკუისთვის ეგ შესაძლებელია და ამის გამო ვეცდები მოვახერხო.

(გადის)

დეზდემონა: ემილია, სად უნდა მიმალულიყო ის ხელსახოცი, როგორ გგონია?

ემილია: რა მოგახსენოთ!

დეზდემონა: მერწმუნე, ოქროთ სავსე ქისა რომ დამკარგოდა, დიდად მერჩივნა მის დაკარგვას. კარგია კიდევ, რომ ჩემს სულმაღალს და გულმართალ ქმარს სენად არ სჭირს ეჭვიანობა მდაბალ-სულთა, თორემ ამ ამბავს



შეეძლო, იმის გულში ავი ფიქრი აღეძრა.

ემილია: ეჭვიანობა მაშ არ იცის?

დეზდემონა: ვინა, ოტელი?

ვგონებ, იმ ქვეყნის მზეს, სადაც კი შობილა იგი, ამოუბუგავს ძირიანად მასში ეგ ჟინი.

ემილია: აქ მობრძანდება აგერ თვითონ.

დეზდემონა: არ მოვეშვები, ვიდრე კასიოს არ მიიღებს კვალად თავისთან.

(შემოდის ოტელი) ოტელი, ახლა როგორა ხარ?

ოტელი: არა მიჭირს რა. (თავისთვის) ოჰ, რა ძნელია თვალთმაქცობა! - შენც, დეზდემონა, ხომ კარგადა ხარ?

დეზდემონა: მე სრულიად კარგად გახლავარ.

ოტელი: აქ მომეც ერთი შენი ხელი. რა ნაზი არის.

დეზდემონა: ჯერ მაგას ჯავრი არ უნახავს, არც ხნიერია.

ოტელი: გულის სიუხვეს ამტკიცებს ეს, ნაყოფთ-მრავლობას.

ნაზია იგი და მხურვალე; ამას არ აწყენს თავისუფლების შეკავება, აღთქმის დადება, ლოცვა-ვედრება, მარხულობა, სხეულის დასჯა, რადგანაც აქ ერთ ახალგაზრდა და ცელქ სატანას თავისი ბუდე დაუდვია და არ ისვენებს.

კარგია-მეთქი და წრფელია აი, ეს ხელი!

დეზდემონა: სამართლიანად ამბობ მაგას. სწორედ მაგ ხელმა ჩაგაბარა შენ ჩემი გული.

ოტელი: უხვი ხელია. უწინ გული ხელს აბარებდა და ახალ შტოში თავში ხელია მოქცეული და არა გული!

დეზდემონა: მე მაგ საგანზედ ლაპარაკი არ შემიძლიან.

შენ ეს მაცნობე, რომ დამპირდი, იმისი რა ჰქენ?

ოტელი: მე რას დაგპირდი, ჩემო გვრიტო?

დეზდემონა: კაცი გავგზავნე შენთან კასიოს მოსაყვანად. მინდა პირისპირ გალაპარაკოთ.

ოტელი: ოჰ, ეს სურდო როგორ მაწუხებს!

რას ჩამაცივდა! ხელსახოცი მომეც აქ ერთი.


დეზდემონა: აი, ბატონო.

ოტელი: ის მათხოვე, მე რომ გაჩუქე.

დეზდემონა: ის აქ არა მაქვს.

ოტელი: აქ არა გაქვს?





**დეზდემონა:** დიად, არა მაქვს.  
**ოტელიო:** ეგ ამბავი არ არის კარგი. ის ხელსახოცი ერთ მკითხავ ბოშა დედაკაცსა, გულთმისნად განთქმულს, დედაჩემისთვის მიეცა და ესეც თან ეთქვა, რომ თუ იგი მას თავიდან არ მოიშორებდა, ყველასთვის სატრფო იქნებოდა და მამაჩემიც ეყოლებოდა სიყვარულით დამონებული; მაგრამ თუ ვისმე მისცემდა მას, ან დაჰკარგავდა, შესძაგდებოდა მაშინ იგი მყისვე მამაჩემს და მიმართავდა თავის გულსა სხვა ტრფობის საგანს. სიკვდილის წინად დედაჩემმა მე მიანდერძა და ვალად დამდო, თუკი ბედმა ცოლს

შეგყარაო, მას მიეცე იგი; მეც აგრე ვქენ. ახლა გაფრთხილებ, ისე მოექეცე მაგ ხელსახოცსა, ვით შენს თვალისჩინს. ეგ რომ დაჰკარგო, ან სხვას მისცე, ამას მოჰყვება უბედურება საზარელი, უსწორ-უტოლო.

**დეზდემონა:** მაგას რას ამბობ?

**ოტელიო:** მართალს ვამბობ. მაგ ხელსახოცში თილისმა არის ჩაყოლილი. ერთ მოხუც ქადაგს, რომელს უნახავს ცის გარშემო ორას წელს მზის სვლა, ეგ განუმზადავს აღტაცებულ გულთმისნობის დროს; ნაკურთხსა ჭიას აბრეშუმი მოუქსოვია და ქალწულების გულთ, მუმიად მისგან შენახულთ, ეგ აბრეშუმი ალისფერად შეუღებიათ.

**დეზდემონა:** ნუთუ რაცა სთქვი, ნამდვილია?

**ოტელიო:** სწორედ ნამდვილი და გირჩევ კარგად გაუფრთხილდე.

**დეზდემონა:** რაკი აგრეა, ნეტა ჩემს დღეში არ მენახა.

**ოტელიო:** ვითომ რატომა?

**დეზდემონა:** რად მიპასუხებ ეგრე ცხარედ, ეგრე სასტიკად?

**ოტელიო:** დაჰკარგე განა? აღარა გაქვს! სთქვი, სთქვი, რა უყავ?

**დეზდემონა:** ღმერთო დაგვიხსენ!

**ოტელიო:** რაო, რა სთქვი?

**დეზდემონა:** არ დამიკარგავს



და თუნდ რომ კიდევ დამეკარგა, მერე...

ოტელო: რას ამბობ?

დეზდემონა: მე ვამბობ, რომ არ დამეკარგავს.

ოტელო: მაშ წადი, ახლავ აქ მომიტანე.

დეზდემონა: ახლა ვერა, მერე მოვიტან. ეგ საქმე განგებ მოიგონე, რომ ჩემი თხოვნა განზედ გადასდო. გეხვეწები, მიიღე იგი.

ოტელო: ის ხელსახოცი მომიტანე.

გული როგორღაც მეთანადრება!

დეზდემონა: კმარა, კარგი. დამერწმუნე, რომ მასზედ უკეთესს ადამიანს ვერსად შეჰხვდები.

ოტელო: მე ხელსახოცი მინდა-მეთქი.

დეზდემონა: გთხოვ, კასიოზედ ვილაპარაკოთ.

ოტელო: ხელსახოცი!

დეზდემონა: შენს სიყვარულზედ დაამყარა მან სრულად თვისი ბედნიერება და გაჭირებას ერთგულებით შუა გიყოფდა...

ოტელო: ხელსახოცი!

დეზდემონა: ოჰ, საყვედურის ღირსი ხარ სწორედ.

ოტელო: იქით, გამშორდი! (გადის)

ემილია: ეგ არ არის ეჭვიანიო?

დეზდემონა: მე არ მინახავს მაგისაგან ჯერ ეს ამბავი;

უთუოდ რაღაც თილისმაა იმ ხელსახოცში;

ვწუხვარ მე დიდად მის დაკარგვას.

ემილია: ერთი, ან ორი წელი არ კმარა გასაცნობად მამაკაცისა.

ის სტომაქია, დედაკაცი იმისი საზრდო:

სჭამს, ვიდრე შიან და შორს ისვრის, როს აივსება. -

აგერ კასიო და იაგო აქეთ მოდიან.

(შემოდიან კასიო და იაგო)

იაგო: სხვა გზა არ არის, მაგას მხოლოდ ის მოგიხერხებთ;

აგერ თქვენს ბედზედ აქ ყოფილა, მიდით და სთხოვეთ,

ადარ მოეშვათ.

დეზდემონა: ოჰ, კასიო, ახალს რას იტყვი?

კასიო: მე კვალად ჩემი თხოვნა უნდა განგიმეოროთ:

თქვენს კაცთმოყვარე გულს მოვმართავ უმორჩილესად

და გვედრებით, მომანიჭოთ სიცოცხლის ძალა,

მომცეთ ადგილი იმის გულში, ვისდამიცა ვგრძნობ

პატივისცემას უსაზღვროსა და უნაკლულოს.



ნულარ აყოვნებთ, თუ ბრალი მაქვს ისეთი მძიმე, რომ მის სიყვარულს ველარა გზით ვერ დავიბრუნებ ვერც წარსულ ღვაწლით, ვერც აწინდელ ნანვა-წუხილით, ვერც მომავალში თავდადებულ სამსახურიტა, - გთხოვთ, ეს წყალობა მოიღოთ, რომ მაცნობოთ მაინც. მაშინ შევიძინო ნაძალადევი კმაყოფილებას და სხვაგან სადმე ჩემს მწარე ბედს შევეკედლები.

**ღებღემონა:** ჩემო კასიო, მეც მას ვწუხვარ, რომ ჩემი სარჩლი მის გულის პასუხს ვერ უდგება და ჩემს მეუფეს მე ჩემს მეუფედ ველარ ვხედავ. ველარც ვიცნობდი, ხასიათსავეით რომ შესცვლოდა სახიერებაც. მექმნას მფარველად ღმერთი ისე, ვით მე ვეცადე, იმისი გული კვალად შენსკენ გადმომეხირო, ვით შეუპოვრად წინ დავუდევ მის მრისხანებას. უნდა ცოტა ხანს მოითმინო; რა ძალაც კი მაქვს, მოვიხმარ სრულად და მივმართავ იმგვარ ღონესაც, რომლის არჩევას თვით ჩემთვისვე ვერ გავბედავდი. ეს კმარა შენთვის.

**იაგო:** მაშ სარდალი გამწყრალი არის!

**ემილია:** იგი აქედან სწორედ ახლა გაბრძანდა გარეთ რაღაც მიზეზით უცნაურად აღელვებული.

**იაგო:** მისგან გაწყრომა ვერა გზით ვერ დამიჯერია: იგი მინახავს, რომ მის რაზმებს ზარბაზნის ტყვია მალლა ჰაერში მიმოჰყრიდა, მიმოაბნევედა, როს იმავ ტყვიამ, ვით სატანამ, მისი ღვიძლი ძმა უწყალოდ ხელით გამოჰგლიჯა. ის და გამწყრალი! მაშ სამძიმო რამ ამბავია, წავალ და ვნახავ. უდიდმიზეზოდ მას წყრომა ვერ მოერეოდა.

**ღებღემონა:** კარგს იზამ, რომ წახვიდე, ნახო. (იაგო გადის) უთუოდ საქმე არის რაიმე სახელმწიფო; ან ვენეციით თუ რამ აცნობეს, ან თვითონ აქ, ამავე კუნძულზედ საიდუმლო რამ შეთქმულობა აღმოაჩინა და ამ ამბავმა აუშლვრია მას წმინდა სული. მაინც ასეა: კაცს როდესაც დიდი მიზეზი ჭკუას უშფოთებს, მცირეს ერჩის, ეკამათება. თითიც კი ისე არ აგტკივა, რომ ეს ტკივილი,



უტკივარ ტანში არ დაგვებნეს, ყველგან არ ვიგრძნოთ.  
მართლაც ღმერთად ხომ ვერ დავსახავთ ადამიანსა,  
რომ ჩვენს ქმრებს იგივე ყურადღება მოვთხოვოთ მუდამ,  
რომელს იგინი გვაკუთვნებენ ქორწილის ჟამსა.  
გასაკიცხი ვარ, ემილია, კარგად დამტუქსე:  
მე, როგორც ურჩმა მეომარმა, დავწამე იმას  
ჩემდამი მტრულად მოკიდება და აწ დაერწმუნდი,  
რომ ცრუ მოწმობის ძალით იგი დაბრალდება.

ემილია: ღმერთმა ქნას, რომ ეს სახელმწიფო საქმეს მოსდევდეს  
და არ თქვენდამი გულს-ჩასახულს ეჭვიანობას.

დეზდემონა: არ მიმიცია მე ჩემ დღეში მაგის მიზეზი.

ემილია: ვერ დაამშვიდებს ეგ პასუხი ეჭვიან კაცსა:  
იგი ხომ მიზეზს ეჭვისათვის არ საჭიროებს  
და ეჭვიანობს მხოლოდ მად, რომ ეჭვიანია.  
ბაიყუშია სწორედ ეჭვი, თავს თვით ისახავს  
და თვითვე იშობს.

დეზდემონა: ოჰ, ოტელოს აშოროს ღმერთმა ეგ ბაიყუში.

ემილია: ამინ, ამინ!

დეზდემონა: მე წავალ მასთან, შენ კი კასიო, აქვე იყავ. თუ კარგ  
ქეიფზედ ვნახე მე იგი, კიდევ ვთხოვ შენის გულისთვის  
და თან ამ თხოვნას ზედ შევალევ ყოველ ჩემ ღონეს.

კასიო: ბატონო ჩემო, უმდაბლესად მადლს მოგახსენებთ.

*(გადიან დეზდემონა და ემილია. შემოდის ბიანკა)*

ბიანკა: კასიო, დილა მშვიდობისა.

კასიო: ბიანკა, შენა!

აქ რას აკეთებ, ან რასა იქ, ჩემო ლამაზო?

ეს არის შენთან მოვდიოდი.

ბიანკა: მეც შენთან მოვალ.

ერთი კვირაა, არ მოსულხარ! შვიდი დღე-ღამე,  
ას სამოცდარვა საათია და არშიყთათვის  
ხომ გაყრის ჟამი ას სამოცჯერ უფრო მძიმეა,  
ვიდრე უბრალო დროს მსველელობა.

აჰ, მეტის-მეტად მოსაწყენია იმ ჟამთა სვლა!

კასიო: გთხოვ, მომიტევე. მეტად საჭირო საქმეებში ვიყავ გართუ-  
ლი და დამერწმუნე მალე შენთან ხანგრძლივის ყოფნით  
ამოვმლი შენის გულიდან ამ დაშორების კვალს. -



ამგვარ ხელსახოცს ვერ მომიქსოვ, ჩემო ბიანკა?

(ღებდემონას ხელსახოცს აჩვენებს)

ბიანკა: ეგ შენ ვინ მოგცა? ვიცი, ვიცი, ახალთახალის  
გულის საყვარლის სახსოვარი იქნება სწორედ.  
ახლა კი მივხვდი დაშორების მიზეზს მე კარგად.  
მაშ აგრე არის? კარგი, კარგი!

კასიო: ტყუილად ჯავრობ!

ეგ წუწკი ეჭვი იმ ეშმაკსვე სტყორცნე კბილებში,  
რომელმაც კი შენ ჩაგაგონა. უბრალოდ ეჭვობ,  
ვითომ სახსოვრად საყვარლისგან მე ეგ მიმეღოს.  
ფიცით გარწმუნებ, შემცდარი ხარ.

ბიანკა: მაშ სთქვი, ვინ მოგცა.

კასიო: თვით მეც არ ვიცი; ჩემს ოთახში ვიპოვე ეგე;  
ძალიან მომწონს, მინდა მსგავსი მოვაქსოვინო;  
მოდე, წაიღე, მომიქსოვე და ამჟამად კი  
მარტო დამტოვე პატარა ხანს.

ბიანკა: მარტო დაგტოვო! მაგას რად ამბობ?

კასიო: ჩვენს სარდალს აქ ველი მე ახლა  
და არ მინდა, რომ ქალთან მნახოს, არც რიგი არის.

ბიანკა: ვითომ რისთვისა?

კასიო: არა მისთვის, რომ არ მიყვარდე.

ბიანკა: სწორედ მისთვის, რომ არ გიყვარვარ. პატარა მაინც  
გამომაცილე... და ეს მითხარ, ამაღამ გნახავ?

კასიო: მხოლოდ ცოტაზედ, შემიძლიან, გამოგაცილო.


რადგან მოველი მე აქ სარდალს. მალე კი გნახავ.

ბიანკა: ეგეც კარგია შენგან, მეტი რა გაეწყობა.

(გაღიან)



# მოქმედება მეოთხე





## სურათი I

კიპროსი. ციხე-დარბაზის კარმიდამო

(შემოდინ ოტელი და იაგო)

იაგო: მაშ არა გჯერათ, ეს, ბატონო?

ოტელი: მჯერაო, ამბობ?

იაგო: რომ ჩუმად კოცნა მხოლოდ ერთხელ...

ოტელი: კოცნა, რომელიც აკრძალულია!

იაგო: ან ერთ საათს, თუ მეტს ლოგინში თვის მეგობართან თუნდ შიშვლადაც ერთად დაწოლა ცუდის რამ ზრახვის უქონელად...

ოტელი: რას ამბობ? შიშვლად ერთად წოლაო ცუდის ზრახვის უქონელადა! ფარისევლობა არის ეგ თვით სატანას თვალში! ვინც სათნოა და მაინც კიდევ მაგ საქმეს სჩადის, მას სატანა სცდის და თვითონ კი სცდის ზეციურ ძალთ.

იაგო: მიეტევებათ, თუ მათ ცოდვა მარტო ეგ არის, მაგრამ როცა მე ჩემ ცოლს ვაძლევ ხელსახოცს რასმე...

ოტელი: მერე?

იაგო: მერე ის, რომ მისია ის ხელსახოცი და თვის საკუთარს, ვისაც უნდა, იმას აკუთვნებს.

ოტელი: თვითონ ნამუსიც ხომ იმისი საკუთრებაა, მაშ ნამუსზედაც შეუძლიან ხელი აიღოს?!

იაგო: არა, ნამუსი უხილავის ბუნებისაა და უნამუსო ხშირად ჩანს ნამუსიანად, მაგრამ ხელსახოცს...

ოტელი: ეჰ, ნეტა ეგ გულს გადამყროდა...

შენა სთქვი წედან, - ის სიტყვები თავს დამტრიალებს, როგორც ჭილყვავი ჭირიან სახლს უბედურების მასწავებელად, - სთქვი! მას აქვსო ის ხელსახოცი.

იაგო: მერე რა ვუყოთ?

ოტელი: ეგ ბოროტი ნიშანი არის.

იაგო: მაშ მე რომ გითხრათ, ვნახე იგი თქვენს საწყენ საქმეს ამბობდა, ანუ ჩადიოდა... მოგეხსენებათ, არ შეუძლიანთ არ იყებდონ ზოგთ არამზადათ, როცა იგინი საყვარლებზედ გაიმარჯვებენ და მეტის-მეტის ჩაცვიებით, ან მათვე ნებით





იყოლიებენ თვის სურვილზედ.

ოტელო: მაშ გითხრა რამე?

იაგო: დიად, ბატონო, თუმც ისეთი არა უთქვამს-რა, რის გადაფიცვაც არ შეეძლოს, როს მოინდომებს.

ოტელო: მაინც რა გითხრა?

იაგო: მითხრა, ვითომ იგი იმასთან... არ ვიცი, როგორ მოგახსენოთ...

ოტელო: სთქვი, სთქვი!

იაგო: წოლილა.

ოტელო: მასთან წოლილა?

იაგო: დიად, დიად, მასთან, მის გვერდით.

ოტელო: წოლილა მასთან, იმის გვერდით! ოჰ, უნამუსობავ! ხელსახოცი! უნდა გამოტყდეს და ამის სამაგიეროდ ჩამოიღრჩოს... ჯერ ჩამოიღრჩოს და მერე გამოტყდეს... კანკალი მომდის, ამას რომ ვფიქრობ! კაცის ბუნება ასეთ ძლეულვარე და ბნელ გულისთქმას არ აჰყვებოდა, წინად-გრძნობას რომ არ ჩაეგონოს. მე სიტყვები კი არ მალეღვებს, არა, ცხვირები, ყურები, ტუჩები... ეს განა შესაძლოა?... გამოტყდა... ხელსახოცი... ოჰ, სატანა!..

*(დაეცემა გულშემოყრილი)*

იაგო: ჩემო წამალო, გასჭერ, გასჭერ! ეგრე ჩააბმენ მახეში ხოლმე ალაღ-მართლებს და სულელებსა. ვინ იცის, რამდენ ღირსეულ ქალს და პატიოსანს სახელს უტეხენ ამავე გზით. - ბატონო ჩემო! გამიგონეთ... თქვენ მოგახსენებთ.

*(შემოდის კასიო)*

ოჰ, კასიო, თქვენ!

კასიო: რა ამბავია?

იაგო: ბნელით ავად გახდა სარდალი:

გუშინ პირველად მოუვიდა და დღეს მეორედ.

კასიო: კარგი იქნება, საფეთქლები რომ დაუზილო.

იაგო: არა უნდა-რა; თავისთავად ავადმყოფობამ, სჯობს, გადუაროს, თორემ პირზედ ქაფი მოუვა და მყისვე ჭკუა-შეშლილსავით გამძვინვარდება. ჰხედავთ, ფხიზლდება. ცოტა-ხნობით გადით აქედან; ახლავ გრძნობაზე მოვა ისევ და როდესაც კი გავა,



მე მინდა თქვენ ერთ ფრიად მძიმე საქმეზედ მოგესაუბროთ.

(კასიო გადის)

როგორა ხართ, ბატონო ჩემო?

ხომ არ იტკინეთ თავი, წელან ძირს რომ დაჰკარით?

ოტელი: დამცინი კიდევ?

იაგო: მე დაგცინით! არა, ენდეთ ღმერთს.

მე მინდა მხოლოდ ისე ჰზიდოთ თქვენ თქვენი ხვედრი, ვით ვაჟკაცს ჰფერობს.

ოტელი: ვაჟკაცს თავზედ რქებ-გამობმულსა, მხეცს და ბაიყუმს უძახიან.

იაგო: დიდ ქალაქებში ბევრი მაგგვარი მხეცი სცხოვრობს და ბევრ ბაიყუმს თავაზიანი სახე ადევს.

ოტელი: თვით აღიარა?

იაგო: ვაჟკაცი ხართ და მოიქეცით ვაჟკაცურადვე!

ხომ იცით, ყოველ წვეროსანსა, უღელში ჩაბმულს, სწორედ თქვენივე დღე ადგია. რამდენ მილიონს, შეურაცხყოფილ სარეცელში ღამე მწოლარეს, ჰგონია იგი მარტო მისთვის განმზადებული.

თქვენ ან რა გიჭირთ საიმისო? ოჰ, ჯოჯობეთის ბოროტებაა, ბილწ ეშმაკის მწარე დაცინვა,

როს ჰკოცნი გარყვნილ დედაკაცსა შენს ქვეშსაგებში და უნამუსო მიგაჩნია ნამუსიანად.

სჯობს, რომ ყველა ვცნა და თუ ვიცი, მე თვითონ რა ვარ, მეცოდინება მაშინ, იგი რიდას ღირსია.

ოტელი: სწორედ ბრძენი ხარ.

იაგო: პატარა ხანს იქით მიდექით და მოთმინებით აღიჭურვეთ:

როდესაც კი თქვენ იწექით სევდით შეპყრობილი უგრძნობ-უგონოდ, - რაც თქვენებრივს კაცს არ შეჰფერის, - მაშინ

კასიო შემოვიდა აქ; მე თქვენს სენსა დავდე მიზეზი ჭკვად-მოსასვლელი, გავისტუმრე იგი აქედგან

და ვთხოვე, ახლავ აქ დაბრუნდეს და ერთ საქმეზედ მომესაუბროს; იგიც დამყვა. იმის მოსვლამდე

თქვენ დაიძალეთ და კარგადაც ადევნეთ თვალი

მის პირისახის ყოველ კუთხეს ვით დაეჭყობა

კვეხნა-ტრაბახი, გრეხა, კილვა უმართებულო.

მე მას ხელ-ახლად ვათქმევინებ, თუ სად, ან როგორ,





ანუ რამდენჯერ, როდის აქეთ, რა დროს თქვენ ცოლთან იყო იგი, ან კვლავ აპირობს იმასთან ყოფნას. თვალი ადევნეთ, გეუბნებით, მის მიხვრა-მოხვრას და მოთმინება იქონიეთ, - არ მათქმევინოთ, რომ ვითომ თქვენში აღარ იყოს კაცთ ნიშან-წყალი და მრისხანებად გარდაგქმნოდეთ თქვენი ბუნება.

**ოტელო:** იცი, იაგო, მოთმინებით თავს გამოვიჩინე, მოვითმენ, მაგრამ მასუკან კი, - ესეც იცოდე, - სისხლის მსმელობას მივყოფ ხელსა უანგარიშოს!

**იაგო:** ეგეც ურიგო არ იქნება. მხოლოდ ყველაფერს თავის ვადა აქვს. აწ კი დროა, რომ დაიმალოთ. -

*(ოტელო შორს გადგება)*

ახლა კასიოს გამოვკითხავ ბიანკას ამბავს; ეს ცელქი გოგო იმით სცხოვრობს, იცვამს, იხურავს, რომ თავის თავს ხან ერთს აკუთვნებს და ხან მეორეს. ბედკრულს კასიო გაგიჟებით შეჰყვარებია. უნამუსოთ ხომ ჭირადა სჭირთ, - ბევრნი ატყუონ, მაგრამ ერთისგან კი მოტყუდნენ. როცა კასიოს ჩამოუგდებენ მასზედ სიტყვას, კვდება სიცილით. აგერ აქ მოდის, ის რომ სიცილს მოჰყვება, მაშინ ოტელო ჭკვიდამ შეიშლება. კასიოს ღიმილს, კადნიერებით მიხვრა-მოხვრას და თამამ ქცევას სხვაფრივ ინიშნებს იმისი ბრმა ეჭვიანობა. -

*(კასიო ისევ შემოდის)*

ბატონო, სარდლის თანაშემწე, როგორ ბრძანდებით?

**კასიო:** ვერა ვარ კარგად, მით უფრო, რომ შენ მე მანიჭებ ხარისხს, რომლისააც აღარ ქონა მთლად მიღებს ბოლოს.

**იაგო:** თქვენ შეევედრეთ ღებღემონას და გაიმარჯვებთ.

*(ხმადაბლა)* რას იტყვით, აბა, თქვენი საქმე ბიანკას ხელში რომ იყოს, მაშინ როგორ *(ხმამაღლა)* მალე მიაღწევთ წადილს.

**კასიო:** ვაი, საბრალო ცუგრუმელა!

**ოტელო (თავისთვის):** ჰხედავთ, ახლავე ღიმილი მოსდის.

**იაგო:** არ მინახავს, რომ კაცი აგრე შეჰყვარებოდეს დედაკაცსა.

**კასიო:** საწყალი ქალი! იქნება მართლა შემიყვარა!

**ოტელო (თავისთვის):** ვითომ უარობს და თან იცინის.

**იაგო:** მე მინდა, თქვენ ერთი რამ გკითხოთ.



(ყურში უჩურჩულებს)

ოტელო (თავისთვის): ახლა აპირობს გამოკითხვას. ძალიან კარგი, ძალიან კარგი, აგრე, აგრე!

იაგო: ის ამბობს, ვითომ გინდოდეთ იმის ცოლად შერთვა. მართლა?

კასიო: ჰა, ჰა, ჰა!

ოტელო (თავისთვის): ოჰ, რომაელო, თავი მოგაქვს განა და მედიდურობ!

კასიო: როგორ! მე მეუბნები, ცოლად შერთვა გინდაო? მერე ვისი? უნამუსო დედაკაცისა! ეს საბრალო თავი მაინც არ გეცოდება? ნურც აგრე მისუსტებული გგონია. ჰა, ჰა, ჰა.

ოტელო (თავისთვის): აგრე, აგრე, იმხიარულე, მხიარულება გამარჯვებულის ხვედრია.

იაგო: დამერწმუნეთ, ხმა დადის, ვითომც თქვენ ნამდვილად ირთავდეთ.

კასიო: იქნება მართლა?

იაგო: თავს ლაფი მესხას, თუ ტყუილს ვამბობდე.

ოტელო (თავისთვის): მაშ საიქიოსაც გამისტუმრეთ, რაღა? ძალიან კარგი!

კასიო: ეგ ხმა თვითონ იმ მაიმუნს დაუყრია. სწორედ დარწმუნებულია შევირთავ, რადგან თავის სიყვარული და მედიდურობა ამას აგონებს, თორემ მე არაფერს არ დავპირებივარ.

ოტელო (თავისთვის): იაგო მანიშნებს; ეტყობა, ახლავ დაიწყებს თავის ამბავს.

კასიო: ეს არის ახლა აქ იყო; ყველგან უკან დამდევს; იმ დღეს ზღვის პირზედ ვილაც ვენეციელებს ველაპარაკებოდი, ის ჭკვა-დანთხეულიც უცებ იქ გაჩნდა და ყელზე ჩამომეკონწიალა.

ოტელო (თავისთვის): და დაიძახა: «ოჰ, ჩემო ძვირფასო კასიო!» მაგის ხელების შლას ეტყობა, ეს უნდა ეთქვა.

კასიო: ჩამომეკიდა ყელზე, მოჰყვა ტირილს ჩემს მკერდზე, მძიძგნის, სადღაც მიმათრევს. ჰა, ჰა, ჰა!

(ჩუმად ელაპარაკება იაგოს)

ოტელო (თავისთვის): ახლა იმასაც იტყვის, თუ ჩემს ოთახში როგორ შეათრია... ოჰ, მე შენს ცხვირს ვხედავ, მაგრამ იმ ძაღლს კი ვერა, რომელსაც მაგას შესაჭმელად მივუგდებ.





კასიო: არა, უთუოდ უნდა შორს დავიჭირო საქმე.  
 იაგო: ღიად, მეტადრე, როცა ჩემთან შეხვდებით! - შეხედეთ, აგერ ისიც აქ მოდის.

კასიო: ეგ სუნნელებით შეზავებულს დედოფალას ჰგავს.  
 (შემოდის ბიანკა)

რას ჩამაცივდი, რა გსურს ჩემგან? უკან რას დამდევ?!  
 ბიანკა: ეშმაკიც დაგდევენებია თავის როკაპით! არა, რა იყო, წელან რომ ეს ხელსახოცი მომაჩიქე. მეც გავსულელდი და გამოგართვი. მერე მიბრძანებს კიდევ, სახე გადამიღეო. ახლა ისიც უნდა დამაჯეროს, ვითომ თავის ოთახში ეპოვოს და არც კი იცის, ვის დარჩენია. ეს ერთი აშაღლარას სახსოვარი იქნება ვისიმე და მევე სახე უნდა გადავიღო! წაიღე, წაიღე, შენს გულის ვარდს მიუტანე. სადაც უნდა გეპოვოს, მე ამის სახის გადამღები არა ვარ.

კასიო: აბა, ბიანკა, რა ამბავი გაქვს, რა მოხდა?

ოტელო (თავისთვის): თუნდ დავიფიცავ, ის სწორედ ჩემი ხელსახოცი უნდა იყოს!

ბიანკა: თუ გინდა, ამაღამ ვახშმად მოდი, თუ არა, მაშინ მოდი, როცა სურვილი მოგივლის.

(გადის)

იაგო: უკან გაჰყევით, გააცილეთ.

კასიო: მართლა, უნდა გავაცილო, თორემ ქუჩაში ლანძღვა-გინებას მოჰყვება.

იაგო: ვახშმად წახვალთ?

კასიო: ჰო, ვაპირობ.

იაგო: მაშ იქნება, თქვენს სანახავად მეც იქ მოვიდე. უთუოდ უნდა ერთ საქმეზე მოგელაპარაკოთ.

კასიო: ძალიან კარგს იზამ, მაშ ხომ მოხვალ სწორედ?

იაგო: კარგი, მიბრძანდით.

(კასიო გადის. ოტელო წინ წამოდგება)

ოტელო: იაგო, როგორ მოვკლა მე ეგა?

იაგო: ჰხედავდით, თავის გარყვნილებაზე ლაპარაკს როგორ კარგს გუნებაზე მოჰყავდა.

ოტელო: ოჰ, იაგო!

იაგო: ხელსახოცი კი არ დაგინახავთ?



ოტელიო: განა ჩემი იყო?

იაგო: ამ მარჯვენას გეფიცებით, თქვენი იყო. მერე როგორ პატივ-  
სა სცემს იმ უგუნურ დედაკაცს, თქვენს ცოლს! იმას ამის-  
თვის მოუცია ხელსახოცი და ამას კი ვიღაც როსკიპ დედაკა-  
ცისთვის უფეშქაშებია.

ოტელიო: ნეტავი ცხრა წელიწადი მაკვლევინა მე ეგ კაცი! უყურეთ,  
უყურეთ ამ ჩინებულ დედაკაცს, მშვენიერ დედაკაცს, ტკბილ  
დედაკაცს!

იაგო: სჯობს, დავიწყებას მისცეთ.

ოტელიო: უნდა ამაღამვე დაიღუპოს, ჩალპეს, ჯოჯობეთის ცეცხლში  
ჩაინთქას! იმ დედაკაცს სიცოცხლესთან ხელი აღარ უნდა  
ჰქონდეს. გაქვავდა, გაკლდევდა ეს გული, აი, ხელი მოვარტყი  
და ვიტკინე. - ცის ქვეშეთ მასზედ უკეთესი არა დაბადებულა  
რა. ის რომ ქვეყნის მფლობელის გვერდით იწვეს, შეუძლიან,  
ისიც კი თავის სურვილზედ ატაროს.

იაგო: თქვენზედ კი ვერ იბრძანებლებს.

ოტელიო: საღრჩობელა იმას, საღრჩობელა! მე ვამბობ მხოლოდ,  
რაც არის იგი: რა საუცხოოდ სჭრის და ჰკერავს! რა ჩინე-  
ბულად უკრავს საკრავზედ, თავის სიმღერით დათვსაც კი  
მოარჯულებს. ოჰ, რა მაღალი ჭკუა აქვს, რა მახვილი  
გონიერება!

იაგო: მით უფრო მეტად დამნაშავეა.

ოტელიო: ათასჯერ, ათასჯერ უფრო მეტად დამნაშავეა! - მერე  
რა თავაზიანია!

იაგო: დიად, დიად, მეტის-მეტად თავაზიანი.

ოტელიო: მაგას ნამდვილს ამბობ... მაგრამ მაინც ცოდოა, იაგო!  
ოჰ, იაგო! ცოდოა, ცოდო, იაგო!

იაგო: თუ თქვენს სიყვარულს იმის ბიწიერებაც ვერ მოსპობს,  
მიეცით ფართო გზა თქვენის შეურაცხებისათვის. თქვენ კი  
აიტანეთ და სხვას ეგ საქმე არ შეეხება.

ოტელიო: მე მას ნაჭერ-ნაჭრად ავკუწავ. როგორ! მე უნდა დამად-  
გას თავზედ რქები!

იაგო: ცუდად მოქცეულა, ცუდად!

ოტელიო: მერე ჩემ ხელქვეითთან.

იაგო: ეგ კიდევ უფრო ცუდი.

ოტელიო: ამაღამვე საწამლავი მიშოვნე, იაგო. მე მასთან ლაპარაკს





არ მოვყვები, რომ იმის სხეულის შეხებამ, იმისმა მშვენიერებამ გაბედულობა არ შემირყიოს, გესმის, იაგო, ამაღამვე.

იაგო: მოწამლვას ისა სჯობს, თავის ლოგინში დააღრჩოთ, მისგანვე შეგინებულ ლოგინში.

ოტელო: კარგად ამბობ, კარგად; მე მომწონს ეგ სამართალი; ძალიან კარგი.

იაგო: კასიო კი მე მომანდეთ; შუალამემდის შეიტყობთ, იმას რაც მოუვა.

ოტელო: ჩინებულია. *(საყვირის ხმა მოისმის)* ეს რა ხმა არის?

იაგო: ვენეციიდან თუ მოსულან. აგერ, შეჰხედეთ, ლოდოვიკო, მთავრისაგან გამოგზავნილი და თქვენი ცოლიც მასთან არის.

*(შემოდიან ლოდოვიკო, დეზდემონა და მხლებელნი)*

ლოდოვიკო: მშვიდობა თქვენდა ღირსო სარდალო.

ოტელო: გულწრფელ სალამს გიძღვნით პასუხად.

ლოდოვიკო: დიდი მთავარი ვენეციის და სენატორნი თავს გიკვრენ მდაბლად. *(აძლევს ქაღალდს)*

ოტელო: მოწიწებით ვეამბორები მე ამ ქაღალდსა, მათ წადილის ჩემდა გადმომცემს.

*(გახსნის ქაღალდს და კითხულობს)*

დეზდემონა: რა ამბავია, ლოდოვიკო, ვენეციაში?

იაგო: მოხარული ვარ, რომ აქ გხედავთ; კეთილი იყოს თქვენი კიპროსზედ მობრძანება.

ლოდოვიკო: გმადლობთ მე დიდად.

კასიო, სარდლის თანაშემწე, როგორღა არის?

იაგო: სცხოვრობს, ბატონო.

დეზდემონა: კასიოსა და ჩემ ქმარს შორის

უსიამოვნო შფოთი მოხდა; მაგრამ შენ, ძმაო, შესძლებ ადვილად, მოსპო იგი განხეთქილება.

ოტელო: აგრე გგონია?

დეზდემონა: რა მიბრძანე?

ოტელო *(კითხულობს)*: «ამ საქმის შემდეგ უთუოდ ასე მოიქეცით...»

ლოდოვიკო: შენ არ გეძახის; ეგ თავის ქაღალდს კითხულობს ჯერ. შენ ამბობ, სარდალს შფოთი მოუხდა კასიოსთან?

დეზდემონა: შფოთი მოუხდა საუბედუროდ. რომ შევძლებდე მათ შერიგებას, არ დავზოგავდი არაფერსა, რადგან კასიო მე დიდად მიყვარს.



ოტელო: ჯოჯობეთის ცეცხლი, გენა!

დეზდემონა: რას მიბრძანებდი?

ოტელო: შენს ჭკვაზედ ხარ?

დეზდემონა: ჯავრობს რაზედმე?

ლოდოვიკო: წერილის მოსვლა თუ ეწყინა. მე მგონი, სწერენ,  
 უკან დაბრუნდეს და კასიოს გადასცეს თავის მოვალეობა.

დეზდემონა: ეგ ამბავი მესიამოვნა.

ოტელო: მართლა?

დეზდემონა: ბატონო, რა მიბრძანე?

ოტელო: მესიამოვნა, რომ ჭკვა შეგშლია.

დეზდემონა: მე არ მესმის შენი სიტყვები.

ოტელო: ოჰ, შე სატანა! *(დაჰკრავს ქალაღდის ხვეულს)*

დეზდემონა: სამაგისო რა დავაშავე!

ლოდოვიკო: ვენეციაში ამ ამბავს არ დაიჯერებენ,  
 თუნდაც რომ ფიცით შევამოწმო თვალთ ნახული.

მეტის-მეტია, ანუგეშეთ მაინც, ბატონო. ჰხედავთ, რომ  
 ტირის!

ოტელო: ოჰ, სატანა, სატანა-მეთქი!

დედაკაცის ცრემლს რომ შეეძლოს აღორძინება,  
 თითო მის წვეთი ზღვის ნიანგად გარდიქცეოდა.  
 იქით, გამშორდი!

დეზდემონა: წავალ, რაკი ჩემი აქ ყოფნა აგრე გაწუხებს. *(მიდის)*

ლოდოვიკო: როგორ მალე გემორჩილებათ! გთხოვთ, დააბრუნოთ.

ოტელო: ქალბატონო!

დეზდემონა: ბატონო ჩემო!

ოტელო: რა გნებავთ, აბა, თქვენ ამისგან?

ლოდოვიკო: მე მკითხავთ მაგას?

ოტელო: დიად, თქვენ გკითხავთ, თქვენ გსურდათ, ეგ აქ  
 დაგებრუნათ; მაგას ადვილად შეუძლიან, დაბრუნდეს კიდევ,  
 მერე წავიდეს, კვლავ დაბრუნდეს, კიდევ წავიდეს;  
 ტირილიც იცის, თუკი უნდა, ტირილიც, დიად...  
 არის მორჩილიც, როგორც ბრძანეთ, მორჩილი-მეთქი...  
 დიდად მორჩილი. - ეცადე, რომ კარგად იტყურო. -  
 რაც კი ამ საქმეს შეეხება... ვიშ, ამ ნათხოვარს  
 მწუხარებასა! - დაბრუნებას მიბრძანებენ მე.  
 წადი აქედგან, თვით მოგიხმობ ცოტა ხანს უკან. -





ბატონო ჩემო, ამ ბრძანებას ვემორჩილები;  
ვენეციაში წავალ ისევ. - გადი, გამშორდი!

(*ღებღემონა გადის*)

კასიო დარჩეს ჩემს ალაგას და თქვენ ამაღამ  
ვახშამი ჩემთან, გთხოვთ, ინებოთ. კეთილი იყოს  
თქვენი აქ მოსვლა. - ოჰ, თხები და მაიმუნები!

(*გადის*)

**ლოდოვიკო:** ნუთუ ეს ისევ ის მავრია კეთილშობილი,  
რომელს უწოდებს ყოვლისფრით სრულს მთელი სენატი,  
ვის ვნებათ-ღელვა ვერ შეარყევს, ვის გულ-მტკიცობას  
ვერა განგმირავს, ოღნავადაც ვერ შეეხება  
ხვედრის ისარი, ან ნეშტარი უბედობისა.

**იაგო:** ეგ ამ ბოლოს დროს მეტის-მეტად გამოიცივალა.

**ლოდოვიკო:** გონებაზედ კი კარგად არის, ხომ არ შეშლილა?

**იაგო:** რაც არის, არის. ვერ გავბედავ, მასზედ წარმოვთქვა  
მე ჩემი აზრი, და ღმერთსა ვთხოვ, რომ იყოს იგი,  
რადაც ყოფნა კი შეუძლიან.

**ლოდოვიკო:** ცოლს უნდა სცემდეს!

**იაგო:** რა თქმა უნდა, რომ ეგ ამბავი არ არის კარგი,  
თუმც ნეტა არას ჩადიოდეს მაგის უარესს.

**ლოდოვიკო:** ჩვეულებად სჭირს, თუ ბრძანებას უნდა დაბრალდეს,  
რამაც იქნება, სისხლი ისე აუძლელვარა,  
რომ ეს შეცდომა მოაქმედა მოულოდნელად!

**იაგო:** ვაიმე ბედკრულს! არ იქნება სიპატიოსნე,  
გიაშობთ ყველა, რაც კი ვიცი, ან რაც მინახავს.  
თქვენ თვითონ თვალი ადევნეთ და იმისი ქცევა  
უჩემსიტყვოდაც ყოველისფერს გამოამჟღავნებს;  
მხოლოდ თვალ-ყური გამუდმებით მასზედ გეჭიროთ.

**ლოდოვიკო:** დიდათა ვწუხვარ, რომ მოვტყუვდი მე ოტელოში.

(*გადიან*)





## სურათი II

ოთახი ციხე-დარბაზში

(შემოდინა ოტელო და ემილია)

ოტელო: მაშ არაფერი გინახავს?

ემილია: არა, სრულიად. არცა მსმენია, გულშიც კი არ გამტარებია.

ოტელო: ის და კასიო ხომ ნახე შენ, ერთად რომ იყვნენ.

ემილია: რა დაშავდა მაგ ერთად ყოფნით! მერე იმათის საუბრისა მე

ერთი ხმაც არ გამოძვარვია.

ოტელო: მაშ ერთმანეთთან ჩურჩულიც არ შეგიძინებია?

ემილია: არა, მერწმუნეთ.

ოტელო: და არც სხვაგან გაუგზავნიხართ...

ემილია: არა, არასდროს.

ოტელო: რომ მარაო, ანუ პირბადე, ხელთათმანები, ან სხვა ნივთი რამ მიგეტანა.

ემილია: არა, ბატონო, არასდროსა.

ოტელო: უცნაურია.

ემილია: ბატონო ჩემო, სანაძლეოს დავდებ მე თუნდა თვითონ ჩემ სულსაც არ დავზოგავ მასზედ, რომ იგი პატიოსანი არის ყოვლად. თუ თქვენ სხვას ჰფიქრობთ, ტყუილად გიმღვრევთ ეგ ფიქრი გულს, - სჯობს რომ განდევნოთ. თუ უღვთომ ვინმე გაგაგონათ ეგ, დეე, მიეგოს მას იგივე წყევლა, რაიც ქვემძრომ გველსა ხვდა წილად. მართლადაც, თუკი დებდემონა არ არის წმინდა, პატიოსანი, უბიწო და ყოვლად მართალი, მაშინ ბედნიერს ვერ ვუწოდებთ ვერც ერთ მამაკაცს, რადგან ცოლთ შორის უმანკოზედ უმანკოება ცრუ და მუხთალი ყოფილა, ვით თვითონ სიცრუე.

ოტელო: წადი და უთხარ, აქ მოვიდეს. - (ემილია გადის)

ბევრსა ჰყბედობს მის საქომადებლად, მაგრამ ეგ ხომ მაჭანკალია და მაგგვარ ხალხსა ლაპარაკი ეადვილება.

ოჰ, მაგ ქვეშქვეშა უნამუსოს ბილწ საიდუმლოთა





კლიტე-გასაღებს ვადარებ მე, თუმცა კი ეგე  
ხშირად ლოცულობს მუხლ-მოდრეკით, - მე თვით მინახავს.

(შემოდინან დეზდემონა და ემილია)

დეზდემონა: ბატონო ჩემო, რა გნებავდა?

ოტელო: აქ მოდი ახლო, ჩემო გვრიტიკო.

დეზდემონა: გთხოვ, მაუწყო შენი სურვილი.

ოტელო: შენი თვალები დამანახვე. აბა, პირდაპირ აქ შემომხედე.

დეზდემონა: უცნაური აზრი მოგსვლია.

ოტელო (ემილიას): დროა, შეუდგე, ქალბატონო, შენს ხელობასა;  
დაგვტოვე მარტო საყვარლები, ჩაჰკეტე კარი  
და თუ მოვიდეს ვინმე, მყისვე ან ჩაახველე,  
ან დაიყვირე ჰაი, ჰაი-თქო! რაღას უყურებ?  
შეუდგე-მეთქი შენს ხელობას! გადი აქედან!

(ემილია გადის)

დეზდემონა: მუხლმოდრეკილი გევედრები, სწორედ ამიხსნა,  
რას ნიშნავს შენი ლაპარაკი; მე შენს სიტყვებში  
ვარჩევ მხოლოდ-და მრისხანებას, სიტყვებს კი ვეღარ.

ოტელო: ერთი ეს მითხარ, შენ ვინა ხარ?

დეზდემონა: შენი ცოლი ვარ, ბატონო ჩემო,  
ერთგული და მორჩილი ცოლი.

ოტელო: მაშ შემომფიცე, განისაჯე თვითონვე თავი,  
თორემ რაკი რომ განიცდიან შენს ციურ სახეს,  
თვითონ ეშმაკნიც შედრეკებიან ხელი შეგახონ.  
იცრუე-მეთქი, შემომფიცე, იცრუე კვალად,  
პატიოსანი იყო ვითომ.

დეზდემონა: თვით ზეცამ უწყის...

ოტელო: თვით ზეცამ უწყის, რომ მუხთალი ხარ ჯოჯოხეთებრ!

დეზდემონა: როგორ, მუხთალი! ვისდამი, ან ვისთან, ბატონო?

ოტელო: ოჰ, დეზდემონა, გა აქედან! გადი, მომშორდი!

დეზდემონა: ვაი, ამ დღის მომსწრეს! რათა სტირი, ბატონო ჩემო?  
იქნება მე ვარ მიზეზი მაგ ცრემლთა ფრქვევისა?  
ან თუ მამაჩემს აბრალებ შენს უკან-მიხმობას,  
მე ნუ გამხდი მაგ შეცოდების მონაწილეთა.

შენ თუ დაჰკარგე იგი, მეც ხომ დაკარგული მყავს.

ოტელო: ოჰ, ნეტა ზეცას მოევლინა ჩემდა საცდელად  
და ჩემ შიშველ თავს წვიმასავით ზედ დასდენოდა  
სხვადასხვაგვარი მწუხარება, შერცხვენა მწარე;



თუნდა ყელამდე ჩავფლულიყავ სიღარიბეში  
 და შევებოჭეთ ჯაჭვით მეც და ჩემნი იმედნიც, -  
 მაინც კი სადმე ჩემის სულის სიღრმეში ერთ წვეთს  
 მოთმინებისას ვიპოვიდი; მაგრამ თუ გავხდი  
 მე უძრავ ნიშნად, რომლისკენაც დრო-ჟამი ზიზღით  
 ისარს მიიშვერს წყნარად მავალს... არა ამასაც  
 ხომ ავიტანდი, ავიტანდი, დიად, ოღონდაც...  
 და იმ ადგილს კი, სად ეს გული დამყარებულა,  
 რომლითაც ვცოცხლობ და ურომლოდ სიკვდილი მელის,  
 იმა სათავეს, საიდანაც გადმომჩქეფარებს  
 სიცოცხლე ჩემი და დაშრტება მყისვე უმისოდ,  
 ოჰ, თუ იმ ადგილს განმაშორეს, ანუ გარდაქმნეს  
 ჭაობად, რაშიც პეპლაობენ და კვერცხებს დებენ  
 მყრალნი ჯოჯონი, მაშინ კია შენ, მოთმინებავ,  
 ნორჩ-ქერუბინო, ვარდის-ფერად აყვავებულო,  
 გამოიცვალე ეგე სახე და შეიმოსე  
 ჯოჯოხეთისა მრისხანებით!

დებდემონა: არ ვკარგავ იმედს, რომ მე უმანკოდ მიგაჩნივარ.

ოტელი: დიად, უმანკოდ, როგორც ზაფხულის ბუზნი სადმე საყას-  
 ბოებში, რანიც მურტალის თესლ დადებით იქ მრავლდებიან.

- ოჰ, შენ ყვავილო მშვენიერო, სუნნელოვანო!

გრძნობა მეშლება, როს მაგ სუნსა ვყნოსავ, ვკემოვნებ. -

ნეტავი შენ კი ამა ქვეყნად არ შობილიყავ!

დებდემონა: ვაიმე ბედკრულს! რა ცოდვა ვქმენ ჩემდა ფარულად?

ოტელი: ოჰ, ეს ეტრატი მშვენიერი, ეს უცხო წიგნი

განა იმისთვის გაჩენილა, რომ ზედ ეწეროს:

«უნამუსოო!» რა ცოდვა ჰქმენ? ცოდვა ვქმენიო!

შენ, მთელის ქვეყნის სათრეველა! მე რომ მოვთვალო

შენნი საქმენი, საბერველად უნდა გარდავქმნა

ეს ჩემნი ღაწვნი და მორცხვობა ნაცრად ვაქციო.

რა ცოდვა ჰქმენი? შენის ცოდვის გახსენებაზედ,

ზეცა ხელს იჭერს ნესტოებზედ, მთვარე შუბლს იკრავს

და ის ქარიც კი, რაიც ურცხვად ჰკოცნის ყველაფერს

გზად შენახვედრსა, მაგ ამბავს რომ არ მოჰკრას ყური,

დედამიწისა მღვიმეებში მიიმალება.

ცოდვა ვქმენიო! ოჰ, როსკიპო ნამუს-ახდილო!

დებდემონა: ტყუილად მირცხვენ სახელს, ღმერთი მოწამე არის.

ოო: ნამუს-ახდილი არა ხარ შენ?





**დეზდემონა:** არა, მერწმუნე.

ამას მე მართალს ვამბობ, როგორც ქრისტეს მოსავი.  
თუკი შენ იმას არ უწოდებ ნამუსის-ახდას,  
რომ ჩემ მეუფეს თავს ვუნახავ ისე, რომ ხელი  
უცხო, უკადრი ვერ ეხება, მაშინ არ მეთქმის ნამუსის ახდა.

**ოტელო:** მაშ გარყვნილი არა ხარ შენა?

**დეზდემონა:** სამოთხის კარი დამეხშოს მე, თუკი ეგ ვიყო.

**ოტელო:** ეგ შესაძლოა?

**დეზდემონა:** მოგვიტევე, ჰოი, ზეცაო!

**ოტელო:** გთხოვ, მაპატიო: მე მეგონე შენ ის ცბიერი  
და უნამუსო დედაკაცი ვენეციიდან,  
აი, ოტელომ რომ შეირთო!

*(ემილია ისევ შემოდის)*

შენ, ქალბატონო, წმიდა პეტრეს რომ უსარჩულებ და ხელთ  
გიპყრია ჯოჯობეთისა გასაღები, - ეი, ხომ გესმის!  
ჩვენ გავათავეთ ჩვენი საქმე. აჰა, ეს ფული  
შენს გასამრჯელოდ. გასაღები გადასწი, აბა,  
და საიდუმლო შეგვინახე. *(გადის)*

**ემილია:** ნეტა ვიცოდე, რა მოუვიდა დღეს სარდალსა? როგორ  
ბრძანდებით, ჩემო კეთილო ქალბატონო? შემატყობინეთ.

**დეზდემონა:** მგონია, თითქო ბურანში ვარ.

**ემილია:** დღეს, ქალბატონო, რა დაემართა ჩვენს ბატონსა?

**დეზდემონა:** ვისა?

**ემილია:** ჩვენს ბატონს.

**დეზდემონა:** თქვენი ბატონი რომელია?

**ემილია:** იგი, ვინც არის თქვენი ბატონიც,  
ქალბატონო, თქვენი მეუღლეც.

**დეზდემონა:** მე დღეს მეუღლე როდი-და მყავს. ოჰ, ემილია,  
ნულარას მეტყვი: ტირილისთვის ძალა აღარ მაქვს  
და მაინც პასუხს ვერას მოგცემ ცრემლ-დაუდენლად.  
გთხოვ, რომ ამალამ ტანსაცმელი ქორწილის დამის  
ჩემს ქვეშაგებზედ დამილაგო... არ დაგავიწყდეს...  
მერე შენს ქმარს აქ დაუძახე.

**ემილია:** რა უცნაური ცვლილება მოხდა. *(გადის)*

**დეზდემონა:** ახი არის ჩემზედ, ახია!

კარგია, ასე მეპყრობიან. რისთვის მოვიქეც  
ისე, რომ გულში გაეტარა თვით მცირე ეჭვი



და ჩემზედ ასეთ დიდის ცოდვის ბრალი დაედო.

(შემოდინ ემილია და იაგო)

იაგო: რას მიბრძანებდით, ქალბატონო, ხომ არაფერი არ გეჭირვებათ?

დეზდემონა: არ ვიცი, რა პასუხი მოგცე.

ვინც კი ასწავლის და ზრდის ბავშვებს, ასწავლის ტკბილად და დიდ სასჯელსაც არ აყენებს... მასაც შეეძლო, მეც მცირეოდნად დავეტუქსე, რადგან ვით ბავშვსა მარტო დატუქსვა მომიხდება.

იაგო: მიბრძანეთ სწორედ, რა საქმე მოხდა?

ემილია: ოჰ, იაგო, სარდალმა მაგას

უნამუსობა დასწამა და ისეთის ურცხვის, უშვერის სიტყვით გამოლანძღა, რომ იმგვარ ლანძღვას ალალი გული ვერ აიტანს!

დეზდემონა: აბა, იაგო, ღირსი ვარ მე მაგ სახელისა?

იაგო: რა სახელს ბრძანებთ, ბატონო ჩემო?

დეზდემონა: აი, მაგან რომ სთქვა წელანა, ეს დასწამაო.

ემილია: უნამუსოდ მოიხსენია.

გლახა-მთხოვარიც ღვინო-სმული თავის საყვარელს არ ახსენებდა ისე ცუდად, უმართებულოდ.

იაგო: მერე რად, რისთვის?

დეზდემონა: მე არ ვიცი; ვიცი ეს მხოლოდ, რომ ეგ სახელი არ მეკუთვნის.

იაგო: გთხოვთ, ნუ იტირებთ, ნუ სტირით-მეთქი. ვაი ამ დღეს!

ემილია: განა ამისთვის უარი უთხრა იმდენ საქმროს კეთილშობილსა, უარჰყო მამა, თვის სამშობლო და მეგობარნი, რომ უნამუსო დაეძახნათ! ვის არ ატირებს ამგვარი საქმე?

დეზდემონა: ჩემ ბედკრულ სვეს ვაბრალებ ყველას.

იაგო: ღმერთმა დასაჯოს ამ ამბისთვის. ნეტა ვიცოდე, რა მოეჩვენა.

დეზდემონა: ღმერთმა უწყის.

ემილია: მე ჩემ თავს დავდებ, თუ ვისმე წუწკსა, მაწანწალას, სხვების ფეხთა-მლოკს, ყურმოჭრილ მონას, ქვეშქვეშასა და გაიძვერას არ დაეყაროს ეგ ცრუ ხმები განგებ იმისთვის, რომ თვის ლაქუცით შეიძინოს ხარისხი რამე.

იაგო: უჰ, რაებს ამბობ! სად იქნება მაგგვარი კაცი?

დეზდემონა: თუ სადმე არის, შეცოდება შეუნდოს ზეცამ.

ემილია: დეე, შეუნდოს საღრჩობელამ და ჯოჯოხეთმა



დაურღნას ძვალნი. უნამუსო რისთვის უწოდა?  
 ამასთან, აბა, ვინ უნახავს? სად, როდის, როგორ?  
 ან უნამუსოს რა მიუგავს? მავრს უეჭველად  
 ატყუებს ვინმე საზიზღარი, ურცხვი არსება,  
 სიაკაცითა გათხუპნილი. ჰოი, ზეცაო,  
 ახადე ფარდა ამ ავაზაკთ და მათ სასჯელად  
 მიეც მართალ კაცთ სათითაოდ ხელში მათრახი,  
 რომ დააშიშვლონ იგი ბილწნი არამზადანი,  
 აღმოსავლეთით დაირეკონ დასავლეთამდე  
 და ტყავი აძრონ გაცხარებულ მათრახის ცემით.

იაგო: ცუდს არ იზამ, რომ ცოტა დაბლა ილაპარაკო.

ემილია: წყეულიმც იყოს იგი-მეთქი. სწორედ მაგგვარი  
 სალახანავე იქნებოდა, შენ რომ გონება  
 გადმოგიბრუნა და ეჭვები მოგატაინა  
 ჩემზედ და მავრზედ.

იაგო: წადი, კარგი, ხომ არ გაგიჟდი.

დებდემონა: მითხარ, იაგო, აბა, როგორ უნდა მოვიქცე,  
 რომ კვალად ჩემის მეუფისა გული მოვიგო?

ჩემო კეთილო მეგობარო, წადი იმასთან...

ზეცის სხივს ვფიცავ, არ მესმის მე, როგორ დაკარგე  
 მის სიყვარული. მუხლმოდრეკით სასტიკ ფიცსა ვდებ,  
 რომ თუ მისდამი ღალატი მე გულს გამეტაროს  
 სიტყვით, აზრით, თუ საქმით რითმე, ან თუ ჩემ თვალებს,

ჩემ ყურებს, ანუ სხვა რამ გრძნობას მოსწონებოდეს

ღვთის გაჩენილი მისგან კიდე, ან თუ მე იგი  
 არ მყვარებოდეს, საუკუნოდ ან არ მიყვარდეს,

თუნდაც განმდევნოს, სულიერად დამაგლახაკოს,  
 ღირსი ვიქნები მომესპოს მე სრულად ნუგეში.

ბევრი რამ ძალუძს მრისხანებას და მის რისხვასაც

ძალუძს სიცოცხლე აღმომიფხვრას, თუმც ჩემ სიყვარულს  
 ფერსაც ვერ უცვლის. «უნამუსო!» თქმას ვერც კი ვბედავ.

ზიზღით წარმოვთქვი მე ეს სიტყვა და ამ სახელის

შესაფერ საქმეს ჩემ დღეში ვერ მოვიქმედებდი,

თუნდაც სიკეთე მოენიჭათ მთელის ქვეყნისა.

იაგო: ნუ აშფოთდებით: წუთიერი წყრომაა ეგე;

გულმოსულია სახელმწიფო საქმეთა გამო

და თქვენზედ ჰყრილობს იგი ამ ჯავრს.

დებდემონა: ნეტა მიზეზი მარტო ეგ იყოს.



იაგო: გარწმუნებთ, რომ მარტო ეგ არის.

(*მოისმის საყვირის ხმა*)

გესმით, საყვირის ხმა ხალხს იწვევს ვახშმის საჭმელად. ელჩნი, მოსულნი ვენეციით, თქვენ მიგელიან. წადით, ნუ სტირით. ყველა კარგად დაბოლოვდება.

(*გადიან დეზდემონა და ემილია. შემოდის როდერიგო*)

რას იტყვი, როდერიგო?

როდერიგო: იმას ვიტყვი, რომ მგონია, შენ პატიოსნურად ვერ შექცევი.

იაგო: უპატიოსნობას რაში მატყობ?

როდერიგო: ყოველდღე რაღაებსაც იმიზებებ და თავიდან მიშორებ. მე ისე ვხედავ, იაგო, რომ შენ უფრო იმედებს მიხშობ, ვიდრე გზას მიჩვენებ, ჩემი საწადლის მისაღწევად. მეტს ვეღარ მოვითმენ; არ ვიცი, ისიც კი მოსათმენია, რასაც აქამდის შენგან ისე სულელურად ვიტანდი?!

იაგო: გამიგონე, როდერიგო.

როდერიგო: მე შენგან ბევრი გამიგონია, მაგრამ შენი სიტყვები და შენი საქმე ერთმანეთს როგორღაც ვერ უდგება.

იაგო: აბა, უსამართლოდ არა მდებ მაგ ბრალსა?

როდერიგო: რასაც ვამბობ, მართაღს ვამბობ. მთელი ჩემი ქონება შემომეხარჯა; რაც ნივთეულობა შენ მე დეზდემონასთვის გამომართვი, წმიდა ქალწულსაც კი შეაცდენდა და შენ მეუბნები, დეზდემონამ ყველა მიიღო და ასე შემოგიტვალა, - ნუ გუშინიან, მელოდე, მალე სურვილი შეგისრულდებაო, - და აი, ჩემ ლოდინს ბოლო აღარ უჩანს.

იაგო: ძალიან კარგი, მერე? თქვი.

როდერიგო: ძალიან კარგი! თქვი! აღარც არაფერს ვიტყვი და ძალიან კარგსაც ვერასა ვხედავ. აქ უფრო ცუდი ამბებია და მეც ჩათრეული ვარ ამ ცუდ ამბებში.

იაგო: ძალიან კარგი.

როდერიგო: გეუბნები, აქ კარგი არა არის-რა მეთქი. წავალ, დეზდემონას ჩემ თავს გავაცნობ; თუ ჩემი ნივთები დამიბრუნა, დავანებებ თავს ჩემ ცდასა და შევინანებ ამ უკანონო მოწადინებას; და თუ არა, მერწმუნე, შენგან მოვითხოვ დაკმაყოფილებას.

იაგო: დაასრულე შენი სათქმელი?

როდერიგო: აი, დავასრულე და ისეთი შარა მითქვამს-რა, რასაც





საქმე ზედ არ მივაღვენო.

**იაგო:** ახლა კი ვხედავ, რომ მტკიცე ხასიათისა ყოფილხარ. ამას იქით მე შენზედ უკეთესის აზრისა ვიქნები, ვიდრე აქამდის ვიყავ. მომეც შენი ხელი, როდერიგო. შენ, მართალია, ეჭვი სამართლიანად შემოიტანე ჩემში, მაგრამ გეფიცები, შენს საქმეში სრულიად პატიოსნურად ვიქცევი.

**როდერიგო:** რაში გეტყობა!

**იაგო:** მე თანახმა ვარ, რომ ჯერ არ დამტყობია და შენი ეჭვი გონივრულ საფუძველზეა დამყარებული; მაგრამ, როდერიგო, თუკი იგი გაქვს, რაც ახლა უფრო მჯერა, რომ გაქვს, ვიდრე კვლავ როდისმე მგონებია, - მე ვამბობ, გამბედაობა, სიმამაცე და ვაჟკაცობა, - ეს ყველაფერი ამაღამ გამოიჩინე. ხვალღამ დეზდემონა თუ შენი არ იყოს, მაშინ ნუ დამზოგავ და თუნდა ღალატით გამისტუმრე საიქიოს, თუნდა სხვა ხრიკები მოიგონე ჩემ დასაღუპად.

**როდერიგო:** აბა, მითხარ, რა ამბავია? ან მოსახერხებელია, თუ არა?

**იაგო:** ვენეციიდან განსაკუთრებული ბრძანება მოვიდა, რომ ოტელლოს ალაგზედ კასიო დაინიშნოს.

**როდერიგო:** მართლა? მაშ ოტელო და დეზდემონა ისევ ვენეციაში დაბრუნდებიან.

**იაგო:** არა, ოტელო მავრისტანში მიდის და მშვენიერი დეზდემონაც თან მიჰყავს, თუ რაიმე შემთხვევამ არ გააჩერა, - და ვერაფერი ვერა გააჩერებს-რა ისე ბეჯითად, როგორც კასიოს თავიდან მოშორება.

**როდერიგო:** როგორ თუ თავიდან მოშორება?

**იაგო:** ისე უნდა გახადოს კაცმა, რომ ოტელოს ადგილის დაჭერა ველარ შეიძლოს, - თავი შუაზედ გაუჩიხოს.

**როდერიგო:** მერე გინდა, რომ ეგ საქმე მე ვიკისრო?

**იაგო:** სწორედ, თუ შენი თავის სარგებლობა გინდა და გსურს, ჯავრიც ამოიყარო. ამაღამ ის ვახშმად ერთ უნამუსო დედაკაცთან არის და მეც იმასთან მივდივარ. ჯერ კასიომ არა იცის-რა, თუ რა თვალსაჩინო ადგილს აძლევენ. მე მოვახერხებ, რომ იქიდან თორმეტსა და პირველ საათს შუა წამოვიდეს; შენ გზაზედ უდარაჯე და, როგორც მოგესურვებოდეს, ისე მოექეც. მეც იქ ვიქნები, მოგეშველები და ჩვენ ერთავეს გაგვცეს პასუხი. რას გაშტერებულხარ! წამო, წამომყევ და მე შენ ისე აშკარად დაგიმტკიცებ იმის მოკვლის აუცილებლობას, რომ საჭიროდ დაინახავ, ეს შენ თვითონ იღო თავსა.



კმარა, კარგა ხანია, რაც ვახშმის დრო დადგა, ღამეც იზრდება და ილევა. აბა, საქმეს შევუდგეთ.

როდერიგო: მე მინდა, მიზეზი უფრო გულ-დადებით შემატყობინო.

იაგო: შეგისრულებ მაგ სურვილს.

(გადიან)

### სურათი III

მეორე ოთახი ციხე-დარბაზში

(შემოდიან ოტელი, ლოდოვიკო, დეზდემონა,

ემილია და მხლებელნი)

ლოდოვიკო: გთხოვთ, ბატონო ჩემო, ნულარ გაირჯებით.

ოტელი: არა მიჭირს-რა. გავლა უფრო მომიხდება.

ლოდოვიკო: ღამე მშვიდობისა, დეზდემონა. დიდადა გმადლობ.

დეზდემონა: მოხარული ვარ, რომ აქა გხედავ.

ოტელი: აბა, წამობრძანდით. - ოჰ, დეზდემონა!..

დეზდემონა: რას მიბრძანებ?

ოტელი: ახლავე წადი დასაძინებლად. მეც მალე მოვალ. შენი მხლებელი დაითხოვე. გესმის?

დეზდემონა: ბატონი ბრძანდები.

(გადიან ოტელი, ლოდოვიკო და მხლებელნი)

ემილია: ახლა როგორ ატყობთ? თითქო უფრო მოტკბა.

დეზდემონა: მიბრძანა, წადი ახლავო დასაძინებლად და მეც მოვალო. ისიც მთხოვა, შენ დაგითხოვო.

ემილია: მე დამითხოვოთ?

დეზდემონა: რა ვქნა, თუკი აგრე მიბრძანა.


უნდა ვუფრთხილდეთ აწ მის წყენას. მაშ, ემილია,

მომეცი ჩემი საღამური ტანისამოსი და წადი შენსას.

ემილია: ოჰ, ნეტავი თქვენს სიცოცხლეში ეგ არ გენახათ.

დეზდემონა: მე არა ვარ მაგის თანახმა: ეგ გახდა ჩემის ტრფობის საგნად და თვით მაგისი გულმოსულობა, წარბის-შეკვრა, კრულვა და ტუქსვა, - აქ გამიხსენი, - საამოა და გულ-მიმტაცი.





ემილია: ტანისამოსი რომ მიბრძანეთ, თქვენს ქვეშაგებზედ დავაწყე  
კიდევ.

დეზდემონა: მესმის, კარგი. ოჰ, ღმერთო ჩემო, რა უმეცარი გონება  
გვაქვს! - გთხოვ, თუ რომ შენზედ უწინ მოვკვდები, ეს სამოსი  
ჩამაცვა მკვდარსა.

ემილია: მაგას რას ბრძანებთ, ქალბატონო, რა სათქმელია.

დეზდემონა: დედაჩემს ჰყავდა ერთი გოგო. სახელად იმას  
ერქვა ბარბარე. საყვარელი ჰყოლოდა თურმე  
და დაენება უცბად თავი იმ საყვარელსა.  
ერთ ძველ სიმღერას ნერგის ხეზედ მღეროდა ხოლმე  
ის უბედური და თუმც ძველი იყო ხმა იგი,  
იმის ბედ-იღბალს შეჰფეროდა. იმ სიმღერის თქმით  
დალია სული. მეც ამაღამ იგივე სიმღერა  
არა მშორდება გონებიდან. მინდა, რომ გვერდზედ  
გადავიხარო თავი ბედკრულ ბარბარესავით  
და მოვყვე მღერას. - ემილია, გთხოვ, დააჩქარო.

ემილია: ხომ არ მოგართვათ საღამური ტანისამოსი?

დეზდემონა: არა, ჯერ არა, - აქ გამიხსენ, - ეს ლოდოვიკო რა  
ჩინებული კაცი არის.

ემილია: სახითაც იგი მშვენიერია.

დეზდემონა: კარგი იცის სიტყვა-პასუხიც.

ემილია: მე ერთ ქალს ვიცნობდი ვენეციაში; ის ფეხშიშველი წავიდო-  
და იერუსალიმში, ოღონდ მაგის ტუჩებს შეჰხებოდა.

დეზდემონა (მღერის): «ლეღვის ხესთან ზის საბრალო,

კენესის და ოხრავს,

უმღერეთ ნერგს, მწვანე ნერგსა!

ხელი გულზედ დაუდვია, დაბლა იხრის თავს,

უმღერეთ ნერგს, ნერგსა, ნერგსა!

წყარო გვერდით მოჩუხჩუხებს, იმის დარდს ამბობს,

უმღერეთ ნერგს, ნერგსა, ნერგსა!

მლაშე ცრემლი თვალთ ჩამოსდის, თვით ქვასაც ალბობს»,

წაიღე ეს აქედან. (მღერის)

«უმღერეთ ნერგს, ნერგსა, ნერგსა!»

დააჩქარე, დააჩქარე, გეთაყვა, საცაა მოვა. (მღერის)

«უმღერეთ ნერგს, გვირგვინს ვიდგამ მის ფოთლებისას,



თქვენ ნუ ჰკიცხავთ, მე თავს ვიღებ ჯავრს მის გულისას».

არა, ეს ამას არ მოსდევს. - გესმის? კარებს ვიღაცა არახუნებს.

ემილია: ქარი არის.

დებდემონა (მღერის): «ჩემ საყვარელს ცრუ ვუწოდე, და იმან მალე უმღერეთ ნერგს, ნერგსა, ნერგსა!

მითხრა, ქალებს თუ ვეტრფი, შენც კაცთ ეტრფიალე».

ახლა კი ღამე მშვიდობისა. დროა, წახვიდე.

თვალი როგორღაც მითამაშებს, მგონი, ცრემლს ნიშნავს.

ემილია: ეგ სრულიადაც არას ნიშნავს.

დებდემონა: რა ვიცი, აგრე გამიგონია. - მამაკაცი რანი ყოფილან! -

ერთი ეს მითხარ, ემილია, სინიდის ქვეშა, -

ნუთუ გსმენია, რომ თავის ქმრებს აგრე საზიზღრად

დედაკაცები ატყუებდნენ?

ემილია: ბევრნი არიან მაგისტანანი, თქმა არ უნდა.

დებდემონა: მთელი ქვეყანა რომ მოენიჭათ შენთვის, მითხარ,

იქმოდი მაგას?

ემილია: თქვენა?

დებდემონა: მე, არა, თუნდ ვიმოწმებ ზეციურ სხივსა!

ემილია: ზეციურის სხივის მოწმობით არც მე ვიქმოდი; მე უფრო

ბნელ ადგილს ავარჩევდი მაგისტვის.

დებდემონა: მაშ იქმოდი შენ, თუნდ მოეცათ მთელი ქვეყანა?

ემილია: ქვეყანა მეტად დიდი არის:

«ჯილდო უხვია მცირე ცოდვისთვის»...

დებდემონა: მე ასე ვგონებ, რომ შენ არასდროს არ იქმოდი მაგის

მსგავსს რასმე.

ემილია: მე კი მგონია, ვიქმოდი და მასუკან საქმეს ისევ გამოვაკეთებ-

დი. რასაკვირველია, ბეჭდების ძეწკვი მაგას ვერ მაქმნევინებდა,

ვერც რამდენიმე თოფი ტილო, ან კიდევ ტანისამოსი, საცვლები,

თავზე-მოსახვევი, ან სხვა რამ ზიზილ-პიპილები. მაგრამ მთელის

ქვეყნის გულისთვის კი... აბა, ვინ არ დაასხავს თავის ქმარს

რქებს, თუკი მასუკან ამ რქებზედ სამეფო გვირგვინს ჩამოაც-

ვამს! მე განსაწმენდელსაც არ მოვერიდებოდი, ამას რომ

დამპირებოდნენ.

დებდემონა: წყეულიმც ვიყო, ეგ შეცდომა თუ მოვიქმედო,

თუნდა მის ბადლად მომანიჭონ მთელი ქვეყანა.

ემილია: შეცდომა ხომ ქვეყნის იქით ვერსად წავა და თუ მის ბადლად

ქვეყანა მოგეცემათ, თქვენი შეცდომა თქვენსავე ქვეყანაში





მოექცევა. მაშინ შეგიძლიანთ ის შეცდომა თქვენვე გაასწო-  
როთ.

**დებდემონა:** კიდეც არ მჯერა, იყოს სადმე ეგეთი ქალი.  
**ემილია:** ბევრნი არიან, დამერწმუნეთ. თითქმისა კმარან.  
იმავე ქვეყნის ასავსებად, რასაც თქვენ იმათ  
საბადლოდ აძლევთ; მაგრამ ვგონებ, თუ ცოლნი სცოდვენ,  
ეს უფრო ბრალი უნდა იყოს თვითონ ქმრებისა;  
იგინი მტკიცედ თავიანთ ვალს არ ასრულებენ  
და სხვას აძლევენ იმ საუნჯეს, რაც ჩვენ გვეკუთვნის;  
ან უცნაურის, ცუდ ეჭვებით გაბრაზებულნი  
ბორკილს გვიყრიან; ხანა გვცემენ და ხან ჩვენს ჯიბრზედ  
ჩვეულებრივს კერძს გვიმცირებენ; ჩვენც ნაღველა გვაქვს  
და თუმც მშვიდნი ვართ, ჩვენც კი ვიცით ჯავრის ამოყრა.  
იცოდნენ ქმრებმა, რომ მათ ცოლებს გრძნობიერება  
აქვთ მათი მსგავსი, რომ მათსავით ჰხედვენ და ყნოსვენ,  
და სასაცა აქვთ გასარჩევლად მწარის და ტკბილის.  
როცა ჩვენ სხვაზედ გვცვლიან ხოლმე, რისთვის სჩადიან?  
შექცევა უნდათ? მჯერა მე ეგ. თან ვნებათ-ღელვა  
უმღვრევს წადილსა? ესეც კიდეც შესაძლო არის.  
იქნება აცდენს მათ სისუსტეც, - ეგეცა მჯერა.  
ახლა მიბრძანეთ, შექცევა ჩვენ კი აღარ ვიცით?  
სუსტნი არა ვართ? ვნება ჩვენ კი ვერ გაგვიტაცებს?  
სჯობს მაშ, რომ კარგად გვეპყრობოდნენ, თორემ იცოდნენ,  
ცუდს თუ ჩავდივართ, მათივ ცუდი საქმე გვაქეზებს,

**დებდემონა:** კარგია, ღამე მშვიდობისა. შემადლებინოს  
ნეტავი ღმერთმა, რომ ცუდი კარგს გზას დავაყენო  
და არა ცუდი მაგალითი წინ წავიმძღვარო.

(გადიან)



## მოქმედება მეხუთე







## სურათი I

კიპროსი. ქუჩა

*(შემოდინ იაგო და როდერიგო)*

**იაგო:** მოდი, აქ დადევ, ამ ბოძს უკან, - ახლავე მოვა;  
შენი ერთგული ხმალიც შიშვლად გეჭიროს ხელში  
და ეცადე, რომ მედგრად დაჰკრა, არ ააცდინო.  
ნურაფერს შიშობ; მეც აქავე ახლოს ვიდგები.  
გახსოვდეს, ჩვენ ეს ან დაგვლუპავს, ან გაგვაკეთებს.  
მტკიცედ ადევ მას, რაც გულში გაქვს გადაწყვეტილი.

**როდერიგო:** ვაი თუ ხელი შემეშალოს, აქ იდევ შენცა.

**იაგო:** აქა ვარ-მეთქი. აბა, მარჯვედ! დადევ შენს ადგილს.

*(ცოტა შორს გადგება)*

**როდერიგო:** გული როგორღაც არ მიმიწევს ამ საქმისადმი,  
თუმც კი იაგო საბუთს მაძლევს ასე მოვიქცე.  
რა ვუყოთ, ერთი კაცი მოკვდეს! მაშ გასჭერ, ხმალო,  
და მოჰკალ იგი!

*(თავის ადგილს დადგება)*

**იაგო:** ამის წყლული იმდენი ვხეხე,  
რომ ძლივს ტკივილი ვაგრძნობინე და აგერ ცხარობს.  
ახლა თუნდ ამან მოჰკლას იგი, ანუ კასიოს  
ეს შემოაკვდეს, ან დაჰხოცონ მათ ერთმანეთი, -  
მაინც და მაინც მოგებაში მევე ვიქნები:  
თუ როდერიგო გადარჩება, იგი მომთხოვს მე  
ყველა ძვირფასს თვლებს და ოქრო-ვერცხლს, რომელიც იმას  
დებდემონასთვის გამოვტყუე ვითომ საჩუქრად; -  
ეს არ იქნება არას გზითა. და თუ კასიოს  
წილ-ჰხვდა სიცოცხლე, - ოჰ, ის თავის სპეტაკ ცხოვრებით  
დღითი დღე უფრო ჩრდილს მაყენებს, უწმინდურად მხდის.  
შესაძლო არის, ამას გარდა, მავრმა მას უთხრას  
ჩემგან ნათქვამი ყოველივე და მაშინ დიდი  
შიში მომელის. არა, უნდა უთუოდ მოკვდეს, -  
მოკვდება კიდევც! აგერ იმის ფეხის ხმა მესმის.

*(შემოდის კასიო)*

**როდერიგო:** ის არის, ვატყობ სიარულზედ. - ოჰ, არამზადა,



აჰა, ჩაძაღღდი!

*(გამოხტება თავის ადგილიდან და ხმაღს დაჰკრავს კასიოს)*

კასიო: მომიღნობდა მართლაც ეგ ხმაღი,  
თუ ჩემი ჯაჭვი, შენ რომ ჰფიქრობ, იმგვარი იყოს.  
აბა, ახლა ვცდი მაგ შენ ჯაჭვსა!

*(ხმაღს ამოიღებს და დასჭრის როდერიგოს)*

როდერიგო: ვაიმე მოვკვდი!

*(იაგო გამოხტება თავის ადგილიდან, კასიოს უკანიდან ფეხში დასჭრის და გაიქცევა)*

კასიო: დამასახიჩრეს სამუდამოდ! - მოგვხედეთ ვინმე!  
მოგვეშველენით, ხალხსა ხოცვენ!

*(დაეცემა. შორიდან გამოჩნდება ოტელი)*

ოტელი: კასიოს ხმაა. იაგომ სიტყვა არ გასტეხა.

როდერიგო: ურჯულო ვარ მე!

ოტელი: ისეა, ისე.

კასიო: მოგვეშველეთ! სანათი, ჩქარა! ჩქარა ექიმი!

ოტელი: ჰო, ის არის. - ჩემო გულადო,

კარგო იაგო, ერთგულო და სამართლიანო,  
კეთილშობილის გულით იგრძენ შენის მეგობრის  
შეურაცხება და შენვე მწვრთნი, როგორ მოვიქცე. -  
ჩემო ლამაზო, საყვარელი შენი მკვდარია  
და შენი წერაც დაწყევლილი გიახლოვდება.  
აი, მოვდივარ, უნამუსო. მე ამ გულიდან  
ამოვშლი შენსა მშვენიერებას, თვალთ-ელვარებას  
და შენს ბილწ საწოლს შენის ბილწის სისხლით შევღებავ.

*(გადის. შორიდან გამოჩნდებიან ლოდოვიკო და გრაციანო)*

კასიო: არაუინა ხართ, ან დარაჯი, ან გზად-გამვლელი?  
მოგვეკლეს, დაგვხოცეს!

გრაციანო: რაღაც ცუდი ამბავი არის, -  
ყვირილი მეტად დიდი ისმის.

კასიო: გვიშველეთ, ჩქარა!

ლოდოვიკო: აი, მოიცა!

როდერიგო: ოჰ, ბოროტო სულთა-მხუთავო!

ლოდოვიკო: ორი, თუ სამი კაცი კვნესის... მეტათა ბნელა;  
იქნება, განგებ სჩადიოდნენ, მახეს გვიგებდნენ.





ფრთხილად რომ ვიყოთ, ვგონებ, სჯობდეს; ვიდრე არ მოვლენ  
სხვებიც საშველად, ჩვენ ახლო ნუ მივეკარებით.

როდერიგო: არავინ მოხვალთ? დავიცალე სრულად სისხლიდან!

ლოდოვიკო: ყური დაუგდე.

გრაციანო: ვილაც მოდის, აი, პერანგა,

მაშხალა მოაქვს, საჭურველიც უჭირავს ხელში.

*(იაგო ისევ შემოდის მაშხალით ხელში)*

იაგო: ვინა ხართ აქა? ვინ იძახის, ხალხსა ჰხოცვენო?

ლოდოვიკო: არა ვიცით-რა.

იაგო: არ გესმოდათ, აქ რომ ჰყვიროდნენ?

კასიო: აქ მოდით, აქა, ღვთის გულისთვის მომეშველენით!

იაგო: რა ამბავია?

გრაციანო: ვგონებ, სარდლის ასისტავია.

ლოდოვიკო: იგია სწორედ, კაცი მხნე და ფრიად გულადი.

იაგო: ეი, ვინა ხართ, რომ გაჰკივით აგრე საშინლად?

კასიო: იაგო, შენა? ოჰ, გამცარცვეს, მომკლეს ავაზაკთ!

მიშველე რამე.

იაგო: ოჰ, კასიო, თქვენა ყოფილხართ!

ვინ ჰქნა ეგ საქმე, იმ ურჯულომ?

კასიო: ერთი მათგანი, ვგონებ, აქა წევს და აქედან ვეღარსად  
წავა.

იაგო: ოჰ, ურჯულონი, ავაზაკნი! -

*(ლოდოვიკოს და გრაციანოს)*

მანდ ვინა დგახართ?

მოგვეშველენით, მოდით აქეთ.

როდერიგო: ვაი, მიშველეთ!

კასიო: აი, ის არის, წედან რომ ვთქვი.

იაგო: ოჰ, საზიზღარო, მურტალო მონავ, კაცის-მკვლელი!

*(ხმაღს ჩასცემს როდერიგოს)*

როდერიგო: ოჰ, შე ურჯულო,

ძალლო იაგო, ღვთის პირისგან შეჩვენებულო!

იაგო: ბნელა ღამეში კაცებს ხოცვენ! - სხვა კაცის-მკვლელი

სადლა არიან? ამ ქალაქში რა სიჩუმეა?

ჰეი, ხალხს ხოცვენ, მოდით ჩქარა! - თქვენ ვილა დგახართ?

ბოროტნი ხართ, თუ კარგნი სულნი?





თური, ჩემის პერანგით ფეხს შევუხვევ.

(შემოდის ბიანკა)

ბიანკა: რა ამბავია, ვინა ჰყვიროდა?

იაგო: ვინ ჰყვიროდა?

ბიანკა: ვაი, კასიო!

ჩემო კასიო, ჩემო ტკბილო, ჩემი ძვირფასო,  
ჩემო კასიო!

იაგო: ოჰ, როსკიპო სახელგანთქმულო! -

კასიო, ეჭვი გაქვთ ვიზედმე? ვინ გაბედავდა  
დასახიჩრებას თქვენსას აგრე!

კასიო: მე არავიზედ.

გრაციანო: მაგ ყოფაში რომ გხედავთ, ვწუხვარ. მე გახლდით  
თქვენთან თქვენს სანახავად.


იაგო: შესაკრავი მომეცით რამე, ეგ კარგი არის. ნეტა ერთი საკაცე  
იყოს, რომ მოსვენებით წავიყვანოთ.

ბიანკა: ვაიმე, გული უწუხს! კასიო, ოჰ, კასიო, ჩემო კასიო!

იაგო: მე ასე ვგონებ, ბატონებო, რომ ამ გომბიოს  
ამ კაცის კვლაში წილი უდევს. - კასიო, ცოტა  
რომ მოითმინოთ... სანათური მომეცით ერთი,  
აბა, იქნება, ესეც ვიცნო. - ვაი, ჩემს თავსა!  
ეს ჩემი კარგი მეგობარი როდერიგოა,  
თვითონ ჩემივე ქვეყნის შვილი... თუ ის არ არის...  
ის არის, ისა... ოჰ, ზეცაო! ვაი, საბრალო!

გრაციანო: ვენეციიდან არის ეგა?





იაგო: სწორედ იქიდან. იცნობდით განა?

გრაციანო: როგორ არა, კარგად ვიცნობდი.

იაგო: თქვენ ბრძანებულხართ, გრაციანო? გთხოვთ, მომიტევეთ. ბრალად ნუ დამდებთ, რომ თავაზით ვერ მოგეპყარი, ამ საშინელმა ამბავმა სულ გზა ამირია.

გრაციანო: მოხარული ვარ, რომ გნახეთ თქვენ.

იაგო: კასიო, ახლა როგორ ბრძანდებით. - მოიტანეთ ჩქარა საკაცე.

გრაციანო: როდერიგო, როდერიგო.

იაგო: დიად! ის არის. (საკაცე შემოაქვთ)

რა კარგ დროს მოაქვთ ეს საკაცე! აბა, აქედან სიფრთხილით გარეთ გაიყვანეთ. მე წავალ, მოვგვრი სარდლის დოსტაქარს. - (ბიანკას) - რად იწუხებ თავს, ქალბატონო! -

იცით, კასიო, ეს კაცი რომ აქ წევს მოკლული, ძვირფას მეგობრად მიმაჩნდა მე. ერთი მითხარით, თქვენ შორის შფოთი რისთვის მოხდა?

კასიო: შფოთი ჩვენ არა მოგვხდენია-რა.

მე მაგ კაცსა არც კი ვიცნობდი.

იაგო (ბიანკას): როგორ გაფითრდი, ქალბატონო!

- აბა, საჩქაროდ გარეთ ჰაერზე გაიყვანეთ.

(კასიოსა და როდერიგოს წაიყვანენ)

თქვენ, ბატონებო, გთხოვთ, შეიცადოთ. - ნაცრის ფერმა რისთვის გადაგკრა? - შეატყეთ, თვალებს აქეთ-იქით როგორ აცეცებს? - ოჰ, ქალბატონო, სახე ისე გაგშტერებია, რომ ბევრს შევიტყობთ კიდევ სხვასაც. - გთხოვთ, ყური უგდოთ; აბა, შეხედეთ, დააკვირდით. ხომ კარგად ჰხედავთ, - უენოდაც კი თვის ბრალს ამხელს დანაშაული.

(შემოდის ემილია)

ემილია: რა ამბავია, რა მოხდა აქ, იაგო, მითხარ.

იაგო: კასიოს თავზედ დასხმია ამ ბნელა ღამეში ამხანაგებით როდერიგო. ამხანაგები

კი გაქცეულან; როდერიგო მკვდარი ძევს აქა და სიკვდილს არის მიწურული თვითონ კასიოც.

ემილია: ვაი, საბრალო! ოჰ, კასიო, კარგო კასიო!



იაგო: აი, ეს იცის გარყვნილებამ. შენ, ემილია,  
 წადი და ჰკითხე კასიოსა, ვახშმად სად იყო  
 იგი ამ ღამეს? - (ბიანკას) ამ კითხვაზე რად აკანკალდი?  
 ბიანკა: ჩემთან ივახშმა, არცა ვმალავ და არც ვკანკალებ.  
 იაგო: შენთან ივახშმა? მაშ წამოძე, სადაც წაგიძღვე.  
 ემილია: ფუი, შენს ნამუსს, უნამუსო!  
 ბიანკა: მე მაგ სახელის ღირსი არა ვარ და ნამუსიც არ მაქვს  
 ნაკლები შენზედ, რომელიც აგრე მკიცხავ უმართებულოდ.  
 ემილია: ჩემზედ ნაკლები! ვაი, სირცხვილო, რა გავიგონე?!  
 იაგო: აბა, წავიდეთ, ბატონებო, ვნახოთ, კასიოს  
 თუ შეუხვიეს დაჭრილობა. - (ბიანკას) შენც წამობრძანდი.  
 უნდა ამბავი სხვა გვიამბო იქ, ქალბატონო. -  
 შენ, ემილია, წადი ჩქარა ციხე-დარბაზში  
 და ყველა უთხარ სარდალსა და იმის მეუღლეს. -  
 გთხოვთ, წინ მიბრძანდეთ. (თავისთვის) ეს ის ღამეა,  
 რამაც მე უნდა ამაშენოს, ან დამაქციოს.

(გადიან)

## სურათი II

საწოლი ოთახი ციხე-დარბაზში  
 (დებდემონა საწოლში წევს და სძინავს.  
 სანთელი ანთია. შემოდის ოტელი)

ოტელი: აი, მიზეზი, სულო ჩემო, აი, მიზეზი!  
 ნუ მათქმევინებთ, თქვენს წინაშე მას, თქვენ უბიწო  
 ზეცის მნათობნო! აი-მეთქი, აი, მიზეზი!  
 მაინც მე იმის სისხლს ვერ დავღვრი, ვერც კი გავკაწრავ  
 მის კანს თოვლზედაც უსპეტაკესს და უსუფთესსა  
 თვით ძეგლისათვის დამზადებულ მარმარილოზედ.

(ხმალს შემოიხსნის)

მაგრამ უნდა კი მოკვდეს იგი, თორემ სხვასაც ხომ  
 ბევრს მოატყუებს. ჯერ გავაქროთ, აბა, სანთელი,  
 მერე გავიქრობ მაგ ნათელსაც. ოჰ, შენ ლამპარო,



ნათლის მომფენო! რომ ჩაგაქრო, მე შემიძლიან,  
 თუ შევინანებ, ეგ სინათლე კვლავ აღვიდგინო;  
 მაგრამ შენ კია, საგანგებო, ტურფა ქმნილება  
 დახელოვნებულ ბუნებისავ, თუ შენ დაგახშე,  
 პრომეთეოსის ცეცხლიც მაგ შუქს ვერ დაგიბრუნებს.  
 ვარდიც ბუჩქიდან რომ მოვგლიჯო, ხომ უნდა დაჭკნეს,  
 მე სიცოცხლის ძალს ვედარ მივცემ... მინდა, ვიგემო  
 იმისი სუნი, ვიდრე კიდევ შტოზედ აბია. (ჰოცნის)  
 ოჰ, ბალზამისა სუნნელება, ძალგის აცდინო,  
 რომ გადასტეხოს თვის ხმალი თვით მართლმსაჯულებამ!  
 ჯერ ერთი კიდევ... კიდევ... კიდევ... თუ ეს იქნები  
 სიკვდილ შემდეგაც, რაც ახლა ხარ, მოგკლავ და ისევ  
 შეგიყვარებ! ოჰ! ერთი კიდევ, უკანასკნელი, -  
 ბედშავი კოცნა ასე ტკბილი არსად ყოფილა!  
 ტირილი მომდის და უწყალო ცრემლები მცვივა;  
 ჩემი ვარამი ზეცისას ჰგავს: მას სჯის, რაც უყვარს.  
 აგერ იღვიძებს...

დებდემონა: მანდ ვინა ხარ? ოტელო, შენა?

ოტელო: მე ვარ, სწორედ მე, დებდემონა!

დებდემონა: რატომ არ მოხვალ და არ დაწვები?

ოტელო: ხომ ილოცე ამაღამისთვის?

დებდემონა: დიად, ბატონო.

ოტელო: მოიგონე, თუ ცოდვა რამ გაქვს

და ზეცისაგან მოტევება არ გითხოვია.

ითხოვე ახლავ, მოგიტევოს.

დებდემონა: ბატონო ჩემო, რად მეუბნები მე მაგასა?

ოტელო: ჩქარა ითხოვე, ნუ აგვიანებ. პატარა ხანს ვივლი მე აქვე;

არ მოგკლავ ისე, ვიდრე შენს სულს არ განიმზადებ,

სულს არ მოგიკლავ, დამიფაროს ღმერთმა მაგისგან!

დებდემონა: რაო, სიკვდილზედ ლაპარაკობ?

ოტელო: დიად, სიკვდილზედ.

დებდემონა: ოჰ, ღმერთო, მიხსენ!

ოტელო: ამინ, ამინ! გისმინოს ზეცამ.

დებდემონა: მაგას თუ ამბობ, იმედი მაქვს, მაშ ადარ მომკლავ.

ოტელო: ჰმ, ჰმ!...

დებდემონა: მაინც კი ვშიშობ შენს წინაშე; შენ როცა თვალებს





აგრე საშინლად აბრიალებ, მესაზარლები.  
ვერ გამიგია, ეს რად მომდის, რადგანაც  
ბრალი მე არავისთან არ მიმიძღვის და  
შიშს რათა ვგრძნობ.

ოტელო: შენი ცოდვები მოიგონე.

დეზდემონა: ჩემი შენდამი სიყვარულია  
ჩემი ცოდვა.

ოტელო: კიდევ მაგისტვის მოკვდები  
დღეს შენ.

დეზდემონა: ეგ ხომ ბუნებას არ ეთან-  
ხმება, კაცი მოკვდეს სიყვარულისთვის. -  
ვაი, ჩემ თავსა, რისთვის იკვნეტ ქვემო  
ტუჩს აგრე?

რალაც მოსისხლე ვნება გიმღვრევს ალბათ მთელ სხეულს.

ეგ თავზედ მომდგარ უბედობის ნიშანი არის,

თუმც იმედი მაქვს, თვის ბედშავ ხელს ჩემკენ არ იშვერს.

ოტელო: ჩუმად იყავი, ხმა გაჰკმინდე.

დეზდემონა: მე გავჩუმდები, მიბრძანე მხოლოდ, ეს რას ნიშნავს?

ოტელო: ის ხელსახოცი, მე რომ მიყვარდა და მოგეცი, შენ კასიოს-  
თვის გიჩუქებია!

დეზდემონა: არა, ვფიცავ სულს და სიცოცხლეს!

მოაყვანე, აბა, იგი და თვით მას ჰკითხე.

ოტელო: ჩემო სულიკო, გაუფრთხილდი, ცრუ ფიცს უფრთხილდი,  
შენ სასიკვდილო სარეცელზედ წევხარ ამჟამად.

დეზდემონა: მერე ახლავე ხომ არ ვკვდები?!

ოტელო: სწორედ, ახლავე.

მაშ სჯობს, გამოტყდე შენს ცოდვაში შენის ნებითვე,

რადგან ფიცითაც რომ უარ-ჰყო თვითო მარცვლობით

ეგ შენი ბრალი, მაინც კიდევ შენ ვერც მომისპობ

და ვერც შემირყევ ამ ჩემ მტკიცე, უძლეველ რწმენას,

კვნესით, ვაებით წარმოშობილს! უნდა მოკვდე შენ...

დეზდემონა: ჰოი, ზეცაო, შემიწყალე!

ოტელო: ამინ და ამინ!

დეზდემონა: შენც შემიწყალე! გახსოვდეს, რომ ჩემ სიცოცხლეში  
არა-რა ცუდი არასდროს არ მიკადრებია,

არც მყვარებია მე კასიო, თუ რომ სიყვარულს





არ უწოდებ შენ ყოველთაღმი გულკეთილობას,  
რის ნებასაც თვით ზეცა გვაძლევს. არც რამ  
სახსოვრად გადამიცია მე როდისმე!

ოტელო: ვფიცავ ზეცის მადლს,  
ის ხელსახოცი ვნახე თვითონ მე  
იმის ხელში. ჰოი, პირშავო დედაკა-  
ცო, ლამის ეს გული ქვად გადმიქ-  
ციო. მე მეგონა, შენი სიკვდილი  
ზვარაკის დაკვლა იქნებოდა და  
ახლა კია უნდა ვუწოდო კაცის  
მოკვლა ჩემ საქციელსა!

მე ვნახე-მეთქი ჩემის თვალთ ის ხელსახოცი.

დებდემონა: მაშ უპოვნია იგი სადმე. არ მიმიცია  
მე კასიოსთვის. აბა, თვითონ მოაყვანე  
და ათქმევინე ყველაფერი სრულის სიმართლით.

ოტელო: იმან ყველა სთქვა.

დებდემონა: როგორ ყველა?

ოტელო: რომ შენ იმისი საყვარელი ხარ!

დებდემონა: საყვარელი? მე, კასიოსი?

ოტელო: სწორედ იმისი.

დებდემონა: ვერ გაბედავს იგი მაგის თქმას.

ოტელო: აწ ველარ იტყვის, მართალია, ხმა ჩაუწყვიტეს,  
ეგ საქმე ჰქონდა ნაკისრები კეთილ იაგოს.

დებდემონა: ოჰ, ამხდომია ჩემი შიში! მაშ ის მკვდარია?!

ოტელო: ყოველი ღერი თმა სიცოცხლედ რომ გარდაჰქმნოდა,  
არ ეყოფოდა მაინც კიდევ გამძვინვარებულ ჩემ შურისგებას.

დებდემონა: მაშ იმისთვის უღალატნიათ  
და მეც იმასთან ვიღუპები.

ოტელო: ოჰ, უნამუსო, მისთვის ტირილსაც ჰბედავ ჩემ წინ!

დებდემონა: ოღონდ ნუ მომკლავ და თუნდ განმდევნე!

ოტელო: უნდა მოკვდე, შე უნამუსო!

დებდემონა: ისევ ხვალ მომკალ, ერთი ღამე კიდევ მაცოცხლე.

ოტელო: ამაოდ ცდილობ...

დებდემონა: დამაცადე ნახევარ საათს.

ოტელო: არ შეიძლება გადადება.

დებდემონა: ლოცვისთვის მაინც ხანი მომეცი.



ოტელი: დაგვიანდა, დრო აღარ არის.

(აღრჩობს)

ემილია (გარედან): ბატონო ჩემო, გამიგონეთ, კარი გამიღეთ!

ოტელი: ვინა ხმაურობს? - არ მოძკვდარა... ჯერ სული უდგა...

თუმცა სასტიკი ვარ, მაგრამ გული კი მოწყალე მაქვს:

მე არ მინდა, რომ დიდხანს გტანჯო. აგრე... ჰო, აგრე.

ემილია (გარედან): კარი გამიღეთ, ჩქარა, კარი!

ოტელი: ვინ აბრაზუნებს?

ემილია (გარედან): ბატონო ჩემო, მინდა, ერთი საქმე გაუწყოთ.

ოტელი: ემილია, მგონია, ეს. - ახლავ მოვდივარ. -

მოკვდა, გათავდა... იგი მოდის ალბად იმისთვის,

კასიოს მოკვლა რომ მაცნობოს, - ალიაქოთი

დიდი ისმოდა... აღარ იძვრის?... საფლავის მსგავსად

უძრავათა წევს... შემოვუშვა? ვითომ კარგს ვიზამ?

ვგონებ, ინძრევა... არა, არა... რა ვქნა, არ ვიცი...

თუ შემოვიდა, ის დაუწყებს ჩემ ცოლს ლაპარაკს...

ჩემ ცოლს? ჩემ ცოლსა! რა ცოლს ვამბობ!

სადღა მყავს ცოლი?! ჰოი, ვაებავ, ვაი, ჟამო ბედკრულ-

ბედშავო! ვგონებ, საცაა მზეს და მთვარეს ბნელი მწყვდიადი

გადეფინება და ეს მიწა შეძრწუნებული

შუა გასკდება შიშის ზარით.

ემილია (გარედან): გთხოვთ, გევედრებით,

ორიოდ სიტყვა მათქმევინეთ თქვენთვის, ბატონო!

ოტელი: ოჰ, ემილია, შენ აკი არ დამვიწყებინარ...

აი, შემოდის... მოიცადე... ახლავ მოვდივარ...

ჯერ ფარდას გავწევ. - (კარებს გააღებს) სადა ხარ, აბა?

(ემილია შემოდის)

რამ მოგიყვანა?

ემილია: ბატონო ჩემო, საზიზღარი კაცისკვლა მოხდა.

ოტელი: როდისა? ახლა?

ემილია: დიად, ახლა, ახლა, ბატონო.

ოტელი: ეგ მთვარის ბრალი უნდა იყოს. ის დედამიწას

ჩვეულებრივზედ უფრო მეტად მოუახლოვდა

და დააგეჟა ხალხი სრულად.

ემილია: იცით, კასიოს ვენეციელი ახალგაზრდა მოუკლავს ერთი, -





მკვდარს როდერიგო ჰქვიან თურმე.

ოტელიო: მაშ როდერიგო მოკლული არის, კასიოც ხომ მკვდარი იქნება.

ემილია: არა, კასიო ვერ მოუკლავთ.

ოტელიო: კასიო ვერა?

მაშ გზა შეშლია სიკვდილს სწორედ და შურისგება ტკბილი და წყნარი გარზრდება, გამძვინვარდება.

დებდემონა: ოჰ, უსამართლოდ მომაკვდინეს.

ემილია: ეს ვინა ჰკვნესის?

ოტელიო: რაო, ჰკვნესისო?

ემილია: ვაი, ჩემ თავს! ეს ქალბატონის ხმა იყო სწორედ. ოჰ, გვიშველეთ, ჩქარა, გვიშველეთ! - სულზედ უტკბესო დებდემონა, ჩემო სიცოცხლე, სთქვი რამე კიდევ, სთქვი, სთქვი-მეთქი, ხმა ამოიღე!

დებდემონა: უბრალოდ ვკვდები.

ემილია: სთქვი, ვინ მოგკლა.

დებდემონა: არავინ. თვითონ მოვიკალ თავი... ოჰ, მშვიდობით... ჩემ საყვარელ ქმარს უკანასკნელად მიმასალმე... ვკვდები, მშვიდობით...

(კვდება)

ოტელიო: ნეტავი ამას ვინ მოჰკლავდა?

ემილია: რა ვიცი, რა ვთქვა.

ოტელიო: ხომ გაიგე, მე თვითონ ვარო, ჩემზედ არ უთქვამს.

ემილია: დიად, აგრე სთქვა, სწორედ აგრე, ტყუილს ვერ ვიტყვი.

ოტელიო: ის აღტყინებულ ჯოჯოხენტში უნდა ჩავარდეს, ვით მატყუარა... იმის მკვლეელი მე ვარ, მე მოვკალ!

ემილია: ოჰ, ის მაშ სწორედ ანგელოზი ყოფილა, შენ კი ავი სული ხარ, მით უფროდაც კრული და ბნელი.

ოტელიო: ცუდ გზას დაადგა და ნამუსზედ ხელი აიღო.

ემილია: შეჩვენებულო, ტარტაროზო, შენ მას ცილს სწამებ!

ოტელიო: არ იყო სანდო, როგორც წყალი.

ემილია: მაშ შენ ცეცხლივით

გამალებულხარ, თუკი იმას სანდოდ არ ჰხადი.

იგი მართალი იყო ისე, როგორც თვით ზეცა.

ოტელიო: კასიოს ჰყავდა ის საყვარლად, თუნდ შენს ქმარს ჰკითხე. ამ უკიდურესს ღონეს თუკი მე მივმართავდი





მტკიცე საბუთის უქონელად, მაშინ ღირს-  
ვიყავ რომ ჩავემარხეთ ჯოჯოხეთის  
უფსკრულთ უფსკრულში. - ყველა იცოდა  
შენმა ქმარმა...

ემილია: ჩემმა ქმარმაო!

ოტელო: ჰო, შენმა ქმარმა.

ემილია: ჩემმა ქმარმა იცოდა, ვითომ,  
რომ დეზდემონა დალატობდა ქორწინების  
ვალს?

ოტელო: კასიოც ჰყავდა მას მოწილედ.  
თუ ის მართალი იყო, ზეცას რომ მოენიჭა

ამ ქვეყნის სიმსხო მთლიანი თვალი წყალ-ჯავარის ქრისოლი-  
ნისა, - მაშინაც კი მას არ გავცვლიდი ამ ძვირფასს თვალებედ.

ემილია: მაშ ჩემი ქმარი!..

ოტელო: პირველმა მან შემატყობინა:

პატიოსანი კაცი არის, ვერ ითმენს, როცა  
სამარცხვინოსა და ჭუჭყიან საქციელს ჰხედავს.

ემილია: ჩემი ქმარიო?!

ოტელო: რამდენჯერა სთქვა ერთივ და იგივ!

მე გითხარ შენი ქმარი-მეთქი.

ემილია: ოჰ, ქალბატონო!

კაცთ ავსულობას სიყვარული დაუძლევია...  
მაშ ჩემმა ქმარმა დასწამა მას ეს ორგულობა?

ოტელო: ჰო. შენმა ქმარმა, დედაკაცო, რით ვერ გაიგე?

ჩემმა ერთგულმა მეგობარმა და შენმა ქმარმა,  
პატიოსნებით და სიკეთით სავსე იაგომ.

ემილია: თუ ეგ იმან სთქვა, იმის სული აყროლებული  
დეე, ყოველდღე წვრილ-წვრილ ნაჭრად დალპეს, განიხრწნეს.  
უსინიღისოდ უცრუენია, ოჰ, ჩემ ქალბატონს  
გარდამატებით მოსწონდა თვის უღირსი ხვედრი.

ოტელო: აჰჰჰ!

ემილია: გასწყერ, გასწყერ, რამდენიც გსურს.

ეს შენი საქმე ისეა ღირსი სამოთხისა,  
ვით ღირსი იყავ შენ შენის ცოლის.

ოტელო: სჯობს, დაჩუმდე.

ემილია: რას მემუქრები?



რის ატანაც კი შემიძლიან, იმდენს ვერ მავნებ!  
ოჰ, ჭკუამოკლე, დანთხვეულო, ქუჩის ტალახო!  
რაც კი ახლა შენ საქმე ჰქმენი... მაგ შენის ხმლისა  
არ მეშინიან... უნდა ყველას, ყველას ვაცნობო  
შენი ამბავი, თუნდ სიკვდილმა ოცჯერაც მომკლას.  
გვიშველეთ! ეი, ჩქარა, ჩქარა, მოგვეშველენით!  
მავრმა მომიკლა ქალბატონი, ამ კაცისმკვლელმა!

*(შემოდინან მონტანო, გრაციანო და იაგო)*

მონტანო: რა ამბავია, რა მოხდა აქ, დიდო სარდალო?

ემილია: მოხველ, იაგო? აბა, კარგად კი მოქცეულხარ,

რომ კაცისმკვლელნი თავიანთ ბრალს შენ გაკისრებენ.

გრაციანო: რა ამბავია?

ემილია: გაამტყუნე ეს ავაზაკი, თუკი შენ კაცის გული გიღევს.

ეს ამბობს, ვითომ შენ გეთქვას, ცოლი მოღალატე

ჰყოლოდეს ამას. ეს კარგად ვიცი, არ იტყოდი.

შენ მაგისტანა ავაზაკი ხომ არ იქნები, ხმა ამოიღე,

ეს გული ჯავრით გამეტენა.

იაგო: მე იგი ვუთხარ, რასაც ვფიქრობდი და ისეთი

არა მითქვამს რა, რაც თვითონ მაგას არ ეჩვენა

ჭკუასთან ახლოდ და ნამდვილ ამბად.

ემილია: მას უწოდე შენ მოღალატე?

იაგო: დიად, ვუწოდე.

ემილია: მაშ სიცრუე წამოგიროშავს,

სიცრუე წუწკი, ბილწი, ავი, შეჩვენებული,

ვფიცავ ამ ჩემ სულს. შენ კასიო დასწამე იმას?

აგრე სთქვი, განა?

იაგო: ჰო, კასიო; რა გინდა მერე?

სჯობს, ცოტა ენა შეიმოკლო.

ემილია: ვერ დამაჩუმებ; მე ვალი მაწევს, რომ ყველა ვთქვა!

აქ თვის საწოლში მკვდარი წევს ჩემი ქალბატონი...

მონტანო და გრაციანო: ღმერთო, დაგვიხსენ!..

ემილია: მაგ შენის ენით მოუკლავთ ეგ!

ოტელო: რისთვის გაშტერდით? ეგ მართალია, რასაც ამბობს.

გრაციანო: უცნაური რამ ამბავი არის.

მონტანო: ოჰ, საზარელ საქმესა ვხედავთ!

ემილია: ეს ღალატია, ღალატია, ღალატი-მეთქი!



ახლა მე ყველა მაგონდება, ვგრძნობ მე ყველაფერს...  
 ოჰ, მოღალატე... მაშინაც კი რაღაც ვიფიქრე...  
 მეტის ვარამით თავს მოვიკლავ... ოჰ, მოღალატე!..

იაგო: რამ გაგაგიჟა? მე გიბრძანებ, შინ წადი ახლავ.

ემილია: გთხოვთ, ბატონებო, მოისმინოთ, რას მოგახსენებთ:  
 თუმც მაგას უნდა ვმორჩილებდე, მაგრამ ახლა კი  
 მორჩილების დრო აღარ არის. - იქნება მოხდეს,  
 რომ მე, იაგო, ჩემ დღეში შინ აღარ დავბრუნდე.

ოტელიო: ოჰ, ოჰ, ოჰ!

(დაეცემა ლოგინზედ)

ემილია: დაწექ და იკვნესე! შენ მოჰკალ იგი,  
 რომლის მსგავსიც კი სათნოებით, უბიწოებით  
 დედის მუცლიდგან არ შობილა.

ოტელიო: (წამოდგება): ოჰ, იგი იყო  
 ბიწით აღსავსე. - ძლივს გიცანი, ჩემო მოყვარევ,  
 შენი ძმისწული, ჰხედავ, იქ წევს. აი, ამ ხელთა  
 ეს არის ახლა შეუჩერეს მას მისი სუნთქვა.  
 ეს საქციელი საზარელს ჰგავს, მხეცთა შესაფერს, -  
 კარგად მესმის მე.


გრაციანო: დეზდემონა, შე საცოდავო!

კიდევ კარგი რომ მამაშენი გარდაცვლილია -  
 შენმა ქმრის შერთვამ მოჰკლა იგი; დარდმა, ვარაძმა  
 შუა გასწყვიტა იმ მოხუცის სიცოცხლის ძაფი.  
 თორემ ამ ამბავს ის ცოცხალი რომ დასწრებოდა,  
 მიეცემოდა უსასოო განწირულებას,  
 შეაჩვენებდა რისხვით თავის მფარველ ანგელოზს  
 და ჯოჯოხეთის საზარელ ცეცხლს შთავარდებოდა!

ოტელიო: ვწუხვარ მეც, მაგრამ, აბა, ჰკითხე თვითონ იაგოს,  
 თუ კასიოსთან დეზდემონას რამდენ ათასჯერ  
 ჰქონდა კავშირი სამარცხვინო. კასიომ თვითონ  
 სთქვა ყველაფერი. კასიოსათვის მას მიუცია  
 მის ტრფობის ჯილდოდ ის ნიშანი სიყვარულისა,  
 რაიც პირველად ვაჩუქე მე, - მე თვითონ ვნახე,  
 იგი კასიოს ხელში ეპყრა; ის ძველებური ხელსახოცია  
 და მამაჩემს გარდაუცია დედაჩემისთვის.

ემილია: ოჰ, ზეცაო! ოჰ, ზეცის ძალნო!





იაგო: ხმა! ხმა გაჰკმინდე!

ემილია: არა, არა, ყველაფერს ვიტყვი.

მე გაგკმინდო ხმა?! არა, მე თქვენ ვერ შემაჩერებთ, ვით ჩრდილოეთით ატეხილს ქარს. თუნდა ამხედრდეს ჩემ წინააღმდეგ ყველაფერი, ყოველისფერი, თუნდ თვითონ ზეცა, ტარტაროზი, ადამიანი, მოურიდებლად ვიტყვი ყველას.

იაგო: წადი, შინ წადი; ჭკვა მოიკრიფე, რას ჩადიხარ.

ემილია: არა, არ წავალ.

*(იაგო მივარდება ემილიას და უნდა მახვილი ჩასცეს)*

გრაციანო: ფუ! დედაკაცზედ მახვილს ხმარობთ!

ემილია: ოჰ, უგუნურო, სულელი მავრო!

შენ რომ ამბობ, ის ხელსახოცი მე თვით ვიპოვე უცაბედად და ჩემ ქმარს მივეც, რადგან რამდენჯერ უთხოვნია, შემომხვეწნია, რომ მომეპარა, მერე ისეთ მკაცრის კილოთი, რაიც სრულიად იმ უბრალო საგანს არ ჰფერობს.

იაგო: ოჰ, საზიზღარო, უნამუსო!

ემილია: როგორ! კასიოს მისცაო იმან ხელსახოცი? არა და არა.

ვაი ჩემ თავსა! მე ვიპოვე და მივეც ჩემ ქმარს.

იაგო: სტყუი, მიჰქარავ!

ემილია: არა ვტყუი, ზეცის მადლს ვფიცავ!

მართალს გიცხადებთ, აქა მდგომნო! ოჰ, კაცისმკვლელი, ჭკვა-დაკარგული! ეს უტვინო რა ღირსი იყო იმ მშვენიერის, სათნო ცოლის!

ოტელიო: ნუთუ ზეცაში არ მოინახვის ქვა-კლდე თუ არ მეხის სატეხლად!.. ენით უთქმელო ავაზაკო!..

*(ოტელიო აპირობს იაგოს მოკვლას, მაგრამ მონტანო იარაღს წაართმევს. იაგო მახვილს ჩასცემს ემილიას და გაიქცევა)*

გრაციანო: ეს დედაკაცი ლამის წაიქცეს; თავის ცოლი მოჰკლა იმ კაცმა.

ემილია: ჩემ ქალბატონის გვერდით დამდეთ; ოჰ, მართლა ვკვდები.

გრაციანო: ცოლი მოჰკლა და თვით გაიქცა.

მონტანო: სწორედ ნამდვილი ავაზაკია!

დამიჭირეთ ეს საჭურველი, მავრს რომ წავართვი.





უღარაჯეთ კარებს გარედან.  
 არსად გაუშვათ და გაქცევა  
 თუ დააპიროს, მოსაკლავადაც ნუ  
 დაინდობთ. უნდა წავიდე  
 და ის წყეული ვაპოვნინო.

(გადიან მონტანო და გრაციანო)

ოტელიო: ვაჟკაცობაც კი  
 დავკარგე სრულად. ჩემ ხმაღს  
 მტაცებს ხელიდან ბავშვი  
 გამოუცდელი; აგრე იყოს! ან  
 ვაჟკაცობა რად მინდა, რაკი  
 სათნოება აღარსადა მაქვს.  
 ყოველისფერი, დეე, წარხდეს.

ემილია: ამას ნიშნავდა, ოჰ, ჩემო ტკბილო ქალბატონო,  
 შენი სიმღერა? დამიგდე ყური, შეგიძლიან, რომ მომიხმინო?  
 შენთვის სიკვდილის მოციქული გედი ვიქნები  
 და სიმღერაში დავლევ სულსა (მღერის)

«ნერგს, მწვანე ნერგსა!»

მავრო, უმანკო იყო იგი და შენც უყვარდი.  
 სასტიკო მავრო! როგორც მართალს ვამბობ მე ახლა,  
 ისე ელხინოს თუნდ ჩემ სულსა, და ვამბობ იმას,  
 რასაც გულში ვგრძნობ... ვკვდები... ვკვდები...

(კვდება)

ოტელიო: მე ამ ოთახში სხვა საჭურველიც მეპოვება.  
 ის ხმალი არის ესპანიური, ცივ წყაროში გამოწრთობილი...  
 აგერ აქა მაქვს... გთხოვ, გამიშვა, ჩემო მოყვარევ...


გრაციანო (გარედან): გარეთ გამოსვლას თუ ეცდები, ძვირად  
 დაგისვამ; შენ შეჭურვილი არა ხარ და უნდა ითმინო.

ოტელიო: მომხედე, აბა, მითხარ რამე, ყური დამიგდე,  
 თორემ მერწმუნე, თავს დაგესხმი უსაჭურველოდაც.

გრაციანო (შემოდის): რაო, რა გინდა?

ოტელიო: აქ მიყურე. აი, ამ ხმაღზედ უკეთესი  
 ჯერ არა რტყმია ჯარისკაცს გვერდზედ.





ყოფილა ჟამი, როდესაც ეს ერთგული ხმალი  
 ამ მსუბუქ ხელში მჭერია და გზა გამიკაფავს  
 მოპირდაპირეთ შორის, შენზედ ოცჯერ უმეტესთ. -  
 მაგრამ ამაოდ რას ვიკვები! ვის შეუძლიან,  
 გზა გაუკვალოს თავის ბედ-იღბალს? წავიდა ის დრო;  
 თუმც საჭურველით მხედავ, მაინც ნუ გეშინიან.  
 დასრულდა ჩემი ცხოვრების გზა. საზღვრამდე მიველ  
 და ზღვის კიდესთან იალქანი აგერ დავუშვი.  
 უკან რად იწევ მოკრძალებით? ტყუილად შიშობ;  
 ხელში ლერწამი აიღე თუნდ და მიუშვირე  
 ოტელოს გულსა, მაშინაც კი შედრკება იგი.  
 ახლა ოტელო სადღა წავა? - როგორ მიყურებ,  
 ჰოი, ბედშავო, საცოდავო! შენის პერანგის  
 მსგავსი ფერი გდევს! როს შეგხვდები უკანასკნელ დღეს,  
 ეგ შემოხედვა გადმოსტყორცნის ჩემ სულს ზეციდან  
 და ეშმაკები ხელს სტაცებენ. ჩემო სიცოცხლე,  
 ცივი ხარ, ცივი, როგორც თვითონ უმანკოება...  
 ოჰ, შე წყეულო, ავო სულო! ოჰ, ტარტაროზნო,  
 ცემით განმდევნეთ, განმაშორეთ ამ ციურ სახეს,  
 მიმეცით ქარსა, მყრალ გოგირდში დამწვით, დამხრაკეთ,  
 ჩამაგდეთ უფსკრულს, ჯოჯოხეთის ცეცხლის მდინარეს!  
 ოჰ, დეზდემონა, მკვდარი ხარ შენ, მკვდარი ხარ, მკვდარი.

*(შემოდინ ლოდოვიკო და მონტანო; ოფიცრებს იავო დაჭრილი  
 შემოჰყავთ; კასიო საკაცით შემოაქვთ)*

ლოდოვიკო: აბა, სად არის ის უჭკუო და უბედური?

ოტელო: ყოფილს ოტელოს თუ ჰკითხულობ, აი, აქა ვარ.

ლოდოვიკო: ის სადღა არის შხამიანი, ასპიტი გველი?

აქ მოიყვანეთ.

ოტელო: მე ფეხებზედ დავყურებ, მაგრამ ვერ ვამჩნევ

ნიშანს ეშმაკისას... სტყუიან თურმე...

თუ ეშმაკი ხარ, საჭურველი არ გასჭრის შენზედ.

*(დასჭრის იავოს)*

ლოდოვიკო: ხმალი წაართვით.

*(ოტელოს საჭურველს აჰყრიან)*

იავო: დამჭრა, მაგრამ მოკვლა ვერ შესძლო.



ოტელი: მე არც ეგა მწყინს, მე მინდა, რომ ცოცხალი დარჩე, -  
 კაცი რომ კვდება, როგორც ვატყობ, ბედნიერდება.

ლოდოვიკო: რა ითქმის შენზედ, ოჰ, ოტელი, ერთ დროს ქებულო,  
 აწ ჩავარდნილო შეჩვენებულ მონის მახეში?

ოტელი: სთქვით, რაც გინდოდეთ. კაცისმკვლელი ნამუსიანი  
 მიწოდეთ თუნდა; რადგან მოვკალ არა ძულეებით,  
 არა, ნამუსის გულისათვის მოვკალ მე იგი!

ლოდოვიკო: ზოგში გამოტყდა ეს წყეული. გვაუწყეთ მხოლოდ,  
 თქვენა და ამან განიზრახეთ კასიოს მოკვლა.

ოტელი: ეგ მართალია.

კასიო: ბატონო, მე რა დაგიშავეთ?

ოტელი: ვიცი, შენ ბრალი არა გაქვს რა, გთხოვ მომიტევო.  
 აბა, მოჰკითხეთ ამ ბაიყუმს, ეშმაკის წილსა,  
 რისთვის გამაბა თავის ქსელში სულით და ხორციით?

იაგო: რაც იცით, იცით, ნულარ მკითხავთ ნულარაფერსა:  
 მე ამას იქით ერთ სიტყვასაც ვერ მათქმევინებთ.

ლოდოვიკო: მაშ ლოცვასაც კი აღარ იტყვი?

გრაციანო: წამება კარგად გაგიხსნის კრიჭას.

ოტელი: მაგაზედ კარგს ვერას იქმოდ.

ლოდოვიკო: უნდა გაცნობოთ ჩვენ ამ ამბის თავი და ბოლო, -  
 ვგონებ, თქვენ ყველა არ უწყოდეთ: მკვდარს როდერიგოს  
 ჯიბეში ჰქონდა ეს წერილი; აი, სხვაც კიდევ.  
 ერთი ამტკიცებს, რომ კასიოს მოკვლა იაგოს  
 როდერიგოსთვის მიუნდვია.

ოტელი: ოჰ, ავაზაკი!

კასიო: ბილწი, წარმართი!

ლოდოვიკო: ეს მეორეც იმის ჯიბეში აღმოჩენილა;  
 საყვედურის წერილი არის;  
 როგორც ეტყობა, როდერიგოს ფიქრად ჰქონია,  
 ამ წყეულისთვის გაეგზავნა იგი წერილი;  
 მაგრამ ვიდრემდე გაჰგზავნიდა, ეს მისულა და  
 კმაყოფილება მიუცია როდერიგოსთვის.

ოტელი: ჰოი, თვალთმაქცო, საზიზღარო! მითხარ, კასიო,  
 შენ ჩემის ცოლის ხელსახოცი როგორ ჩაიგდე?

კასიო: ის ჩემ ოთახში ვიპოვე მე. ეს არის ახლა,  
 თვითონ ესეც კი გამოტყდა, რომ ის ხელსახოცი



იქ დაუგდია ეშმაკურის სხვა რამ განზრახვით  
 და ის განზრახვა ახდომია სურვილისამებრ.

**ოტელიო:** ოჰ, უგუნურო, უგუნურო, ჭკვა-დაბნეულო!

**კასიო:** თავის წერილში როდერიგო ჰკიცხავს იაგოს, -  
 რად წამაქებე, - სადარაჯოდ რომ იდგებიო,  
 აწყეინე რამ კასიოსა - და ამ ამბავს ხომ  
 გადაყენებაც მოჰყვა ჩემი. ამ საქმეს გარდა,  
 როდერიგო რომ დიდი ხანი მკვდარი გვეგონა,  
 მობრუნდა ახლა და გვიამბო, თუ ვით იაგომ  
 თვით ჩაასაფრა იგი ჩუმად სხვის მოსაკლავად  
 და თვითვე დასჭრა.

**ლოდოვიკო:** თქვენ ეს სახლი უნდა დასტოვოთ  
 და ჩვენ წამოგვეყვით! აქ მმართველად კასიო რჩება;  
 და თქვენ კი თქვენი უფლება და ჯართ-უფროსობა  
 ჩამორთმეული გაქვთ დღეიდან; ამ ავაზაკს კი, -  
 რასაც სასტიკი მსჯავრი სასჯელს გამოიგონებს,  
 სასჯელს ხანგრძლივსა და საშინელს, - ის მიესაჯოს. -  
 თქვენ, ვიდრე თქვენსა შეცოდებას შევატყობინებთ  
 დიდ ვენეციის სახელმწიფოს, დაგაპატიმრებთ. -  
 წამოიყვანეთ ეგეც ჩვენთან.

**ოტელიო:** ჯერ შეიცადეთ; ვიდრემდე წახვალთ,  
 მათქმევინეთ ეს ორი სიტყვა:  
 მე ვენეციის სახელმწიფოს გამგებელთათვის  
 გამიწევია სამსახური, - თვითონც იციან;  
 მაგრამ ამაზედ არას ვამბობ. მე გთხოვთ მას მხოლოდ,  
 თქვენს წერილებში რომ აუწყებთ ამ ბედშავ ამბავს,  
 მიწოდეთ იგი, რაცა ვარ მე: ნურც რას მოუკლებთ  
 და ნურც არაფერს მოუმატებთ გაბოროტებით.  
 სთქვით, იცოდა-თქო სიყვარული მან ჭეშმარიტი,  
 თუმც არა-ბრძნული; ვერ სძლევდა-თქო ეჭვი აღვილად,  
 მაგრამ რაკი გულს აუვსებდნენ ეჭვიანობით,  
 მიაღწევდა-თქო უკიდურეს მრისხანებამდე.  
 სთქვით, - მსგავსადა-თქო უგუნურის ინდიელისა  
 შორს გადასტყორცნა მარგალიტი უძვირფასესი  
 მთელს იმის თემზედ; იმის თვალთა დამონებულთა,  
 ტირილს არ-ჩვეულთ, უხვად ცრემლი გადმოსდიოდათ,  
 როგორც ფისი-თქო სამკურნალო არაბეთის ხეთ...





ვენეციელი  
სენატორი

ეს ყველაფერი აცნობეთ მათ და დაუმატეთ, რომ როცა ერთხელ ალექსოში ოსმალის ვინმე, თავს რიდე-დგმული, სიამაყით გულზედ მოსული ვენეციელსა სცემდა ერთსა და მის ქვეყანას უშვერის სიტყვით აგინებდა - მივწვდი მე ყელში იმ ქოფაკ ძაღლსა წინ-დაცვეთილს და დააკალ ასე...

(ხანჯალს ჩაიკრავს გულში)

ლოდოვიკო: ოჰ, რა სისხლის ღვრის დრო დაგვიდგა.

გრაციანო: აქ ყოველივე სიტყვა უქმია!

ოტელო: ვიდრე მოგკალ, მე გაკოცე შენ,

(დაეცემა ღებდემონას გვაძს)

ახლა თავს ვიკლავ და მინდა, რომ კოცნით დაგაკვდე...

(კვდება)

კასიო: ამას ვშიშობდი, მაგრამ ვიყავ გულდაჯერებით, რომ საჭურველი თან არ ჰქონდა.

ღიად, ოტელო დიდსულოვანი კაცი იყო.

ლოდოვიკო (იაგოს): ქოფაკო ძაღლო!

ზღვაზედ, შიმშილზედ, თვით ტანჯვაზედ უფრო უწყალო!

შეჰხედე ერთი ამ სარეცლის საზარელ ტვირთსა!

აი, ეგ არის შენი საქმე. - ჩქარა დამალეთ,

თორემ უშხამავს კაცს სახედველს. - შენ, გრაციანო,

უნდა ამ სახლ-კარს უპატრონო; მავრის ქონებაც

შენ ჩაიბარე, - სხვა მემკვიდრე მაგას არა ჰყავს.

და თქვენ, ბატონო გამგებელო ამ კუნძულისა,

უნდა განსაჯოთ ეს ავსული საჯოჯოხეთო,

დანიშნოთ მისთვის დროც, ადგილიც და სატანჯველიც, -

ოჰ, სატანჯველი დიდი დასდეთ! მე კი ჩავჯდები

პირდაპირ გემში და როს მივალ, ჩვენთა უფალთა

ამ მძიმე ამბავს დამძიმებულ გულით ვაუწყებ.

(გადიან)



თბილისი  
საქართველო



ივანე მახაბელო

- 150 -

